ლიბერალი

№ 102 / 15 -21 დეკემბერი / 2011 ფასი 2 ლარი

პოლიტიკა:

ივანიშვილის "ქართული ოცნება"

მეზობლები
ჩუსული გაზაფხული ჰეისპექტივაში
გვ. 26

კონფლიქტები
ექს-პრეზიდენტი ტოტოითი ისევ საქმეშია
გვ. 22

ჟურნალისტური გამოძიება
"ბოჩჯომ-ლიანის" სანატორიუმი ხვლავ სახელმწიფოსია?
გვ. 47

ISSN 1987-7528

www.ucnobifm.ge

ლიბერალი

№ 102 / 15 -21 დეკემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკია
მაგდა მემანიშვილი

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი, ანიტა თვაური, ანი ჭანკოტაძე, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, გიორგი მგელაძე, ინალ ხაშიგი, მარია ბესტაევა, კახა თოლორდავა, ვასო კუჭუხიძე, ნანა ბიგანიშვილი, მზია საგანელიძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე
გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი, 08:00 -18:00 სთ.

www.liberali.ge

სარჩევი

მეზობლები

ფოტო ტაბრინა მაკეევა / REUTERS

ხესელი ბაზაფხელი პერსპექტივაში

დღეს რუსეთი აღარ არის ისეთი, როგორიც 4 დეკემბრამდე იყო. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ვინმეს მიმართ, თუმცა ცდილობთ, ეს დამოკიდებულება არ გაამჟღავნოთ. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, ის იგებს, თუ როგორ ვერ იტანთ და გეზიზღებათ. ცხადია, თქვენი ურთიერთობა ძველებური ვეღარ იქნება.

ასეა დღეს რუსეთში. 10 დეკემბერს კრემლმა მთელი სიცხადით დაინახა, თუ როგორ ამოუვიდა ყელში ხალხს პუტინის რეჟიმი.

ტატიანა გუსაკოვა
გვ.26

ხობოხ შევაფასოთ ხესეთის საპროტესტო მოძრაობა

რუსულ საპროტესტო მოძრაობას აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და საბოლოოდ, რომელი მხარე გადაწონის, უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ პოლიტიკური მოთამაშეები და სამოქალაქო აქტივისტები.

გიორგი ცხადაიას კომენტარი
გვ.10

37 ДАХИС ЗАХАДИ ДА ДАСАМАХТЕВЕЛИ МОЗАХЕБИ

საზამთროს ქურდებს განრიდების პროგრამა არ შეეხოთ. 2011 წლის აგვისტოში, სამმა არასრულწლოვანმა თანასოფლელის ბაღში გადასვლა, საზამთროს მოპარვა და მისი გაყიდვა განიზრახა.

15 წლის მათე, 16 წლის ლევანი და 17 წლის საბა ბაღის პატრონმა საზამთროს მოპარვამდე დაიჭირა. 30 ცალი საზამთროს მოპარვის მცდელობისა და 37 ლარის ზიანისათვის ბიჭებს წინასწარ შეთანხმებული ჯგუფური ქურდობის მცდელობისთვის ერთწლიანი პატიმრობა შეეფარდათ, რომელიც შემდეგ 1500 ლარიანი საპროცესო შეთანხმებით შეუცვალეს და 2 წლიანი პირობითი სასჯელიც მისცეს.

თინა ყიფშიძე
33.44

მაჩთელი ბიზნესი, მაჩთელი საჩეჯღამო ბაზარი, მაჩთელი მედია

საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის ნაკლებობითა და ბაზრის მძლავრი კონცენტრაციით ხასიათდება, რადგან მის დიდ ნაწილს ყოფილ თავდაცვის მინისტრ, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული ახლო მეგობრებისა და ნათესავების ქსელი აკონტროლებს. ნაციონალური სატელევიზიო არხების სარეკლამო დროზე დეფაქტო მონოპოლიას სატელევიზიო რეკლამების გაყიდვების სახლი „ჯენერალ მედია“ ფლობს, თბილისის გარე რეკლამების სეგმენტში კი, დომინანტური პოზიცია „აუთდორ.ჯი“-ს უკავია.

კერძო სექტორის დიდ ნაწილში, თვითცენზურის გარემო არსებობს, რადგან ბიზნესის ლიდერები დამოუკიდებელ მედია-საშუალებებში რეკლამის განთავსებას მათი საწარმოს წარმატებისათვის პოტენციურ რისკად აღიქვამენ, რომელზე წასვლაც არ სურთ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გარემო მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

გიორგი მგელაძე
33.36

სილუტაჯის ზღვაის მილმა

კონწლიაშვილების ოთხსულიანი ოჯახი მუხიანის სამხედრო დასახლებაში, ნათხოვარ კონტეინერში ცხოვრობს. ოჯახის უფროსი, 10 წელზე მეტია, ტუბერკულოზით იტანჯება. მას

ფოტო ლევან ხარბედილი

დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია და მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს, რის გამოც მისი მეუღლე ვერსად მუშაობს. შედეგად, უსახლკარო ოჯახი მწირი სოციალური დახმარების ამარაა დარჩენილი. ბავშვები სრულფასოვან განათლებას ვერ იღებენ, რადგანაც დედასთან ერთად ყოველდღიური სარჩოს მოძიება უწევთ.

ზურაბ ვარდიაშვილი
33.18

მემარცხენეობა, ოობოოს ცხოვრების პრჩევანი

„მემარცხენეობა პრაგმატული გახდა. მემარცხენეებმა უტოპიის განცდა დაკარგეს. არ ვგულისხმობ ერთბაშად კომუნიზმის აშენებას. მემარცხენეობა ადრე სხვა გზა, სხვა ტენდენცია იყო, ეს შეიძლება ყოფილიყო საბჭოური გზა, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, სამხრეთ აზიური გზა, ლათინო-ამერიკული ან იუგოსლავიური ვარიანტები. დღეს ყველაზე ცუდი ისაა, რომ თავად მემარცხენეებმა დაიჯერეს, რომ ეს ყველაფერი უტოპიაა.

მემარცხენეობა სიმდიდრის გადანაწილების ძალიან პრაგმატულ მეთოდად იქცა, რამაც ამ სოციალურ იდეას მოქნილობა დაუკარგა. ერთია, როდესაც რაღაც ახალს, პროგრესულს ქმნი, მეორეა, როცა იღებ ძველს და მის შეცვლას ცდილობ.”

თინა ყიფშიძის ინტერვიუ ნიკუშა მარქსთან
გვ.14

ფოტორეპორტაჟი

სდოს მსვეღები

ფოტო: მზია საგანელიძე

მზია საგანელიძის ფოტორეპორტაჟი
გვ.46–51

ასევე ნომერში:

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
08 უნდა ჰქონდეს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეს უფლება, ჩაერთოს საარჩევნო კამპანიაში?
ლევან იზორია VS კოკი იონათამიშვილი
კომენტარი
12 ვარსკვლავის კვდომა
მარკ მალენი
კონფლიქტები
22 ექს-პრეზიდენტი კოკოითი ისევ საქმეშია
კომენტარი
25 უფასო ყველი
კონფლიქტები
30 ევროიმედის სამიტი ბრიუსელში
მედია
40 ქუჩიდან სასამართლოში
ჟურნალისტური გამოძიება
47 „ბორჯომ-ლიკანის“ სანატორიუმი კვლავ სახელმწიფოსია?
ლიბერალის ვებგვერდიდან
58 დერმატინის დირექტორი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
60 ალბათ, გაუგებრობა!

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ევროკავშირის ქვეყნები ვერ თანხმდებიან

9 დეკემბერს ბრიუსელში, ევროკავშირის სამიტზე გაერთიანების ახალი ხელშეკრულების შექმნაზე ისაუბრეს. სამიტზე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მთავარია, ევრომ ნდობა დაიბრუნოს და ევროკავშირის ხელშეკრულების შეცვლით გაერთიანება სტაბილური გახდეს. თუმცა ხელშეკრულებას გაერთიანების 27 წევრიდან მხოლოდ 23 შეუერთდა. ახალ ხელშეკრულებას ხელი ბრიტანეთმა, უნგრეთმა, შვედეთმა და ჩეხეთმა არ მოაწერეს. ჩეხეთისა და შვედეთის მეთაურების განცხადებით, ისინი ჯერ საკუთარ პარლამენტებს უნდა შეუთანხმდნენ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა კი განაცხადა: „ბრიუსელში ჩამოსვლამდე განვაცხადე, რომ თუ ახალ ევროპულ ხელშეკრულებაში ბრიტანეთისთვის უსაფრთხოების ადეკვატურ გარანტიებს არ მოვიპოვებდი, მას არ დავთანხმდებოდი. რასაც გვთავაზობენ, ეს ბრიტანეთის ინტერესებს არ ემსახურება – და ამდენად, მე ამას არ ვეთანხმები“.

კემერონმა ამ საკითხზე პირველი განცხადებები სამიტამდე 2 დღით ადრე გააკეთა. ის ამბობდა, რომ ევროს დასაცავად შექმნილ ევროკავშირის ახალ ხელშეკრულებას დაბლოკავს. კემერონის თქმით, დაცული უნდა იყოს ბრიტანეთის ფინანსური სექტორი და უნდა შენარჩუნდეს ევროკავშირის ერთიანი ბაზარი.

საფრანგეთი და გერმანია ცდილობენ ახალი ხელშეკრულება ევროზონის ქვეყნებს შორის დადონ ამ სახელმწიფოების ინტეგრაციისა და ფინანსური დისციპლინის მისაღწევად. ბრიტანეთი ევროზონის ქვეყანა არ არის, თუმცა ცვლილებები ევროზონის ქვეყნებს შორის შეუძლებელია, თუ მას ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ დაუჭერს მხარს. ბრიტანეთის პრემიერს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გამოეხმაურა. მისი თქმით, „დიდი ბრიტანეთის პოზიცია ორი ევროპის არსებობაზე მიუთითებს“. ევროპის ერთი ნაწილი, სარკოზის აზრით, „სოლიდარობისა და დარეგულირების მომხრეა, მეორე კი – მხოლოდ ბაზრის ლოგიკით ხელმძღვანელობს“.

„ის ფაქტი, რომ პარიზი ბერლინთან დაახლოებაზე წავიდა, ევროზონაში არსებული კრიზისის პირდაპირი შედეგია. ბერლინის, ლონდონისა და პარიზის ალიანსს აზრი ექნებოდა, თუ ევროპის კავშირის კრიზისის შესახებ იქნებოდა საუბარი, თუმცა ეს ასე არ არის, ეს ევროს კრიზისია“, – განაცხადა სარკოზიმ.

ბოლო პერიოდში საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე ევრო თანდათან კარგავს პოზიციებს. არსებობს საფრთხე, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები დიდი ვალების დაფარვას ვერ შეძლებენ.

საბერძნეთმა ბიუჯეტი დაამტკიცა

ევროკავშირის კრიზისის ფონზე საბერძნეთის პარლამენტმა 2012 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტში კვლავ გათვალისწინებულია მკაცრი ზომები, რომელიც ხარჯების შემცირებასა და გადასახადების ზრდას ითვალისწინებს. ამ პროექტის შედეგად უნდა შემცირდეს სახელმწიფოს ვალი და ქვეყანამ უნდა დაძლიოს რეცესია.

საბერძნეთის ახალ ბიუჯეტს მხარი დაუჭირეს სოციალისტებმა, კონსერვატორებმა და ულტრამემარჯვენე ნაციონალისტებმა. 300 დეპუტატიდან ბიუჯეტს ხმა 258-მა მისცა.

გატარებული ცვლილებების გამო საბერძნეთის მთავრობა უკვე სარგებლობს საერთაშორისო ფინანსური დახმარებით, რომელიც რამდენიმე მილიარდ ევროს შეადგენს.

ნატო და ჩესეთი ანტისარაკეტო ჰიმბიამს განიხილავენ

ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის გეგმის მიმართ რუსეთის პოზიციას გამოეხმაურა. რასმუსენის თქმით, მას ესმის რუსეთის შეშფოთება. განცხადება რასმუსენმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრის შემდეგ ბრიუსელში გააკეთა. ნატოს გენერალური მდივნის განმარტებით, ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის გარშემო უთანხმოება კვლავაც რჩება, თუმცა მხარეები გააგრძელებენ ამ საკითხზე მოლაპარაკებას. რასმუსენი იმედოვნებს, რომ რუსეთთან შეთანხმებას ნატოს ჩიკაგოს სამიტამდე მიაღწევენ. ჩიკაგოს სამიტი 2012 წლის მაისში უნდა ჩატარდეს.

ამ საკითხის შესახებ განცხადება გააკეთა სერგეი ლავროვმაც. მისი თქმით, ნატო არ არის მზად ანტისარაკეტო თავდაცვის საკითხში „სერიოზული თანამშრომლობისათვის. რუსეთი ევროპაში ამერიკის ანტისარაკეტო პროგრამას მძაფრად უპირისპირდება.

ჯინტონი სექსუალურ უმცირესობებს ისკვს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი



კლინტონმა მსოფლიოს მთავრობებს გეების მიმართ დისკრიმინაციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას გააქტიურებს. „ჰომოსექსუალები იბადებიან და არიან მსოფლიოს ყველა საზოგადოებაში“, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა ჟენევაში, გაეროს ოფისში გამოსვლისას. მისი ცნობით, ობამას ადმინისტრაციამ 3 მილიონი დოლარი გამოყო სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად. ასევე, ობამას მითითებით, ყველა საერთაშორისო ამერიკული სახელმწიფო უწყება ვალდებულია, შეებრძოლოს ჰომოსექსუალური ქცევის კრიმინალიზაციას ქვეყნებში, რომლებსაც ამერიკა ეხმარება.

სირიაში 5000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა

სირიაში ადგილობრივი არჩევნები ძალადობის ფონზე ტარდება. ოპოზიცია არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებისა და საყოველთაო გაფიცვისკენ მოწოდებებით გამოდის. სირიელი ოპოზიციონერების ინფორმაციით, 12 დეკემბერს უშიშროების ძალებთან შეტაკებისას 20 ადამიანი დაიღუპა.
გაეროს ცნობით, სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე სულ 5 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უწყების ხელმძღვანელმა გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე განაცხადა, რომ სირიაში 14 ათასი ადამიანია დაპატიმრებული, დაახლოებით 12 ათასმა კი მეზობელ სახელმწიფოებს შეაფარა თავი.
ეს ინფორმაცია სირიის წარმომადგენლებმა უარყვეს და შეაფასეს, როგორც არაობიექტური და უსამართლო. სირიის მთავრობის მონაცემები გაეროს შეფასებისგან განსხვავდება. მათი ინფორმაციით, სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელია მოკლული.

აჰმადინეჟადს ფეხსაცმელი ესროლეს

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს ფეხსაცმელი ესროლეს. ინციდენტი ქალაქ სარიში, პრეზიდენტის საჯარო გამოსვლისას მოხდა. ჟურნალისტების ცნობით, ფეხსაცმელი პრეზიდენტს ადგილობრივმა უმუშევარმა ესროლა, თუმცა ააცილა. უცნობია, დააპატიმრეს თუ არა აღნიშნული პირი.
ასეთი ინციდენტი 2008 წელს ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შეემთხვა. მაშინ ბუშს ერაყელმა ჟურნალისტმა მუნთადარ ალ ზაიდმ ფეხსაცმელი ესროლა.
„ეს გამოსამშვიდობებელი კოცნაა ერაყელი ხალხისგან, ძაღლო! ეს იმ ობლებისა და ქვრივებისთვის, ვინც ერაყის ომში დაიღუპა“, – დაიძახა ჟურნალისტმა. მას სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ერთ წელიწადში გაათავისუფლეს.

რიცხვები, ციტატები

4 სკოლის დირექტორი გორის რაიონში ქრთამის აღების ფაქტზე დაიჭირეს.

50 ათასამდე ადამიანმა მოსკოვში „ბალოტნის“ მოედანზე რუსეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები 10 დეკემბერს გააპროტესტა.

40 მილიონი ამერიკულ დოლარი დაიხარჯა 2010 წლის ქართულ სარეკლამო ბაზარზე "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მონაცემებით.

35 მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯა სატელევიზიო რეკლამებზე.

2,2 მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯა რადიოს რეკლამაზე.

1 მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯა ინტერნეტ რეკლამაზე.

15 ამერიკელი და ებრაელი ჯაშუში დააკავეს ირანში 12 დეკემბერს.

24 მილიონი ლარი დაიხარჯება ბიუჯეტიდან 3 ათას 400 ქართულ სოფელში 30-ლარიანი ვაუჩერის დასარიგებლად.

9–10 მილიონი წლის წინანდელი ნამარხები აღმოაჩინეს დედოფლისწყაროში.

77 პატიმარი გარდაიცვალა 2011 წლის პირველ ნახევარში ქართულ საპატიმროებში.



„არის სხვა სფეროები, სადაც მეტი პროგრესი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში უნივერსალური უფლებების დასაცავად, მათ შორის, კანონის წინაშე თანასწორობის გაძლიერება, ძირითადი შრომითი უფლებები, შეკრების და პრესის თავისუფლება და ოჯახური ძალადობის შემცირება“.

ჯონ ბასი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში

„სამხრეთ ოსეთი ყოველთვის იყო და იქნება დიდ რუსეთთან. რუსეთი ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორია სამხრეთ ოსეთისთვის და ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, გააფუჭოს ჩვენი ურთიერთობები“.

ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტი



„მნიშვნელოვანია, რომ ევროპულ ტერმინოლოგიაში მყარად დამკვიდრდა სიტყვა „ოკუპაცია“ და სიტყვა „ეთნიკური წმენდა“. ეთნიკური წმენდის დამკვიდრება ნიშნავს იმას, რომ ვერასოდეს ვერავინ ვერ დაიკანონებს ჩვენ მიტაცებულ სახლებს, ეზოებს, სოფლებს, გამოყრილი ხალხის ქონებას. ეს ქონება დაბრუნდება და მეორე – სიტყვა „ოკუპაცია“ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის მთავრდება დეოკუპაციით“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„მე გულწრფელად გავაფრთხილე ჩვენი კოლეგები, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, ისევ არ უბიძგონ საქართველოს არსებულ რეჟიმს 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მაგვარი ქმედებისკენ, რაც [ნატოს 2008 წლის აპრილის] ბუქარესტის სამიტიდან მალე მოხდა. მაშინაც უაპელაციოდ ჩაიწერა, რომ საქართველო იქნება ნატოში“.

სერგეი ლავროვი,
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

ნინო ნატროშვილის ბლოგი

უცნაური „მაშინა“ და „ტელეფონისტკები“

ახალი წელი მოდის... ამ დროს სულ იმაზე ვფიქრობ ხოლმე საკუთარ თავს რა საჩუქარი გავუკეთო. ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე, რომ ახალი ტელეფონი მინდა, თანაც, ჩვეულებრივი კი არა, iPhone... თუმცა იმაზეც ვფიქრობ მჭირდება, თუ „ვმარიაჟობ“, ხომ შეიძლება ვიყიდო ჩვეულებრივი ტელეფონი, რომლითაც დავრეკავ, დამირეკავენ, შეტყობინებებს გავაგზავნი და მივიღებ... დიახ, საქართველოში გვიყვარს ტელეფონებით მარიაჟობა... ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია მოვიკლოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მაგარი და ბოლო მოდელის ტელეფონი გვქონდეს.

გიორგი ცხადაიას ბლოგი

როგორ გადავჭრათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები

ამ საკითხზე საქართველოში აზრთა მრავალფეროვნება იშვიათად შემხვედრია. ამიტომ, დისკუსიის გამდიდრების მიზნით, გადავწყვიტე, რომ ჩემი ნორვეგიელი ნაცნობისთვის მეთხოვა, რომ ამ თემაზე დაეწერა და მისი ტექსტი ჩემს ბლოგზე განმეთავსებინა. მის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე რეალისტურია, თუმცა მისი განხორციელებისთვის, კონფლიქტში ჩაბმულ სახელმწიფოებში (და შესაბამისად, საზოგადოებებში) დემოკრატიის ხარისხი, ახლანდელთან შედარებით, საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს.
მოგიწოდებთ, რომ ამ თემაზე დისკუსიის დროს, თუ რაიმეს არ ეთანხმებით, პიროვნების ლანძღვის ნაცვლად, იდეის კრიტიკაზე გაამახვილოთ ყურადღება.

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

ჩვენი დროის ბარბაროსი

გაღვიძებისას, პირველი, რასაც თვალის გახელისას ვხედავდი, ჩემ წინ აღმართული ბიბლიოთეკიდან ერთი წიგნი იყო, „ჩვენი დროის გმირი“, ასე ერქვა. ლერმონტოვის იყო, თუ არ ვცდები. ეს წიგნი არასდროს წამიკითხავს, თუმცა ბავშვობაში, ყოველ შაბათ-კვირას, დილით, ვიგებდი, რომ ყველა დროს თავისი გმირები ჰყავს. ვინ გმირები? ჩემი პატარა ჭკუით, უბრალოდ, ვიღაც კარგი, კეთილი ტიპები, რომლებსაც უყვარდათ ადამიანები და რომლებიც უყვარდათ ადამიანებს.

ეულტიმედია

აქცია პატიმრების მხარდასაჭერად

უნდა ჰქონდეს თუ არა უცხო ჩაეთოს საარჩევ

დიახ

ლევან იზორია
„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, კონსტიტუციური სამართლის სრული პროფესორი

მართალია, კონსტიტუციის 27-ე მუხლი ამბობს, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ კატეგორიის პირებისთვის პოლიტიკური საქმიანობის საერთოდ აკრძალვას.

საქართველოში, ბევრი სხვა ევროპული სახელმწიფოს მსგავსად, შესაძლებელი უნდა იყოს უცხო ქვეყნების მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონეთათვის პოლიტიკური საქმიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. პირველ რიგში, ამ პირთა დიფერენციაციაა საჭირო. პირებს, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში, კარგად იციან სახელმწიფო ენა, იცნობენ ისტორიას და აინტერესებთ ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის უფლება. მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის თანახად, 5 წლის შემდეგ ამ პირთათვის მოქალაქეობის მინიჭებაც შეიძლება.

ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ პირთათვის როგორც პასიური, ანუ არჩევნებში ხმის მიცემის, ისე აქტიური, ანუ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების, პოლიტიკური უფლებები თვითმმართველობის დონეზეა უზრუნველყოფილი.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში ამ კატეგორიის პირთა წრეს საქართველოშიც ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება. მით უფრო, ეს ეხება იმ პირებს, ვინც ეთნიკურად ქართველია, გარკვეული მიზეზების გამო მოქალაქე არაა, მაგრამ სურვილი აქვს, აქ დამკვიდრდეს და გააგრძელოს ცხოვრება. ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მე ამის წინააღმდეგ მოვისმინე, მეზობელი სახელმწიფოებიდან მომდინარე რისკებს ეხება. მაგრამ რისკები შეიძლება საქართველოს მოქალაქეებისგანაც მომდინარეობდეს. თუ მაინცდამაინც ამ რისკებით არის ვინმე შეწუხებული, მაშინ განსაზღვროს მეგობარი სახელმწიფოების ნუსხა, რომლისგანაც ამ რისკებს ვერ ხედავს, მაგალითად, საფრანგეთისა და გერმანიის მოქალაქეებისგან, ხოლო ვისგანაც მოჭარბებულ საფრთხეს ელის, მათთვის შეზღუდოს პოლიტიკური მონაწილეობა.

ვენეციის კომისიის კონტრარგუმენტები და რეკომენდაციები ძალიან უსიამოვნო იყო ხელისუფლებისთვის, რომელიც გარკვეული ინიციატივების გასამართლებლად ხშირად აპელირებს ამ კომისიის დასკვნებით. რატომღაც, ისინი სწორედ ამ პუნქტში არ იზიარებენ კომისიის დასკვნებს და ვფიქრობ, რომ ეს ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გააქტიურების ფაქტორთანაა დაკავშირებული.

ქვეყნის მოქალაქეს უფლება, ვნო ხამპანიაში?

არა

კოკი იონათამიშვილი
თბილისის საკრებულოს წევრი

ჩემი აზრით, აქ გარკვეული რეგულაციები აუცილებლად უნდა არსებობდეს. თვითონ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, ბუნებრივია, და ამ საქმიანობაში სხვადასხვა რესურსები უნდა ჩაიდოს, როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური. მე მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ ჩვენი პარტნიორი ქვეყანა, ამერიკა, ძალიან ბევრ პროგრამას ახორციელებს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშესაწყობად. ამაზე მუშაობენ ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, დემოკრატიული ინსტიტუტი, საელჩო და ასე შემდეგ. ისინი ინტელექტუალურ დახმარებას უწევენ და ხელშემწყობი პროგრამები აქვთ პოლიტიკური პარტიის წევრებისთვის, ლიდერებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის... ეს გამოიხატება სხვადასხვა სასწავლო კურსების მოწყობში და ა.შ. ლოიალური და პარტნიორული დამოკიდებულება სწორედ ესაა და მას ნამდვილად რეალური ეფექტი მოაქვს, რამდენადაც პოლიტიკურ აქტივობაში ჩართული ადამიანები ნამდვილად ბევრ რამეს სწავლობენ.

ფინანსურ დახმარებას რაც შეეხება, პირადად მე ყოველთვის მომხრე ვიყავი, სახელმწიფოს მხრიდან პარტიებზე რაც შეიძლება მეტი დაფინანსება ყოფილიყო გათვალისწინებული. ეს საჭიროდ მიმაჩნია იმისთვის, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიეცეთ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა და ა.შ. რაც შეეხება სხვა ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობას არჩევნებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში, მიმაჩნია, რომ ნამდვილად უნდა არსებობდეს რეგულაციები და უფრო მეტიც, შეზღუდვები, რადგან ნებისმიერი ქვეყნის შემთხვევაში, არსებობს ალბათობა, რომ ბევრ ადამიანს, ორგანიზაციას, ქვეყანას, შეიძლება ჰქონდეს რაიმე ინტერესი. მით უმეტეს ეს ეხება ისეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, როგორიც საქართველოა.

სხვა ქვეყნის მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ ცალსახად გაწერილი რეგულაციების არსებობა ნამდვილად არ არის რომელიმე კონკრეტული ადამიანის ან ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული და შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად ნორმალური და ობიექტურია. ერთია, რომ პარტნიორი ქვეყნებიდან, ორგანიზაციებიდან და ადამიანებიდან ხელშეწყობა და დახმარება უნდა მიიღო, მაგრამ თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა, საბოლოოდ მაინც ამ ქვეყნის მოქალაქემ უნდა გადაწყვიტოს.

ოთხი შევაფასოთ ჩუსეთის საპროტესტო მოძრაობა

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი

რუსულ საპროტესტო მოძრაობას აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და საბოლოოდ, რომელი მხარე გადაწონის, უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ პოლიტიკური მოთამაშეები და სამოქალაქო აქტივისტები.

დუმის არჩევნებზე პუტინის და მედვედევის პარტიამ – „ერთიანმა რუსეთმა“ ხმების იმაზე ნაკლები რაოდენობა აიღო, ვიდრე თავად მოელოდნენ. 2007 წლის არჩევნებზე მმართველმა პარტიამ ხმების 64 % მოიპოვა, ბოლო არჩევნებზე კი – მხოლოდ 49.54 %. აღნიშნულ შედეგებს კიდევ უფრო აკნინებს ის ფაქტი, რომ არჩევნები საყოველთაო გაყალბების ფონზე მიმდინარეობდა. გაყალბების ფაქტის გათვალისწინებით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 49 პროცენტს დაახლოებით 5 პროცენტი მაინც უნდა მოაკლდეს.

განსაკუთრებული დარტყმა „ერთიანმა რუსეთმა“ დიდ ქალაქებში მიიღო. მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა ქალაქებში ბოლო დროს გამართული მიტინგები იმის დასტურია, რომ რეჟიმის სახალხო მხარდაჭერის დონე კლებულობს და მომავალში, მმართველ გუნდს ძალაუფლების შენარჩუნება უფრო მეტად არადემოკრატიული გზებით მოუწევს.

ზოგიერთმა დამკვირვებელმა შეიძლება იფიქროს, რომ რუსეთში ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ ტალღა გრძელდება, მაგრამ ამგვარი შეფასება გადაჭარბებული იქნება. „არაბულ გაზაფხულამდე“ იყო მასობრივი საპროტესტო აქციები ირანში, რომელსაც „მწვანეების მოძრაობას“ ეძახდნენ და იქამდე – ფერადი რევოლუციები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ სახალხო საპროტესტო ტალღების ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირება შეუძლებელია, რადგან ისინი განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში წარმოიშვა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, იმ საერთო კრიტერიუმების გამოყოფაა, რომელზე დაყრდნობითაც მათ შეფასებას შევძლებთ. მეორე ეტაპზე კი შეფასების ამ კრიტერიუმებს რუსეთის საპროტესტო მოძრაობასაც მივუყენებთ.

პირობითად გამოვყოფდი ოთხ კრიტერიუმს, რომელზე დაყრდნობითაც, ბოლო ათწლეულში განვითარებად სამყაროში წარმოშობილი საპროტესტო მოძრაობების შეფასება შეგვიძლია. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ოპოზიციის პარტიული და იდეოლოგიური აპარატის განვითარების დონე. აქ იგულისხმება ოპოზიციური პარტიების სტრუქტურის, იდეოლოგიისა და მობილიზაციის მექანიზმების სიმტკიცე. მაგალითისთვის, ეგვიპტური რევოლუცია იყო პოლიტიკურად დეცენტრალიზირებული მოძრაობის პროდუქტი, ანუ როგორც მისმა ერთ-ერთმა შემოქმედმა, „გუგლის“ პროგრამისტმა ვაელ რონიმმა აღნიშნა, „რევოლუცია 2.0”. კაიროს თაჰრირის მოედანზე შეკრებილი ხალხი ერთი პოლიტიკური იდეოლოგიის ქვეშ არ გაერთიანებულა. საწინააღმდეგო შეიძლება ითქვას ირანელ „მწვანეებზე“, რომლებიც, ძირითადად, ოპოზიციონერი კანდიდატის მირ ჰოსეინ მუსავისა და მისი პარტიის მხარდამჭერები იყვნენ.

მეორე კრიტერიუმი თავად რეჟიმის პოლიტიკური კონსოლიდაციის დონეა. მაგალითად, ირანში რეჟიმი სტრუქტურულად იმდენად მტკიცე და იდეოლოგიურად შეკრული აღმოჩნდა, რომ „მწვანეებმა“ მისი გატეხა ვერ მოახერხეს. საპირისპირო შეიძლება ითქვას ეგვიპტეზე, რომლის ხელისუფლებაც, ფაქტობრივად, ორად იყო გაყოფილი: სამოქალაქო და სამხედრო შტოებად.

მესამე კრიტერიუმია გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომელიც ერთგვარ „მაკროპოლიტიკურ“ ეფექტს ახდენს სახალხო მოძრაობებზე. იმ ქვეყნების ავტორიტარული რეჟიმები, რომლებშიც დასავლეთს სამხედრო ან ფინანსური ჩარევის ნაკლები მექანიზმები აქვს, უფრო ადვილად უძლებდნენ სახალხო უკმაყოფილებების ტალღებს, და პირიქით. ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა ლიბიაში ნატოს ჯარების ჩარევის, ეგვიპტეში – ამერიკელების „მოკავშირე“ სამხედროების, ან 2003 წლის საქართველოში დასავლელი დონორების ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ყველა ამ შემთხვევაში, დასავლეთმა ითამაშა აქტიური როლი და, ნაწილობრივ, განსაზღვრა სახალხო მოძრაობების ხასიათი.

იმ ქვეყნებში, რომლებიც პოლიტიკურად დასავლეთის მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ, მაგალითად, ირანსა და სირიაში სახალხო მოძრაობებმა ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს (თუმცა ამ ორის ბედი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას).

მეოთხე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც საპროტესტო მოძრაობები შეიძლება შევაფასოთ, ინტერნეტისა და ახალი მედიის ტექნოლოგიების გამოყენებაა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნებს შორის განსხვავებები ავტორიტარული რეჟიმების მიერ ინტერნეტზე და სოციალურ ქსელებზე დაწესებული ცენზურის დონეების ეკვივალენტურია.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კრიტერიუმით რუსეთში წარმოშობილი საპროტესტო მოძრაობის დახასიათება შეგვიძლია. დავიწყოთ იმით, თუ ვინ დგას პროტესტის უკან. მოსკოვში და პეტერბურგში გამართულ მიტინგებზე სხვადასხვა იდეოლოგიისა და პარტიული კუთვნილების ადამიანები ერთად შეიკრიბნენ საერთო მოთხოვნის – არჩევნების ხელახლა ჩატარების გარშემო. ამ აქციების ლიდერები როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო სექტორიდან ჩნდებოდნენ.

რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დუმის არჩევნებს აპროტესტებს

ცნობილი ლიბერალი პოლიტიკოსის, ბორის ნემცოვის გარდა, მოძრაობის გამოკვეთილ ფიგურებად შეიძლება მივიჩნიოთ ვებ აქტივისტი ალექსეი ნავალნი (რომელიც მილიციამ არჩევნების შემდეგ გამართულ პირველივე მიტინგზე დააკავა) და ევგენია ჩირიკოვა – ეკოლოგისტური სოციალური მოძრაობის „ეკო-დაცვის“ ლიდერი (მრავალ სხვა ჟურნალისტთან, სამოქალაქო აქტივისტთან, ყოფილ დისიდენტთან და პოლიტიკოსთან ერთად).

რუსეთის საპროტესტო მიტინგებზე შესაძლოა ერთმანეთის გვერდით იდგნენ ნაციონალისტები, მემარცხენეები და მემარჯვენეები, რომლებიც სხვა შემთხვევებში ერთმანეთს ვერ ეწყობიან, მაგრამ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტს ერთდროულად გამოთქვამენ.

არჩევნების შედეგების მიხედვით, დუმაში მმართველ პარტიასთან ერთად, კიდევ სამი ფსევდოოპოზიციური პარტიაც მოხვდა: "კომუნისტები" (გენადი ზიუგანოვი), "ლიბერალ-დემოკრატები" (ვლადიმერ ჟირინოვსკი) და "სამართლიანი რუსეთი" (სერგეი მირონოვი და ნიკოლაი ლევიჩევი). სამივე ეს პარტია კრემლთან დაახლოებით ისეთივე „კონსტრუქციულ“ დამოკიდებულებაშია, როგორც ჩვენთან – „ქრისტიან-დემოკრატები“ ხელისუფლებასთან.

თავად პუტინის რეჟიმი ლეგიტიმაციის კრიზისს განიცდის და ცდილობს, რომ სახალხო მხარდაჭერის მოპოვება მედიის კონტროლისა და რეგიონებზე თავისი გავლენის ხარჯზე მოიპოვოს (მაგალითად, ჩეჩნეთში, „ერთიანმა რუსეთმა“ ხმების 99 % აიღო). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეჟიმის პოპულარობა განსაკუთრებით დაეცა მას შემდეგ, რაც „ერთიანი რუსეთის“ შეკრებაზე მედვედევმა მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატად პუტინი დაასახელა.

დამოუკიდებელი რუსული გამოცემის „ნოვაია გაზეტას“ პოლიტიკური კომენტატორი ლეონიდ გოზმანი წერს: „მოვლენა, რომელიც ქვეყანაში 4 დეკემბერს მოხდა, სრულიადაც არ იყო პარლამენტის არჩევნები. დაივიწყეთ პარლამენტი. ეს იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მომენტი – ეროვნული მასშტაბის რეფერენდუმი ახლანდელი ლიდერისა და მის მიერ აშენებული სისტემისადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხის შესამოწმებლად. და ეს რეფერენდუმი ხელისუფლებამ წააგო.“

მართალია, რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ დარჩა კონტროლისა და მართვის სოლიდური მექანიზმები, მაგრამ მან სულ მცირე, რუსეთის დიდ ქალაქებში, სერიოზული დარტყმა მიიღო. „ერთიანი რუსეთის“ საჯარო იმიჯი კი საფუძვლიანად შეირყა.

რაც შეეხება გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ამ მხრივ, ბევრი არაფერი შეცვლილა. მედვედევ-პუტინის რეჟიმი ჯერ კიდევ ცდილობს თავისი ანტიდასავლური იმიჯის განმტკიცებას და ე.წ. „ევრაზიული იდეის“ წინ წამოწევას. რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „გოლოსი“, რომელიც არჩევნებს აკვირდებოდა და მასობრივი დარღვევების ფაქტებს აქვეყნებდა, კრემლის მიერ მართული ტელეარხების შეტევის მსხვერპლი გახდა. ტელეარხი „ენ-ტე-ვე“ მას უცხოური მთავრობების აგენტურის ნაწილად ნათლავს.

მასობრივი კონტროლის მიუხედავად, ოპოზიციური ჯგუფები ახალი მედიისა და ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის გადაცემას მაინც ახერხებენ, თუმცა რუსულ ვებსაიტებს, თავის დასაცავად, უცხოურ სერვერებზე გადასვლა მაინც უწევთ. ამ ფონზე, განსაკუთრებით პოპულარული ამერიკული სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ გახდა, რომლის დაბლოკვის შესაძლებლობებიც, ჯერჯერობით, რუსეთის ხელისუფლებას არ აქვს.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რუსულ საპროტესტო მოძრაობას აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და საბოლოოდ, რომელი მხარე გადაწონის, უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ პოლიტიკური მოთამაშეები და სამოქალაქო აქტივისტები. ჯერჯერობით, ისე ჩანს, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის „ერთიან რუსეთს“ სერიოზულ პრობლემებთან გამკლავება მოუწევს.

ვასსჯვლავის ხვდომა

მარკ მალენი

ალბათ, გახსოვთ ცოტა ხნის წინ გამოცემული კანონი, რომელიც საბჭოთა შენობების დემონტაჟზე ნებართვის გაცემას ეხებოდა. ამის შესახებ ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ერთ მცირე ფრაქციას ეკუთვნოდა და მხოლოდ მათ გასახარებლად იყო მიღებული, ამიტომაც არაფერი მოხდებოდა და შესაბამისად, ნერვიულობა არ ღირდა. მაშინ საბჭოთა სიმბოლიკის განადგურებაზე სახელმწიფო ნებართვის გაცემის წინააღმდეგ დავწერე, რის გამოც მკაცრად და სარკასტულად გამაკრიტიკეს. „დომ კინო“-ს თავზე ვარსკლავი უკვე გაქრა. ჩემი სახლის აივანი, ჩრდილოეთით, „კინოს სახლს“ გადაჰყურებს. მრავალი საღამო გამიტარებია მის ყურებაში. ამიტომაც ამ შენობასთან და ვარსკვლავთან, ბევრი მიზეზის გამო, განსაკუთრებული პერსონალური მიჯაჭვულობა მაკავშირებს.

პირველი მიზეზი ამ შენობის სტალინისტური არქიტექტურული სტილია, რომელიც ძალიან წააგავს იტალიაში და გერმანიაში შემორჩენილ ფაშისტურ სტილს, მაგალითისთვის გამოდგება მილანის და შტუდგარტის მატარებლის სადგურები, ან თუნდაც რასელის მოედანზე სენატის სახლის უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელიც, სავარაუდოდ, ჯორჯ ორუელის „1984“-ში აღწერილი სიმართლის სამინისტროს მოდელია. როგორც ამერიკელს, ეს ვარსკვლავი მუდამ მახსენებდა, რომ საქართველო ერთ დროს საბჭოთა რესპუბლიკა იყო. ეს გარკვეული გაფრთხილება იყო და ძალიან სასარგებლოც კი. თითქოს მეუბნებოდა: „ფრთხილად იყავი, ამერიკელო, ამ ქვეყანას, რომელიც შეგიყვარდა, ბნელი და სევდიანი მხარეც აქვს – შიშის და შევიწროების.

საქართველო მხოლოდ მაშინ შეძლებს დაუცველობის შეგრძნების გადალახვას, როდესაც მითური ისტორიული ამონარიდების ნაცვლად, საკუთარ ისტორიას სრულად მიიღებს. არქიტექტურას ერთი შესანიშნავი ასპექტი აქვს – ჩვენს წარსულ რეალობებს გვახსენებს. წარსულის რეალობების მანიპულირებით და მათი შემახსენებელი სიმბოლოების განადგურებით კი, კვლავ ამ წარსული რეალობების განმეორების საფრთხის წინაშე ვდგებით.

ეს ქვეყანა მხოლოდ სუფრების, სტუმართმოყვარეობის, ლამაზი მუსიკის და გულუხვობის შესახებ არ არის. ყოველთვის გახსოვდეს ეს, და დემოკრატიის, კეთილდღეობის და პროგრესის ძიებაში გულუბრყვილობას ნუ გამოიჩენ.“ საქართველოში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ამ ქვეყანაში დაფუძნება გადავწყვიტე, ეს გამაფრთხილებელი ნიშანი ნუგეშად მომეჩვენა. ის მუდამ მახსენებდა საქართველოს კომპლექსურობას და მრავალფეროვან წარსულს.

საქართველოს საბჭოთა წარსული საკმაოდ მალე გაუფერულდა: რუსული ენა დავიწყებას მიეცა, რევოლუციის შემდეგ საბჭოთა სტილის ბიუროკრატია აღმოიფხვრა, ქუჩებში კი აღარ ჩანან „ჟიგულები“. ეს, გარკვეულწილად, პროგრესის ნიშანია, თუმცა წარსულის შემახსენებელი ის ვარსკვლავი მაინც ძალიან სასარგებლო იყო.

ამ ვარსკვლავის კიდევ ერთი ასპექტი ისაა, რომ იგი დაახლოებით ისეთსავე სიმბოლოს წარმოადგენდა, როგორსაც ჩემი მშობლიური ქალაქის, დალასის სიმბოლო. მართალია, ადგილობრივი ქართული მოსახლეობისთვის ეს საბჭოთა ვარსკვლავი იყო, თუმცა ხუთქიმიანი ვარსკვლავი საკმაოდ გავრცელებული სიმბოლოა. დალასი შეიძლება მსოფლიოში ყველაზე ანტი-კომუნისტურ ქალაქად ჩაითვალოს, ამის მიუხედავად, მის სიმბოლოს, როგორც საქართველოში უწოდებდნენ, „საბჭოთა ვარსკვლავი“ წარმოადგენს. დალასში ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავი საბჭოთა სიმბოლოს წარმოადგენდა. მათთვის ის უბრალოდ ქალაქის სიმბოლოა. საქართველოში ამ ვარსკვლავისთვის მინიჭებული პირობითი მნიშვნელობა ჩემთვის სიმბოლოების ორაზროვანი ბუნების შესახებ კარგ გაკვეთილად იქცა.

თბილისში ბევრი ლამაზი და ძველი

შენობაა. ზოგ მათგანს არემონტებენ, ზოგს ანგრევენ, ზოგს ფასადებს უცვლიან ან აღადგენენ. თბილისის არქიტექტურული სტილი უბნიდან უბანში განსხვავდება, თუმცა ტურისტებისთვის სტალინის პერიოდში აშენებული შენობები ისევე მიმზიდველია, როგორც უფრო ძველი, რევოლუციამდელი შენობები. მუდამ ვაწყდები ტურისტებს, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურის შემორჩენილი რელიქვიების წინ იღებენ ფოტოებს. ამით მათ სულაც არ უნდათ იმის თქმა, რომ „საქართველო საბჭოთა ქვეყანაა“. ეს, უბრალოდ, მათთვის ძალიან განსხვავებულ რამეს წარმოადგენს. მსოფლიოში უამრავი ქალაქი და ლამაზი ძველი შენობა არსებობს, თუმცა ცოტა ქალაქში თუ შეხვდებით საბჭოთა შენობებს და სიმბოლოებს. მათი წაშლა ტურისტების მოზიდვისთვის კონტრპროდუქტიული იქნება. იმელის შენობის დემონტაჟის გაგრძელება ძალიან დიდი შეცდომა იქნება. სხვათა შორის, ვინმემ თუ შენიშნა, რა რთულია მის წინ გავლა?

თუმცა არც ყველა საბჭოთა არქიტექტურის შენობის შენარჩუნებას ვუჭერ მხარს. „ხრუშჩოვკები“ რაც შეიძლება მალე უნდა დაინგრეს. მათი უმეტესობა უკვე თავისით ინგრევა. გორის ცენტრიდან სტალინის ქანდაკების გადატანასაც მივესალმები. სტალინს მილიონობით ადამიანის სიკვდილში მიუძღვის წვლილი და მისი ქანდაკება ამ მსხვერპლთა შთამომავლებისთვის შეურაცხმყოფელი იყო. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ თქვათ, რომ „ადამიანები საბჭოთა კავშირმა მოკლა“, თუმცა პერიოდი არ კლავს ადამიანებს. დიახ, საბჭოთა პერიოდი ცუდი იყო, ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს საქართველოს ისტორიის პერიოდი იყო და ის დასრულდა. ნამდვილად დასრულდა.

არის კი კომუნისტებზე შურისძიების საუკეთესი გზა პარლამენტის შენობის დანგრევა, რომელმაც თავის დროზე ტაძარი ჩაანაცვლა?

კიდევ ერთი რამ, რაც მაშფოთებს, ამ ვარსკვლავის საიდუმლოდ გაქრობაა. ეს უკვე საქმიანობის ჩვეულ ნორმად იქცა. ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით წინასწარ განცხადება უნდა გაკეთებულიყო და განხილვა მოწყობილიყო. არადა, რა ღირებული და საინტერესო დისკუსია იქნებოდა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცემოდა აზრის გამოთქმის და დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება. რა თქმა უნდა, ეს უმეტეს მოქალაქეებს არ დააინტერესებდა, თუმცა საჯარო დისკუსიის გამართვა მაინც ძალიან საინტერესო იქნებოდა. დღევანდელ პირობებში კი უცნობია, რა პირობებში და ვისი მონაწილეობით შედგა ეს განხილვები. ეს მხდალი ნაბიჯი იყო. და სად არის ახლა ეს ვარსკვლავი? გადააგდეს თუ რამდენიმე ლარად გადაადნეს? იქნებ მთავრობის რომელიმე წევრის ავტოფარეხში BMW SUV-ის გვერდით ინახება? პასუხი ამ კითხვებზე ჩვენთვის უცნობია და სავარაუდოდ, არც არასოდეს გახდება ცნობილი.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისთან შედარებით, მსოფლიოს ყველა სხვა ქალაქს მოკლე ისტორია აქვს. დალასს ნაკლებად აღელვებს თავისი მოკლეხნიანი ისტორია. საკუთარი ისტორიისადმი უპატივუცემლობას, ჩვეულებრივ, პროგრესისადმი და კომერციისადმი პატივისცემას უტოლებენ. მე ასე არ მივიჩნევ. ეს არ ყოფილა კომერციული გადაწყვეტილება და ვერც პროგრესს ვხედავ ამაში, მხოლოდ დაუცველობის შეგრძნებას.

საქართველო მხოლოდ მაშინ შეძლებს ამ დაუცველობის შეგრძნების გადალახვას, როდესაც მითური ისტორიული ამონარიდების ნაცვლად, საკუთარ ისტორიას სრულად მიიღებს. არქიტექტურას ერთი შესანიშნავი ასპექტი აქვს: ჩვენს წარსულ რეალობებს გვახსენებს. წარსულის რეალობების მანიპულირებით და მათი გამახსენებელი სიმბოლოების განადგურებით კი, კვლავ ამ წარსული რეალობების განმეორების საფრთხის წინაშე ვდგებით.

მემარცხენეობა ჩოგბურთს ცხოვრების პრინციპი

ინტერვიუ პოლიტოლოგიის მაგისტრანტ და მემარცხენესთან,

ნიკუშა მარქსთან

საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ მემარცხენე იდეები დროებით დაასამარა. 90-იან წლებში მკვეთრად გამოხატული ნაციონალური დისკურსი მოგვიანებით მემარჯვენე-ლიბერტარიანულმა დისკურსმა ჩაანაცვლა. სოციალური მედიის გააქტიურებასთან ერთად კი ქსელებში მემარცხენე ახალგაზრდები გამოჩნდნენ. რაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათი ბლოგ-პოსტების საფუძველზე?

რა არის მემარცხენეობა – იდეოლოგია, ილუზია, აზროვნების წესი თუ ალტერნატიული სამყაროს შექმნის რეალური საშუალება?

ჩემი აზრით, მემარცხენეობა ყველაფერია, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. ის, პირველ რიგში, გამომდინარეობს მარქსის ცნობილი ფრაზიდან – ფილოსოფოსები ადრე ხსნიდნენ სამყაროს, ჩვენი მიზანია, ის შევცვალოთ. მემარცხენეობა ამ ცვლილების დაუოკებელი სურვილია. ხშირ შემთხვევაში ეს არის ილუზია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, ხშირად კი ის პრაქტიკულად განხორციელებული რამაა.

რომ არა მემარცხენე ალტერნატივა, არ გვექნებოდა 8-საათიანი სამუშაო დღე, არ გვექნებოდა დასვენება შაბათ-კვირას, იმიტომ, რომ ბიზნესს ეს არ სჭირდება. აი, მეცხრამეტე საუკუნის გაზეთებში იწერებოდა, რომ თუ არ გამოვიყენეთ 10 წლამდე ბავშვების შრომა მაღაროებში, ბიზნესი ვერ გადარჩება, შაბათ-კვირას ხალხი რომ არ ვამუშავოთ, ბიზნესი ვერ განვითარდება.

მემარცხენეობა, პირველ რიგში, მაინც ადამიანის სურვილია, გარდაქმნას საკუთარი რეალობა.

რამდენად ადეკვატურია ამ ადამიანის შეფასებები გარდაქმნასთან დაკავშირებით? რეალისტურად აფასებს ამ გარდაქმნას თუ ილუზორულად?

გააჩნია რომელ რეალობაში ცხოვრობს ის. მაგალითად, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში მემარცხენე რეალობა იყო მსოფლიო ტენდენცია. ფაქტი იყო, რომ ადამიანები ცვლიდნენ სამყაროს მთელ ევროცენტრულ სამყაროში. მაგრამ დღეს ეს ყველაფერი ძალიან ილუზორულად გამოიყურება. საბჭოური პროექტის დასრულებისა და კეთილდღეობის სახელმწიფოების შემცირების შედეგად, გასული საუკუნის ოპტიმიზმი ილუზორული გახდა.

რამ გამოიწვია ეს?

ვიზიარებ იმ აზრს, რომ მემარცხენეობა პრაგმატული გახდა. მემარცხენეებმა უტოპიის განცდა დაკარგეს. არ ვგულისხმობ ერთბაშად კომუნიზმის აშენებას. მემარცხენეობა ადრე სხვა გზა, სხვა ტენდენცია იყო, ეს შეიძლება ყოფილიყო საბჭოური გზა, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, სამხრეთ აზიური გზა, ლათინო-ამერიკული ან იუგოსლავიური ვარიანტები. დღეს ყველაზე ცუდი ისაა, რომ თავად მემარცხენეებმა დაიჯერეს, რომ ეს ყველაფერი უტოპიაა.

მემარცხენეობა სიმდიდრის გადანაწილების ძალიან პრაგმატულ მეთოდად იქცა, რამაც ამ სოციალურ იდეას მოქნილობა დაუკარგა. ერთია, როდესაც რაღაც ახალს, პროგრესულს ქმნი, მეორეა, როცა იღებ ძველს და მის შეცვლას ცდილობ.

ჩემი აზრით, თუ ამ იდეებს არ დაუბრუნდებათ უტოპიურობის შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ საჭიროა რაღაც ახლის შექმნა, მაშინ ეს კრიზისი კიდევ უფრო გაძლიერდება. მაგალითად, როდესაც ევროპაში მემარცხენე მთავრობები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათ ყველაზე მემარჯვენე პოლიტიკა გაატარეს, რადგანაც თავად დაიჯერეს, რომ ეს რადიკალური კაპიტალიზმის თავიდან აცილების ერთადერთი გზა იყო. ამ გადაწყვეტილების შედეგად მოსახლეობამ მთლიანად დაკარგა რწმენა მემარცხენე პარტიების მიმართ.

თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ალტერნატიული სამყაროს შექმნა?

ანტიგლობალისტების და არამარტო ანტიგლობალისტების ლოზუნ-

ფოტო: ლევანი ბერიძეშვილი

გია – another world is possible. ეს შესაძლებელია, მაგრამ არის მეორე მომენტიც. ლათინურ ამერიკაში მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენა, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის ლოგიკაშივე მოხდეს ცვლილება. შეიძლება მოვიტანოთ ვენესუელის მაგალითი, რომელსაც ძალიან აკრიტიკებენ არადემოკრატიულობის გამო, მაგრამ წარმოვიდგინოთ არადემოკრატიულ სახელმწიფოში ექვსი ტელევიზიიდან ხუთი ოპოზიციურია, დედაქალაქის მერი ოპოზიციის წარმომადგენელია, ხუთი გუბერნატორიდან ორი ოპოზიციონერია, რაც მთავარია, ვენესუელამ მოახერხა და ათ წელიწადში სამჯერ შეამცირა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა რიცხვი.

თითქოს მიიჩნევა, რომ მემარცხენეობა ინფანტილიზმია და მემარცხენეები ინფანტილურები არიან. ვინ არიან რეალურად მემარცხენეები?

რომელი უფრო ინფანტილიზმია, როდესაც 20 წლის ადამიანს სჯერა, რომ რაღაცას შეცვლის თუ ის, რომ სჯერა, 20 წლის მერე მილიონერი ან მილიარდერი იქნება?

ბუნებრივია, მემარცხენეობაში არის რადიკალიზმის ელემენტებიც, რაც მასში ინფანტილიზმის ასოციაციებს იწვევს, თუმცა არანაკლები რადიკალები არიან შუა ხნის თანამედროვე ინტელექტუალებიც. კავშირი ინფანტილიზმსა და მემარცხენეობას შორის იმდენივეა, რამდენიც კავშირი ინფანტილიზმსა და მემარჯვენეობას შორის. ნებისმიერ იდეოლოგიაში არის თავისებური უტოპია, რომლისაც სჯერათ. მემარცხენეებს სჯერათ, რომ შეცვლიან სამყაროს, მემარჯვენეებს კი სჯერათ, რომ ისინი მილიონერები იქნებიან.

რას გვთავაზობს მემარცხენეობა ისეთს, რასაც არ გვთავაზობს მემარჯვენეობა ან თუნდაც ცენტრიზმი?

მემარცხენეობა დღეს განვითარების სრულიად ახალ გზას გვთავაზობს. არა ორიენტაციას ტურისტული სამოთხის შექმნაზე ბათუმში, სადაც წელიწადში ორასი დღე წვიმს, არამედ ორიენტირს სახელმწიფოსა და საზოგადოების რესურსებით ახალი ეკონომიკის შექმნაზე.

ეს შესაძლებელია?

კი, ოღონდ აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი – ამისთვის სახელმწიფოს გარდაქმნაა საჭირო. ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების როლი უნდა იყოს მკვეთრად გაზრდილი.

რა არის დღევანდელ საქართველოში მემარცხენეობისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა და დაბრკოლება?

საქართველოში მემარცხენეობა ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ეს, პირველ რიგში, საბჭოური მანკიერი ტრადიციაა, რომელმაც ჩვენში მემარცხენე იდეები მოკლა. ეს ტრადიცია განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობების შედეგად გაძლიერდა, ქართულმა საზოგადოებამ სოციალ-დემოკრატიული იდეები პირდაპირ საბჭოთა კავშირს დაუკავშირა, რომელიც ბოლო წლებში ნამდვილად იყო ნეგატიური მოვლენა.

ეს სერიოზული გამოწვევაა, რთულია სოციალ-დემოკრატიის სიკეთეებზე ელაპარაკო იმ ხალხს, ვისაც საბჭოთა კავშირის ნეგატიური პროცესები ახსოვს. მაგრამ ასევე არის დადებითი მხარეც. საბჭოთა კავშირი გარდა ნეგატივისა, საკმაოდ კარგი სოციალისტური სახელმწიფო იყო.

ამბობთ, რომ საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ დააჩქარა მემარცხენე იდეების მიმართ იმედგაცრუება. თუ საბჭოთა კავშირი კარგი სოციალისტური სახელმწიფო იყო, ეს რატომ მოხდა?

საბჭოთა კავშირში მიღწევები მოცემულობად მიიჩნეოდა. განათლების, უფასო ჯანდაცვის, უფასო საცხოვრებლის უფლება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც სიცოცხლის უფლება და ეს მიღწევად არ აღიქმებოდა.

გაიზარდა რამდენიმე თაობა, რომლისთვისაც ეს ყველაფერი სტანდარტული ცხოვრების შემადგენელი ელემენტები იყო. სამაგიეროდ, უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ სიტყვისა და გამოხატვის, არჩევნის გაკეთების ან თავისუფლად გადაადგილების უუფლებობას.

შედეგად, ისეთმა სიტყვებმა, როგორიცაა „სოციალიზმი“, „საბჭოთა კავშირი“, ნეგატიური დატვირთვა შეიძინა.

მემარცხენე იდეების მიმართ იმედგაცრუების შემდეგ ჩნდება თუ არა კვლავ მემარცხენე ტენდენციები?

იწყება. მე 26 წლის ვარ, საქართველოში ჩემზე უფროსი მემარცხენეები თითქმის არ არსებობენ, სამაგიეროდ, სოციალურ ქსელებში ქართველი მემარჯვენეებისა და ქართველი ლიბერტარიანელების მთავარი პრობლემა ახალგაზრდა მემარცხენეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდაა. ელიტა ძალიან ადრე ხვდება ხოლმე ტენდენციებს, ძალიან ადრე ხვდება, თუ ვისგან ელის მას საფრთხე. დღეს საქართველოში ოლიგარქიული, სახელმწიფოსთან შეზრდილი ბიზნესი ძალიან კარგად ხვდება, რომ მისთვის ყველაზე მძიმე დარტყმის მიმყენებელი მემარცხენე ახალგაზრდები არიან.

რატომ გაჩნდნენ მემარცხენე ახალგაზრდები?

ეს მარტივად ასახსნელია, საბჭოთა კავშირის დანგრევიდან ოცი წელი გავიდა, გავიგეთ, რომ ის ცუდი მოვლენა იყო, მაგრამ ისმის კითხვა – რაშიც ვცხოვრობთ, ეს კარგია? მე არ მომწონს.

ოცი წლის შემდეგაც, როდესაც მეუბნებიან, რომ პრობლემები საბჭოთა კავშირიდან მოდის, ეს ჩემთვის არგუმენტი არ არის! ის, რომ სამუშაო ადგილების უქონლობას საბჭოთა კავშირს აბრალებ, არასერიოზულია. ჩემი თაობა ხვდება, რომ მსგავსი რიტორიკით გვატყუებენ. ჩვენ არ გვინდა ვიცხოვროთ ქვეყანაში, სადაც მოვემსახურებით ერთი, ხუთი ან თუნდაც ათი პროცენტის ინტერესებს.

ამბობ, რომ საბჭოთა კავშირი უკვე ისტორიის საკუთრებაა. მაგრამ მაინც ვსაუბრობთ საბჭოთა ფობიებისა თუ საბჭოთა გადმონაშთების შესახებ. რატომ არის ეს დღეს აქტუალური?

ვიღაცას ხომ უნდა დააბრალონ საკუთარი სისუსტე. ძალიან მარტივია გყავდეს ბუა, რომელსაც დააბრალებ

წარუმატებლობებს. თანაც არსებობს დისიდენტური დამოკიდებულებებიც. ვგულისხმობ ინტელექტუალებს, რომლებიც საბჭოთა კავშირს ებრძოდნენ და მათი ბრძოლის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი სულ სხვა პროცესების გამო დაიშალა. დღესაც ენატრებათ შეგრძნება, რომ ისინი ებრძოდნენ მონსტრს. ერთია, როცა შენს სახელმწიფოში ვერ ცვლი ვერაფერს, რადგანაც სახელმწიფოს ფეხებზე ჰკიდიხარ და მეორე, როდესაც საკუთარ უძლურებას უხილავ მონსტრს აბრალებ.

მსოფლიოში რა სიტუაციაა მემარცხენე ტენდეციების მხრივ?

სიმართლე გითხრათ, პიროვნულად ძალიან ოპტიმისტი ვარ, მაგრამ, როგორც მემარცხენე – ძალიან სკეპტიკოსი. ძალიან ბევრი სერიოზული ეკონომისტი წინასწარმეტყველებდა, რომ 2000-იან წლებში სერიოზული კრიზისი დადგებოდა. 2007 წლის კრიზისის შემდეგ ხალხმა დაიწყო კითხვების დასმა – დადგა კრიზისი, რომელსაც თქვენ წინასწარმეტყველებდით, რა იქნება შემდეგში? მემარცხენეები არსად არ აღმოჩნდნენ მზად, საკუთარ ხელში აეღოთ ძალაუფლება. ჩვენ, მემარცხენეების დიდ ნაწილს, გვირჩევნია ერთმანეთი ვლანძღოთ, ერთმანეთს ვუმტკიცოთ, ლენინი უფრო ჭკვიანი კაცი იყო თუ ტროცკი. დღეს მემარცხენე მოძრაობას არ აქვს უნარი, ხელში აიღოს ძალაუფლება და საკუთარი პროგრამები განახორციელოს.

კანონზომიერია თუ არა, რომ მემარცხენეები უუნარო ინტელექტუალებად ყალიბდებიან და არა მოქმედ პოლიტიკოსებად?

თანამედროვე მემარცხენე მოძრაობამ და მემარცხენე ინტელექტუალებმა ერთმანეთთან კავშირი დაკარგეს. დღეს ძალიან ბევრ ინტელექტუალს ურჩევნია, ბობოქარი რადიკალური ბრძოლა საკუთარ კათედრაზე ჰქონდეს, ვიდრე ეს პრაქტიკაში გადაიტანოს. იმიტომ, რომ ურთიერთკავშირი პარტიებსა და ინტელექტუალებს შორის დაკარგულია.

რატომ მოხდა ეს?

ბევრი მიზეზია. ჯერ ერთი, ევროპაში პარტიების კრიზისია და მეორეც: ზოგიერთი მემარცხენე მოძრაობა გაჩერდა და ერთ ადგილს ტკეპნის. მემარჯვენეები, რომლებიც მემარცხენეებზე ნაკლებად ინტელექტუალები არიან, უფრო ადეკვატურები აღმოჩნდნენ ამ სიტუაციაში.

მემარჯვენეთა იდეები უფრო ადეკვატური აღმოჩნდაო, აღნიშნეთ. ამჟამად მემარცხენეობა არის კი ადეკვატური?

ნებისმიერ იდეოლოგიაში არის თავისებური უტოპია, რომლისაც სჯერათ. მემარცხენეებს სჯერათ, რომ შეცვლიან სამყაროს, მემარჯვენეებს კი სჯერათ, რომ ისინი მილიონერები იქნებიან.

არის. ნეოლიბერალურმა რევოლუციამ სამყარო ლამის კატასტროფამდე მიიყვანა. დღეს არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც არ მთავრდება და უკვე ძალიან ბევრი ეკონომისტი საუბრობს ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღაზე. საჭიროა ცვლილებები, რომელსაც მემარცხენეობა გვთავაზობს.

საქართველოში თუ არსებობენ მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური პარტიები?

საქართველოში ყოველი არჩევნების წინ ყველა პარტია მემარცხენეა. არის „სოციალ-დემოკრატების“ ახალგაზრდა პარტია, სხვა ყველა დანარჩენები მემარცხენე-პოპულისტები არიან.

ახსენე, რომ მემარცხენე იდეებს პარტიების უმრავლესობა არჩევნების წინ პოპულიზმისთვის იყენებს. ამის მიზეზი რა არის?

ხალხი ყველა ეპოქაში, ყველა სახელმწიფოში ბევრად უფრო მემარცხენეა, ვიდრე მემარჯვენე. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა.

მემარცხენეობაში საკმაოდ ბევრი განშტოებაა. შენ რომელ მათგანს მიეკუთვნები?

მე საკმაოდ საინტერესო ტრანსფორმაცია გავიარე. მემარცხენეობა დავიწყე რადიკალური, უტოპიური, სტალინისტური შეხედულებებიდან, ტრანსფორმაცია განვიცადე სოციალ-დემოკრატობამდე, თუმცა უფრო მარცხნივ ვდგავარ, ვიდრე თანამედროვე ევროპული სოციალ-დემოკრატია.

როგორ ახსნი ამ ტრანსფორმაციას?

ორი რადიკალური შეხედულება არსებობს მარჯვნიდან და მარცხნიდან. მარჯვნიდან ეს არის თავისუფალი ბაზრის უსაზღვრო რწმენა, მარცხნიდან კი კომუნისტური საზოგადოების აშენების ილუზია. ჩემი აზრით, ორივე ერთნაირად აბსურდულია.

მე ვფიქრობ, სოციალ-დემოკრატიული გზა არის თანასწორი, სოლიდარული საზოგადოების შექმნის საუკეთესო საშუალება. ეს არ არის არსენას პოლიტიკა – მდიდრებს ვართმევთ და ღარიბებს ვაძლევთ. ეს არის გზა, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება ერთად ცდილობენ შექმნან ახალი ეკონომიკის დარგები, ახალი საწარმოები და რაც მთავარია, თანამედროვე სოციალ-დემოკრატია უფრო მეტად არის ორიენტირებული ბიზნესზე, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლება.

რა არის მემარცხენეობა შენთვის?

მემარცხენეობა ჩემთვის ცხოვრების წესია. ძალიან პათეტიკურად შეიძლება გამომივიდეს, მაგრამ მემარცხენეობა ჩემთვის არჩევანია. ადამიანი არ არის კუნძული, ჩვენ დიდი სამყაროს ნაწილები ვართ და ჩვენი მიზანი ამ სამყაროს მუდმივი ცვალებადობა უნდა იყოს. ისევ მარქსს მივუბრუნდები – მხოლოდ ახსნა საკმარისი არაა, ის უნდა შევცვალოთ.

ესაუბრა თინა ყიფშიძე.

ფოტო: ლევან ხარიტონიანი

სილოსტაჯის ზღვის მილმა

კონწლიაშვილების ოთხსულიანი ოჯახი მუხიანის „სამხედრო დასახლებაში“, ნათხოვარ კონტეინერში ცხოვრობს. თუკი მუხლამდე ტალახში ჩაფლობის არ გეშინიათ, კონტეინერამდე ფეხით უნდა მიხვიდეთ, რადგან სამანქანო გზა დანგრეულია.

ზურაბ ვარდიაშვილი

უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს მეზობელმა ვაგონი ათხოვა

კონწლიაშვილებს ოფიციალური მისამართი არ გააჩნიათ, თუმცა მათი მიგნება ძნელი არ არის – ვაგონში, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახის ამბავი დასახლებაში ყველამ კარგად იცის. ოჯახის უფროსი ვეფხია კონწლიაშვილი, ათ წელზე მეტია, მძიმე სენით, ტუბერკულოზით იტანჯება. დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია.

„6 წელი მაინც იქნება, ქალაქში არ გავსულვარ“, – ამბობს ვეფხია – „ფეხით მხოლოდ რამდენიმე მეტრის გავლა შემიძლია, ვაგონში რომ დავბრუნდე, ვინმე უნდა დამეხმაროს“. იგი მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს, რის გამოც მისი მეუღლე მაია ვერ მუშაობს. ოჯახი მწირი სოციალური დახმარების იმედად არის. 17 წლის ნინო და 16 წლის ბექა სრულფასოვან განათლებას ვერ იღებენ, რადგან დედასთან ერთად ყოველდღიურად უწევთ სარჩოს ძიება.

მაია კონწლიაშვილი წუხს, რომ ვერ გვიმასპინძლდება: – „საკვების პრობლემა გამუდმებით გვაქვს, მე და ვეფხია ხშირად დავრჩენილვართ მშივრები, რადგან მეზობლების მიერ მოწვდილი საჭმელი ბავშვებისთვის გადაგვინახავს“.

მაია და ვეფხია 18 წელია, ერთად ცხოვრობენ, ვაგონის წინ მდებარე კორპუსში ბინა ჰქონდათ ნაგირავები. ვინაიდან ეკონომიკურად ძალიან უჭირდათ, გირაოს ვადის გასვლის შემდეგ ბინის დაქირავება ვეღარ შეძლეს. „მეზობელს შევეცოდეთ და ეს ვაგონი მოგვცა, მე-8 წელია, აქ ვცხოვრობთ“.

კონწლიაშვილების საცხოვრებელი ვაგონის წინ ნაგვის კონტეინერები დგას, მაიას თქმით, მან კონტეინერები მოშორებით ბევრჯერ გაათრია, მაგრამ დასუფთავების სამსახურს კვლავ უკან მოაქვს, „სიცხეში ნაგავი ყარს და აქ აუტანელი სუნი ტრიალებს“, – ამბობს მაია.

ოჯახმა საცხოვრებლის თხოვნით თითქმის ყველა უწყებას მიმართა. მაია უამრავი წერილის ასლს გვაჩვენებს, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დახმარების სათხოვნად აგზავნიდა: რაიონის გამგეობა, საკრებულო, მერია, ჯანდაცვის სოციალური სააგენტო... მაია აქტიურად ცდილობდა მათი ყურადღების მიპყრობას. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობიდან მოსულ წერილში ვკითხულობთ, რომ კონწლიაშვილების თხოვნის დასაკმაყოფილებლად „რაიონს შესაბამისი ფართი არ გააჩნია“.

ვეფხია დაახლოებით 25 წლის იყო, როცა ჯანმრთელობა შეერყა, „ახალშობილი გარდაგვეცვალა, ნერვული სტრესის გამო დალევა დავიწყე, მგონი ამან გამოიწვია დაავადება“, – ამბობს ის. თავიდან ექიმებმა კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, თუმცა მერე ნახველზე ანალიზი აიღო და ტუბერკულოზის გადამდები ფორმა დაუდგინდა.

„ვერაფერი გავიგე, სანამ უცბად არ მომწყვიტა ფეხები და არ დამაგდო, ერთ

ფოტოები ლევან ხარბედილაძე

ოჯახის უფროსი 10 წელზე მეტია ტუბერკულოზით იტანჯება
და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია

ბოლო დროს ვეფხიას ახალი პრობლემა დაემატა – კბილი სტკივა, მაგრამ ექიმთან მისასვლელი ფული არ აქვს, სოციალურად დაუცველთა დაზღვევა კი სტომატოლოგიურ მკურნალობას არ აფინანსებს.

დღეს მოვედი ნასვამი, დავწექი და ვეღარ ავდექი. ძვლები მტკიოდა, მეგონა დამეშლება მეთქი“, – იხსენებს ვეფხია.

ტუბდისპანსერში მკურნალობის ოთხთვიანი კურსი გაიარა, ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ: „მითხრეს, რომ სახლში წამეყვანა, რათა საკუთარ კედლებში მაინც მომკვდარიყო“, – ამბობს მაია – „მეხსიერება არეული ჰქონდა, რეფლექსები შენელებული“ .

ვეფხია, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, გადარჩა. დაავადების გადამდები ფორმა ჩაუცხრა და სახლში დაბრუნდა. დრო და დრო, მისი ცოლ-შვილიც გადიოდა სამედიცინო შემოწმებას. „ღვთის წყალობით მე და ჩემს შვილებს არაფერი აღმოგვჩენია“, – ამბობს მაია კონწლიაშვილი.

ვინაიდან ოჯახი სოციალურად დაუცველია, ვეფხია ტუბდისპანსერში უფასოდ იღებდა წამლებს. „მაგრამ რაც დაავადება ქრონიკულ ფორმაში გადამეზარდა, დაზღვევა აღარ გვაფინანსებს. შესაბამისად, საავადმყოფოც აღარ გვიღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეანიმაციაში ვხდები გადასაყვანი“.

სასწრაფო დახმარების მანქანა კონწლიაშვილების ხშირი სტუმარია, თუმცა 033-ის ექიმები პაციენტს მხოლოდ ტანჯვას უმსუბუქებენ. „მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება ჟანგბადის ბალიშია, რომელსაც სიძვირის გამო ვერ ვყიდულობთ“, – ამბობს მაია.

განსაკუთრებით ზამთრის გადატანა უჭირთ, შეშის ღუმელი ისედაც პატარა სივრცეს ძალიან ავიწროებს, „როცა ყველა სახლში ვართ, ვერ ვეტევით, ერთმანეთზე გადავდივართ“, – გვეუბნება დიასახლისი. „შეშას გამგებელი გვაძლევს ხოლმე, მაგრამ არ გვყოფნის, ისევ მეზობლების იმედზე ვართ, როდესაც რემონტს აკეთებენ, ზოგი გამონაცვალ კარ-ფანჯარას გვაძლევს, ზოგიც – ავეჯის ნარჩენს და ამით ვთბებით“.

ვეფხიას თქმით, არც ზაფხულია უკეთესი: „აგვისტოს სიცხეში ვაგონის კედლები ხურდება და აქაურობა დუღილს იწყებს, გაჩერება შეუძლებელი ხდება, გარეთ გავდივართ, ხშირად გაგვითენებია ღია ცის ქვეშ.“

კონწლიაშვილს საუბრისას ხმა ხშირად უწყდება, სწრაფად იღლება, ახველებს, სუნთქვა უჭირს. ბოლო დროს ვეფხიას ახალი პრობლემა დაემატა – კბილი სტკივა, მაგრამ ექიმთან მისასვლელი ფული არ აქვს, სოციალურად დაუცველთა დაზღვევა კი სტომატოლოგიურ მკურნალობას არ აფინანსებს. ვეფხია დროდადრო წყალს იგუბებს პირში და ამით ცდილობს ტკივილთან გამკლავებას.

სიღარიბეში გატარებული მრავალი წლის შემდეგ ოჯახმა ყოველგვარი დახმარების იმედი დაკარგა.

კონწლიაშვილები 18 წელია ერთად ცხოვრობენ

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ფოტო ედუარდ კორონეოსი / REUTERS

სამხრეთ ოსეთი

ექს-პრეზიდენტი ჯოჯოითი ისევ საქმეშია

კოკოითი გადადგა, თუმცა სამხრეთ ოსეთში შიშობენ, რომ ექს-პრეზიდენტი კვლავინდებურად შეეცდება რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების მართვას.

მარია ბესტაევა

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ედუარდ კოკოითი

სამხრეთ ოსეთის ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდნენ: პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გადადგა, მარტში დაინიშნება ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები, თანაც ოპოზიციონერ კანდიდატს ალა ჯიოევას ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემენ.

მიუხედავად კრემლის შუამავლობით მიღწეული ამ შეთანხმებისა, სიტუაცია რესპუბლიკაში ძალიან მყიფეა.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი 10 დეკემბერს გადადგა. როდესაც ამის შესახებ ცხინვალის ცენტრში შეკრებილ მომიტინგეებს შეატყობინეს, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საერთო-სახალხო ზეიმი მოეწყო. ისინიც კი გამოვიდნენ ქუჩაში, ვინც მომიტინგეთა პათოსს არ იზიარებდა. ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. „არ გვჯერა, რომ ეს ჭირი წავიდა“, – ისმოდა ხალხში.

ცხინვალის ცენტრში მიტინგები უკვე ორ კვირაზე მეტია გრძელდება. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ალა ჯიოევამ გაიმარჯვა, თუმცა სამხრეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა, რასაც ხალხი აპროტესტებს.

ჯიოევამ კრემლის კანდიდატთან, ანატოლი ბიბილოვთან ორთაბრძოლაში მოიგო, თუმცა ახლა ამ გამარჯვების დათმობა უწევს.

გადადგომის შესახებ განცხადება კოკოითმა 10 დეკემბერს მთავრობის სახლის ქორეოგრაფიულ დარბაზში გააკეთა. დარბაზი სავსე იყო. ხალხს უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, როგორ მიდის კოკოითი. მას სახეზე საზეიმო გამომეტყველება ჰქონდა და იღიმოდა, თითქოს ხაზს უსვამდა ამ მომენტის ისტორიულ მნიშვნელობას.

რესპუბლიკის ჰიმნი ჩართეს. ვიდრე სცენაზე სამხრეთ ოსეთის მეორე პრეზიდენტი ედუარდ ჯეგეის ძე კოკოითი გამოვიდოდა, დარბაზში მსხდომი საზოგადოება 2001 წლის დეკემბერს იხსენებდა. სწორედ ამ წელს 18 დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოვიდა კოკოითი ხელისუფლებაში. მაშინ მეორე ტურში მან ხმების 53 პროცენტით სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი დაამარცხა და პრეზიდენტის თანამდებობაზე ლუდვიგ ჩიბიროვი შეცვალა. „მაშინაც თოვლი იყო მუხლებამდე, გახსოვს?“ – იხსენებდნენ დარბაზში მსხდომნი.

კოკოითი სცენაზე გამოჩნდა.

მან მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და „მთელ ოს ხალხს“ მხარდაჭერისთვის და თანადგომისთვის. რამდენიმე ჩინოვნიკი და სამართალდამცავი მეგობრობისა და სიმამაცისთვის ორდენებით დააჯილდოვა და რამდენიმე საკადრო ცვლილება განახორციელა.

მან თქვა, რომ რესპუბლიკაში ამჟამად რთული პოლიტიკური კრიზისია და რომ მან, ედუარდ კოკოითმა, ყველაფერი გააკეთა ამ კრიზისის

თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად. მართალია, დარბაზში მისი მხარდამჭერები იყვნენ, მაგრამ ამ სიტყვების ალბათ არავის სჯეროდა.

კოკოითი, რომელიც სამხრეთ ოსეთის სათავეში 10 წელი იყო, დანგრეულ, რესპუბლიკას ტოვებს. 2008 წლის ომიდან სამი წლის შემდეგ, მიუხედავად სოლიდური რუსული დახმარებისა, რესპუბლიკაში თითქმის არაფერია აღდგენილი. ცხინვალი ნაცრისფერი, ტალახსა და დანგრეულ გზებში ჩაფლული ქალაქია, რომლის განვითარების პერსპექტივები ბუნდოვანია.

კოკოითის გადადგომა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კრემლის მიერ ინიცირებული მოლაპარაკებების შედეგია. „გუშინ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ე.წ. ოპოზიციასთან, სადაც მხარეებმა საკუთარ თავზე გარკვეული ვალდებულებები აიღეს," – განაცხადა პრეზიდენტმა.

თავის გამოსვლაში კოკოითმა რამდენჯერმე უწოდა ოპოზიციას „ეგრეთ წოდებული". მან თქვა, რომ ოპოზიცია ფინანსდება უცხო ქვეყნიდან. მართალია, ამ შეხვედრაზე მას საქართველო არ უხსენებია, მაგრამ მანამდე არაერთხელ უთქვამს, რომ ჯიოევას თბილისთან აქვს კავშირი.

იგი არწმუნებდა შეკრებილებს, რომ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 27 ნოემბერს მიიღო, მაგრამ ხელი იმ რთულმა სიტუაციამ შეუშალა, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა. „ახლა ვატყობ, რომ საზოგადოება კონსოლიდაციას ცდილობს და მზად ვარ, მშვიდად წავიდე.

„მე მივდივარ," – განაცხადა კოკოითმა საზეიმო ხმით, – „მე მივდივარ, რათა მომავალშიც ვემსახურო სამხრეთ ოსეთს და სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის კავშირის შემდგომ გაღრმავებას. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი".

მან წაიკითხა თავისი ბრძანება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და ასევე წაიკითხა მეორე ბრძანება, სადაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად პრემიერ ვადიმ ბროვცევი ინიშნებოდა.

ყველა გადაწყვეტილება, რომელიც კოკოითმა მიიღო, კრემლთან იყო შეთანხმებული.

კოკოითმა ყველას 25 მარტის ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდა და ბოდიში მოუხადა ყველას, ვისაც ამ წლების მანძილზე სამსახურებრივი საქმიანობის დროს აწყენინა.

ამავე დროს მან თქვა: „ყველას, ვინც გვლანძღავდა, უნდა ვუთხრა – ამ ხელისუფლებამ და პირადად მე – ედუარდ ჯებეევიჩმა ძალიან ბევრი

კოკოითი, რომელიც სამხრეთ ოსეთის სათავეში 10 წელი იყო, დანგრეულ, რესპუბლიკას ტოვებს. 2008 წლის ომიდან სამი წლის შემდეგ, მიუხედავად სოლიდური რუსული დახმარებისა, რესპუბლიკაში თითქმის არაფერია აღდგენილი. ცხინვალი ნაცრისფერი, ტალახსა და დანგრეულ გზებში ჩაფლული ქალაქია, რომლის განვითარების პერსპექტივები ბუნდოვანია.

გავაკეთეთ. მე მათ ვპატიობ ამ ლანძღვას. ღმერთმა შეუნდოთ".

დასასრულს მან წამოიძახა „გაუმარჯოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას!"

ოსური ტრადიციის თანახმად, კოკოითს ლუდით სავსე ხის კასრი მიართვეს, რომელიც მან მთლიანად გამოცალა. ისევ დაუკრეს ჰიმნი, უკვე ექს-პრეზიდენტმა ხელები მაღლა ასწია და სწრაფი ნაბიჯით სცენას გაეცალა.

ხალხი მას ტაშს უკრავდა. დარბაზში მხოლოდ მისი მხარდამჭერები იყვნენ.

ამ დროს ტაშს უკრავდნენ ცენტრალურ მოედანზეც, სადაც მომიტინგეებს კოკოითის გადადგომის შესახებ ცნობა მიუტანეს. მოედანზე დიდი კასრები იდგა, სადაც ცეცხლი ენთოთ და ხელებს ითბობდნენ.

შეთანხმების თანახმად, ოპოზიცია კოკოითის გადადგომისთანავე უნდა დაშლილიყო, მაგრამ მოედანზე ამ ამბავს ზეიმობდნენ და აბა, როგორ დაიშლებოდნენ.

თუმცა, როგორც გაირკვა, საზეიმო ბევრი არაფერია. კოკოითი რესპუბლიკიდან წასვლას არ აპირებს. გადადგომამდე მან საკონსტიტუციო სასამართლო აამოქმედა, რომელიც მანამდე სამხრეთ ოსეთში არ ფუნქციონირებდა. სასამართლოს თავმჯდომარედ თავისი ნათესავი – ელდარ კოკოევი დანიშნა. ოპოზიციამ ეს გადაწყვეტილება კოკოითის ხელისუფლებაში დარჩენის ნიშნად აღიქვა. მართლაც, კოკოითი დაუღალავად იმეორებს, რომ რესპუბლიკიდან წასვლას არ აპირებს, ეს კი ბევრს აფიქრებინებს, რომ ედუარდ ჯებეევიჩი მომავალშიც შეეცდება გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ფაქტია, რომ კოკოითი ვერ ხედავს საკუთარ თავს სამხრეთ ოსეთის ფარგლებს მიღმა. და ამ პერსპექტივას ვერ ხედავს მისი უახლოესი გარემოცვაც, რომელიც ყველანაირად შეეცდება კოკოითს ქვეყნიდან წასვლაში ხელი შეუშალოს. კოკოითისთვის ახლა მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი გზებით მყარ პოზიციებზე დარჩეს. რამდენიმე დღის წინ იგი ტელევიზიით გამოვიდა და ხალხს მიმართავდა, როგორც ერის ლიდერი, რომელიც ყოველთვის მის გვერდით იქნება. ამგვარი გამოსვლებით იგი ცდილობს ხალხი დაარწმუნოს, რომ კარგად არის და რომ ისევ ყველაფერს აკონტროლებს.

არადა, ხალხი მისით უკვე დაიღალა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ მაინც შეასრულა დანაპირები. ხალხი ქუჩაში აღარ დგას, მაგრამ სიტუაცია ქვეყანაში კვლავ დაძაბულია. ხალხი მორალურად მზადაა, ისევ დაუპირისპირდეს რეჟიმს.

კომენტარი

უფასო ყველი

რუსეთიდან მიღებულმა დახმარებამ აფხაზეთს დათვური სამსახური გაუწია. ჩვენი ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა სიკვდილის პირასაა.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

აფხაზეთის მთავრობის უდარდელი ხანა ფინიშს უახლოვდება. 2012 ბოლო წელი იქნება, რომელზეც მოსკოვის მიერ დაფინანსებული „აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმა“ გავრცელდება. 11 მილიარდიანმა ოქროს წვიმამ ფრიად გაანებივრა ადგილობრივი ელიტა. აფხაზური ელიტისთვის ძალიან მოკლე აღმოჩნდა გზა რიგითი გამყიდველიდან ახალ მდიდრამდე, რომელიც დიდძალ უძრავ ქონებას, ლიმუზინებს და ნაღდი ფულით სავსე სკივრებს ფლობს (ასეთებს, როგორც წესი, ბანკების ნაკლებად სჯერათ). გამდიდრების ასეთი სწრაფი ტემპების ბილ გეითსაც კი შეშურდებოდა. თუმცა ხაზს ვუსვამ, მხოლოდ ტემპების, რადგან აქ საქმე ბიზნესთან, თავისი ტრადიციული გაგებით, არ გვაქვს და ბიზნესი არც არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ დახმარების ეს პროგრამა „სოციალურ-ეკონომიკურად“ იწოდებოდა, რეალობაში ის წმინდა წყლის „სოციალური“ დახმარება იყო. ანუ ფინანსები გზების, წყლის არხების, სკოლების, საავადმყოფოების და კულტურის ობიექტების რემონტზე იხარჯებოდა. „ეკონომიკის“ მუხლით კი ბევრი არაფერი განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით პატარა ტყვარჩელში (სადაც მოსახლეობა 4 ათას შეადგენს) პურის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის მსგავს წამგებიან პროექტებს. მოსკოვს, შესაძლოა, მართლაც სურდა „უკეთ გამოსვლოდა“, თუმცა ვიქტორ სტეპანოვიჩ ჩერნომირდინის ლეგენდარული ფრაზის არ იყოს, „გამოუვიდა, როგორც ყოველთვის“. შედეგად, კომპლექსური გეგმა „ანკესის“ ნაცვლად, „თევზი“ აღმოჩნდა.

ერთხელ ნოყიერად გამოკვებასა და პურის ფულის შოვნაში დახმარებას შორის დიდი განსხვავებაა. როცა მნიშვნელობა არა აქვს, კარგად მუშაობენ თუ ცუდად, როცა საუზმე, სადილი და ვახშამი ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებულია, ადრე თუ გვიან ყველაზე კეთილსინდისიერი თანამშრომელიც კი ხელებს ჩამოუშვებს.

რა საჭიროა რაიმე ძალისხმევის გაღება, როდესაც „თევზი“ გარანტირებულია? ამიტომაც „თევზზე“ ჩამოკიდებული აფხაზური ეკონომიკა დროთა განმავლობაში არასამუშაო რეჟიმზე გადავიდა. ამ ეკონომიკის საყრდენი კონსტრუქციები – კურორტები და სოფლის მეურნეობა, თვალსა და ხელს შუა დაუძლურდა.

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, აფხაზეთს საუკეთესო საკურორტო სეზონი 2007 წელს ჰქონდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩვენ მხოლოდ საკუთარი ძალების იმედზე ვიყავით. მას შემდეგ მაჩვენებლები შეუჩერებლივ ეცემა.

ტურიზმთან დაკავშირებით განსაკუთრებული ილუზიები არც თავად ხელისუფლებას გააჩნია. როგორც პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა ამასწინათ თავის პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუ ეს ტენდენცია არ შეიცვლება, 2020 წლისთვის ქვეყანას არც ერთი ტურისტი აღარ ეყოლება. თუმცა თუ კურორტებს ჯერ მეტნაკლებად უდგათ სული, სოფლის მეურნეობამ, როგორც ეკონომიკის დარგმა, პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. უკვე რამდენიმე წელია, ბაზარში ადგილობრივ პომიდორს ვეღარ იყიდით. შორს არ არის ამ მდგომარეობისგან ყველაზე ცნობილი აფხაზური ბრენდი – მანდარინი. ადრე აფხაზური მანდარინი მთელ საბჭოთა კავშირს ყოფნიდა, ახლა კი მალე დადგება ის დრო, როდესაც ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებაც კი პრობლემად იქცევა.

ჩვენ ნამდვილად გადავეჩვიეთ მუშაობას. სასწრაფო წესით უნდა გადავეწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2012 წლის შემდეგ ყველაფრის გარეშე დავრჩებით. „ოქროს წვიმა“ რომც გაგრძელდეს, ნაკლებად სავარაუდოა, სხვა წესებით იწვიმოს. მოსალოდნელი ცვლილებების საგანგაშო სიგნალების დანახვა ქვეყანას უკვე წელს შეეძლო: სახელმწიფო აგარაკები, სანატორიუმი „МВО-Сухум“, ახალი ათონის მონასტერი... ეს იმის ჩამონათვალია, რაც შეიძლება დავკარგოთ. ჩვენ მუქთა პურს ვებღაუჭებით, ამასობაში კი ჩვენი ნაციონალური ფასეულობების სია, რომლებიც შეიძლება დავკარგოთ, კიდევ უფრო გაიზრდება. როგორც ცნობილია, უფასო მხოლოდ ყველია სათაგურში.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ფოტო მაქსიმ მაკეევა / REUTERS

რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დუმის არჩევნებს აპროტესტებს

რუსეთი

ხესელი გაზაფხული პერსპექტივაში

„რუსული გაზაფხული“ – დადგება თუ არა იგი?

ტატიანა გუსაკოვა

2011 წლის 10 დეკემბერი აუცილებლად შევა თანამედროვე რუსეთის ისტორიაში. ამ დღეს მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და რუსეთის სხვა ქალაქებში ათობით ათასი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა, რათა 4 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაეპროტესტებინა. მოსკოვში ბოლოტნაიას მოედანზე გამართული აქცია ბოლო 10 წლის მანძილზე ყველაზე მსხვილმასშტაბიანი იყო. საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, იმ დღეს ქუჩაში 60-100 ათასი ადამიანი იდგა.

მიტინგის ორგანიზატორი ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალა არ ყოფილა. საპროტესტო აქციისთვის მზადება, ძირითადად, სოციალურ ქსელებში მიმდინარეობდა და ამ პროცესის ინიციატორები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ.

მიტინგზე ხუთპუნქტიანი რეზოლუცია მიიღეს: 1) თავისუფლება პოლიტპატიმრებს; 2) საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმება; 3) ცესკოს თავმჯდომარის – ვლადიმირ ჩუროვის გადადგომა; 4) ყველა პოლიტიკური პარტიისთვის რეგისტრაციის უფლების მიცემა და 5) ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. კრემლი, ჯერჯერობით, ამ რეზოლუციაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, რუს პოლიტიკურ მიმომხილველებს კრემლის რეაქციაზე მეტად სხვა საკითხი აინტერესებთ – რა პროცესი დაიწყო რუსეთში და რა ჰქვია იმ ეპოქას, რომელიც 4 დეკემბრის არჩევნების შემდეგ ამ ქვეყანაში დაიწყო?

დღეს რუსეთი აღარ არის ისეთი, როგორიც 4 დეკემბრამდე იყო. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ვინმეს მიმართ, თუმცა ცდილობთ, ეს დამოკიდებულება არ გაამჟღავნოთ. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, ის იგებს, თუ როგორ ვერ იტანთ და გეზიზღებათ. ცხადია, თქვენი ურთიერთობა ძველებურად ვეღარ იქნება.

ასეა დღეს რუსეთში. 10 დეკემბერს კრემლმა მთელი სიცხადით დაინახა, თუ როგორ ამოუვიდა ყელში ხალხს პუტინის რეჟიმი. ამიერიდან კრემლისა და ხალხის ურთიერთობა ძველებურად ვერ დარჩება, თუმცა კონკრეტულად რა შეიცვლება, ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება.

ყველა თანხმდება, რომ რევოლუცია რუსეთში უკვე მოხდა. არა ხავერდოვანი, არამედ საზოგადოების ცნობიერებაში, ადამიანთა ტვინებში. შაბათის მიტინგმა აჩვენა, რომ რუსეთის საშუალო ფენა აღარ არის აპოლიტიკური; რომ პროტესტი აშკარად გასცდა ინტერნეტის ფარგლებს და ხალხმა ერთობლივად მოქმედების უნარი გამოამჟღავნა.

რუსეთში მიმდინარე პროცესებს რამდენიმე მთავარი მიზეზი აქვს. ასევე არსებობს გარემოებები, რამაც გამოიწვია ხალხის განსაკუთრებული უკმაყოფილება.

დღეს რუსეთში სულ უფრო მოდური და პოპულარული ხდება ხელისუფლების კრიტიკა. პუტინის მხარდაჭერა უკვე ჩამორჩენილობას და რეტროგრადობას ნიშნავს.

ნავალნის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვა რესპექტაბელურ საქმედ ითვლება. 4 დეკემბრის არჩევნების შემდეგ კი, მოდური გახდა საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა და მიტინგზე მისვლა.

პირველი ის, რომ ბოლო რამდენიმე წელია, რუსი საზოგადოება კატასტროფული სისწრაფით კარგავს ოპტიმიზმის განცდას. ეკონომიკურ კრიზისამდე ხელისუფლების მიმართ ან ლოიალური, ან ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდათ. სტაბილურმა ეკონომიკურმა ზრდამ რუსეთში საშუალო ფენა წარმოშვა, ხალხს გაუჩნდა კარგად ანაზღაურებადი, სტაბილური სამსახური წინსვლის პერსპექტივით. ამ ოპტიმისტური განწყობის შექმნას ხელს უწყობდა ხელისუფლება, რომელიც ცდილობდა ქვეყანაში ზოგადი ოპტიმისტური ფონი დაეხატა და ქვეყანაში ე.წ. „წარმატების იდეოლოგია“ გაეტარებინა – ცენტრალური არხები მხოლოდ დადებითზე ლაპარაკობდნენ, წარამარა ისმოდა ლოზუნგი „რუსეთი წელში იმართება“, დიდი თანხები იხარჯებოდა სპორტის სახეობებში გამარჯვებების და მედლების მოსაპოვებლად, ასევე „ევროვიზიისა“ და სხვა კონკურსებში პირველი ადგილების დასაკავებლად. კრემლმა მართლაც მოახერხა ოპტიმისტური დაპირებებით ხალხის „დათრობა“. ამ ფონზე, სრულიად არააქტუალური გახდა პოლიტიკური პროტესტი, არსებულ რეჟიმზე წუწუნი. პოლიტიკური პროტესტი მარგინალების საქმე გახდა, მათი, ვინც ვერ შეძლო ადგილის პოვნა იმ სამოთხეში, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება აშენებდა. კრიზისის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. გაჩნდა გრძნობა, რომ ქვეყანა მრავალწლიან სტაგნაციაში ჩაიძირებოდა.

მოსახლეობა ცვლილებებთან დაკავშირებით გარკვეულ იმედებს დიმიტრი მედვედევს უკავშირებდა, რომელიც ხშირად გამოდიოდა ლიბერალური ლოზუნგებით. თუმცა, მას შემდეგ რაც 24 სექტემბერს მოხდა, მედვედევზე ყველამ ხელი ჩაიქნია, ისევე, როგორც პუტინზე. 24 სექტემბერმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დეკემბრის პროტესტში – ამ დღეს მედვედევმა უარი თქვა მეორე საპრეზიდენტო ვადაზე და პრეზიდენტობის კანდიდატად პუტინი დასახელდა. ხალხი გააოგნა არა იმდენად პუტინის დაბრუნების პერსპექტივამ, რამდენადაც იმ წარმოუდგენელმა ცინიზმმა, რომლითაც ეს ინფორმაცია მიაწოდეს.

შემდეგ იყო 4 დეკემბრის არჩევნები. სავარაუდოდ, ფალსიფიკაცია წინა არჩევნებზეც ხდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ცნობები აბსტრაქტული იყო. ამჯერად კი დარღვევებს, გადამალულ ბიულეტენებს მოქალაქეები მობილურ ტელეფონებზე იღებდნენ და ინტერნეტში ათავსებდნენ. ხალხმა საკუთარი თვალით კიდევ ერთხელ ნახა, რა არის ეს რეჟიმი.

ამ ფონზე, დღეს რუსეთში სულ უფრო მოდური და პოპულარული ხდება ხელისუფლების კრიტიკა. პუტინის მხარდაჭერა უკვე ჩამორჩენილობას და რეტროგრადობას ნიშნავს.

პროტესტის გამოსახატად თანდათან ახალ-ახალი რესურსები ჩნდება. ინტერნეტში ტრადიციული ოპოზიციური საიტების („ეხო მოსკვი“, „ეჟედნევნი ჟურნალ“) გვერდით ახალი, საკმაოდ კრიტიკული საიტებიც გაჩნდა, მაგალითად, ტელეარხი „დოჟდ“. გააქტიურდა

ტრადიციული, სოლიდური ლიბერალური მედია („ვედომოსტი“, „კომერსანტი“, „გაზეტა. რუ“), რომლებიც უფრო მწვავენი გახდნენ ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლებასთან დაპირისპირების ახალი, პრესტიჟული ფორმები გაჩნდა – მაგალითად, ცნობილმა ბლოგერმა და იურისტმა ალექსეი ნავალნიმ თავის ბლოგზე წამოიწყო კამპანია კორუფციის წინააღმდეგ და ამ საქმისთვის ხალხს ფულის გადარიცხვა სთხოვა. ნავალნის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვა რესპექტაბელურ საქმედ ითვლება. 4 დეკემბრის არჩევნების შემდეგ კი, მოდური გახდა საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა და მიტინგზე მისვლა.

ცხადია, კრემლი მოსახლეობაში მიმდინარე ამ ცვლილებებს თვალს ადევნებს. სავარაუდოდ, ამ პროცესების საპირწონედ, კრემლის პოლიტტექნოლოგები რამე „ედინაია როსიას“ ლიბერალური კლუბის მსგავს კიდევ ერთ პროექტს მოიფიქრებენ და ასე შეეცდებიან შექმნან ილუზია, რომ მოქალაქეები პოლიტიკურ პროცესს მართავენ. თუმცა, დიდი ალბათობით მსგავსი პროექტები უკვე აღარ იმუშავებს.

ფოტო: სერგეი კარპუხინი / REUTERS

ასეთ რთულ სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება პუტინს არ აქვს. მან იცის, როგორ დააშუშმინოს მაღაროელების ან პენსიონერების გამოსვლები, რომლებიც მგზავრობის შეღავათებს ითხოვენ, და ასევე იცის, როგორ ჩაახშოს ოპოზიციის მცირერიცხოვანი მიტინგები. მრავალათასიან მიტინგს ვერც შეღავათებით მოხიბლავ (თუმცა, ამის ფულიც აღარ აქვს უკვე რუსეთის ხელისუფლებას) და ვერც ხელკეტებით გააჩუმებ, რადგან ძალის გამოყენება ასეთი ფართომასშტაბიანი აქციების დროს პუტინისთვის საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს.

და ასეთ პირობებში ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინი მომავალი 12 წელი აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას. რა საინტერესოა, როგორ მოახერხებს იგი ამას, როცა სულ უფრო და უფრო ეზიზღება უბრალო ხალხსაც და ელიტასაც?

პუტინის რეჟიმისთვის ყველაზე დიდი საფრთხე დღეს სწორედ ელიტების განწყობაა. ტრადიციულად, რუსეთში ყველა რევოლუცია და ცვლილება მეფის კარზე ინტრიგებიდან იწყებოდა.

პოლიტიკური მიმომხილველი ანდრეი პიონტკოვსკი ამბობს, რომ დღევანდელი რუსული ელიტის განწყობა ძალიან ჰგავს 1916 წლის ზამთარში მაღალი წრის სალონებში არსებულ და 1980-იანი წლების ბოლოს ცეკას სანატორიუმებში გამეფებულ განწყობებს: „ელიტა აშკარად იმედგაცრუებულია დღევანდელი რეჟიმით. ძალიან საინტერესო პროცესი დაიწყო – ელიტებისთვის დამახასიათებელი ლეგენდარული „გულისრევა“, რომელიც ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმის დამხობის მომასწავებელია“.

გარდა ამისა, აღარ არიან ადამიანები, რომლებიც უწინდებურად დაიცავდნენ რეჟიმს. ყველაზე ტიტულოვანი და მსუქანი ვირთხები კრემლის გემიდან გარბიან. აი, მაგალითად, ბატონი პავლოვსკი. იგი ამ ბოლო დროს რეჟიმის ყველაზე მგზნებარე კრიტიკოსად იქცა.

უკვე ძალიან გაცვდა ხელისუფლების არგუმენტებიც. სახელისუფლებო არხებზე გადიოდა ცნობილი ადამიანების კომენტარები, რომლებიც ასახელებდნენ მიზეზებს, რის გამოც არ უერთდებოდნენ აქციებს. ამ მიზეზებს შორის იყო – არეულობისა და დესტაბილიზაციის შიში, 90-იანი წლების დაბრუნება, ოპოზიციონერი ლიდერების დისკრიმინაცია და მიმდინარე პროცესებში ამერიკისა და დასავლეთის კვალის.

არცერთი ეს არგუმენტი აღარ მუშაობს. მიტინგებზე, ძირითადად, ახალგაზრდები დადიან, რომელთაც „ზასტოის“ უფრო ეშინიათ, ვიდრე დესტაბილიზაციის. არც 90-იანი წლების პარალელები მუშაობს – ეს წლები უკვე ისტორიაა და ხალხის დასაშინებლად ისე ეფექტური აღარ არის, როგორც ნულოვან წლებში. ოპოზიციონერი ლიდერების დისკრედიტაციის მცდელობაც არ მუშაობს, რადგან ისინი აქციების ორგანიზატორები არ არიან. ამ პროცესში ყველაზე ნაკლები წვლილი სწორედ პოლიტიკურ ოპოზიციას მიუძღვის, რომელიც, სავარაუდოდ, არჩევნების შედეგებითა და შემდეგ ბოლოტნაიაზე ხალხმრავალი მიტინგით ხელისუფლებაზე მეტად გაკვირვებული დარჩებოდა.

პროცესი, რომელიც დაიწყო, შეუქცევადია. ადამიანთა ტვინებში პუტინის რეჟიმმა უკვე ყველაფერი წაგო. როდის და როგორ გამოვლინდება ეს განწყობა პოლიტიკაში, დროის საკითხია. წინ საპრეზიდენტო კამპანიაა, რომელმაც მხოლოდ დამატებითი მოტივები შეიძლება გააჩინოს სამოქალაქო პროტესტისთვის.

ევროკავშირის სამიტი

ევროიმედის სამიტი ბრიუსელში

მიუხედავად ეფექტური გეგმისა, რომელმაც ევროპა არსებული მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს და მომავალი კრიზისები თავიდან ააცილოს, მან მაინც ვერ მოიპოვა სათანადო მხარდაჭერა. შეხვედრა არ აღმოჩნდა ისეთი ნაყოფიერი, როგორსაც „მერკოზი“ ელოდა.

ვასო კუჭუხიძე

ანგელა მერკელი და ნიკოლა სარკოზი ბრიუსელში

2011 წლის 8-9 დეკემბერს ევროპელი ლიდერები ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი ახალი ფისკალური სისტემის შემუშავება იყო, რომელმაც ევროკავშირი კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს. ეს ევროპელ ლიდერებს შორის წელს გამართული მერვე სამიტია. ანალიტიკოსები და ჟურნალისტები ამ სამიტს ევროს გადარჩენის ბოლო შანსსაც უწოდებდნენ.

ევროპულ მედიაში სამიტთან დაკავშირებით ხშირად ფიგურირებდა ფრაზა „სუვერენიტეტის დათმობა“. თავად ევროპული ქვეყნების ლიდერები ამ ტერმინს მაქსიმალურად არიდებდნენ თავს. თუმცა, მოლაპარაკებების პროცესში ცხადი გახდა, რომ პროგრამა, რომლითაც გერმანია-საფრანგეთი სამიტზე წარდგნენ, ევროკავშირის ინსტიტუტებს კონტროლის მეტ მექანიზმს აძლევს, რაც შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების მიერ გარკვეული თავისუფლებების დათმობის ხარჯზე უნდა მოხდეს. მართალია, ეს მტკივნეულია ევროპული ქვეყნებისთვის, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს ევროზონის დაშლის ალბათობა დევს, ამიტომ წევრ სახელმწიფოებს დიდი არჩევანი არც ჰქონიათ. მათ შორის საფრანგეთსაც, რომელიც ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე მწვავედ რეაგირებდა სუვერენიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საფრანგეთის პოზიციას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე ნიკოლა სარკოზისთვის წამგებიანია გერმანიას დაუპირისპირდეს და ევროზონის დაშლას შეუწყოს ხელი. არც ის იქნება მომგებიანი, პარიზი ბერლინის „დაკრულზე მოცეკვავე“ გამოჩნდეს. ამიტომაც საფრანგეთი ცდილობს ევროზონის გადარჩენისთვის მებრძოლი გერმანიის გეგმას მხარი ისე დაუჭიროს, რომ ეს გეგმა ერთობლივ პროექტად წარმოაჩინოს, მათ პოლიტიკურ თანასწორობას გაუსვას ხაზი, თუნდაც ამით სუვერენიტეტის მაქსიმალურ დაცვაზე ორიენტირებულ ისტორიულ კურსსაც გადაუხვიოს.

თავის მხრივ, გერმანიასაც არანაკლებ სჭირდება პარიზის მხარდაჭერა, ამიტომაც ევროპის ახალ რელსებზე გადაყვანის გეგმა თავიდანვე გერმანულ-ფრანგულ ინიციატივად შეფასდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ ბერლინმა შეიმუშავა. პროექტი ერთიანი ფისკალური სისტემის შექმნას ითვალისწინებს. ამ გეგმის მიხედვით, ევროკომისიას ექნება საშუალება, წევრი ქვეყნების ბიუჯეტები აკონტროლოს და არ მისცეს საშუალება, საბიუჯეტო დეფიციტი 0.5 %-იან ნიშნულს გადასცდეს. კონტროლის ახალი მექანიზმის საფუძველზე ბრიუსელი წევრი ქვეყნების ბიუჯეტში დარღვევებს არ დაუშვებს და ადრევე აღმოაჩენს პრობლემურ საკითხებს, რაც ევროკავშირს საშუალებას მისცემს, დროულად მიმართოს სათანადო ზომებს და თავიდან აიცილოს საბერძნეთის მსგავსი კრიზისები. ასევე უნდა შემუშავდეს სანქციების სისტემა, რომლის საშუალებითაც ახალი ნორმების დამრღვევი ურჩი სახელმწიფოები მკაცრად დაისჯებიან. სარკოზი-მერკელის გეგმა ასევე ევროკავშირის ცენტრალური ბანკიდან პრობლემური ქვეყნების ვალების დაფარვის იდეას ეწინააღმდეგება.

მიუხედევად ეფექტური გეგმისა, რომელმაც ევროპა არსებული მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს და მომავალი კრიზისები თავიდან ააცილოს, მან მაინც ვერ მოიპოვა სათანადო მხარდაჭერა. შეხვედრა არ აღმოჩნდა ისეთი ნაყოფიერი, როგორსაც „მერკოზი“ ელოდა.

საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ძირეულ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანამ ევროგაერთიანების 27-ვე ქვეყნის თანხმობა ვერ მიიღო. თუმცა, ქვეყნები შეთანხმდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ევროზონისათვის საბიუჯეტო პაქტი შეიმუშაონ, რომელშიც 23 ევროპული სახელმწიფო (17 ევროზონის წარმომადგენელი ქვეყანა იქნება, 6 კი – ევროკავშირის სხვა სახელმწიფო) შევა. უფრო მასშტაბურ ცვლილებებთან დაკავშირებული

პროგრამა, რომლითაც გერმანია-საფრანგეთი სამიტზე წარდგნენ, ევროკავშირის ინსტიტუტებს კონტროლის მეტ მექანიზმს აძლევს, რაც შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების მიერ გარკვეული თავისუფლებების დათმობის ხარჯზე უნდა მოხდეს.

შეთანხმება კი ვერ ხერხდება, რადგან ამ საკითხისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს დიდი ბრიტანეთი.

ლონდონის წინააღმდეგობა პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა იმით ახსნა, რომ აღნიშნული გეგმა მისი სახელმწიფოს ინტერესებში არ იყო. ეს უკანასკნელი თავისი ფინანსური სექტორისათვის მყარ გარანტიებს მოითხოვდა, რათა მისი ქვეყნისთვის მოსალოდნელ ცვლილებებს ძლიერი დარტყმა არ მიეყენებინა. მართალია, დიდი ბრიტანეთი ევროზონაში არ შედის, მაგრამ ევროკავშირში ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობაა აუცილებელი.

დევიდ კამერონის საბიუჯეტო პროექტთან დაკავშირებულმა პოზიციამ მრავალი პოლიტიკური მოღვაწის უკმაყოფილება გამოიწვია, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ნიკ კლეგის კრიტიკაც დაიმსახურა, რომელმაც აღნიშნა, რომ კამერონის ქმედებამ, შესაძლოა, სახელმწიფო იზოლირებული და მარგინალიზებული გახადოს. „მე მიმაჩნია, რომ ამ ნაბიჯის შემდეგ ბრიტანეთი ნდობას დაკარგავს ევროპელი პარტნიორების თვალში“, – განაცხადა კლეგმა.

საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ბრიტანეთის საერთაშორისო იმიჯი, წარმოჩინდეს რა არასანდო პარტნიორად, რომელმაც მხარი არ დაუჭირა ევროზონის გადარჩენის გეგმას და საკუთარი ინტერესებისთვის 17 მოკავშირე ქვეყანა გაწირა. ამის წინაპირობა უკვე გაჩნდა. ევროპის წამყვანი გამოცემების თავფურცელზე შემდეგი სათაურები იყო გამოტანილი, „მშვიდობით, ინგლისო!“, „ახლა ჩვენთვის ევრო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინგლისი“, „ევროპა ინგლისის გარეშეც ერთიანია“ და ა.შ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ბრიტანეთის ქმედებამ კონტინენტური ევროპა აშკარად გააღიზიანა და სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის ალბათობაზე, რომ შეთანხმების ლეგიტიმაცია ბრიტანეთის გვერდის ავლით განხორციელდეს.

დიდი ბრიტანეთის გარდა, ახალ ბლოკში მონაწილეობაზე თავი შეიკავა უნგრეთმა, შვედეთმა და ჩეხეთმა. უნგრეთმა დრო ითხოვა დეტალებში უკეთ გასარკვევად, ხოლო შვედეთმა და ჩეხეთმა საბოლოო გადაწყვეტილებამდე საკუთარ პარლამენტებთან კონსულტაციის სურვილი გამოთქვეს. ანალიტიკოსთა აზრით, საკანონმდებლო ორგანოთა მხრიდან იმ ქვეყნებსაც შეხვდებათ გარკვეული წინააღმდეგობა, რომლებმაც უკვე დაუჭირეს მხარი ახალ პროექტს.

როგორც ვხედავთ, ბრიტანეთის პოზიციამ ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუშალა. თუმცა, როგორც ბრიუსელში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ევროსაბჭოს თავმჯდომარემ ჰერმან ვან რუმპემ განაცხადა, პაქტი მთავრობათაშორისი შეთანხმების გზით შემუშავდება და გაითვალისწინებს ახალ საბიუჯეტო წესებს, რომელთაც კონსტიტუციური ხასიათი ან ანალოგიური სამართლებრივი ჩარჩოები ექნებათ. სამიტზე ასევე მიღწეულ იქნა გადაწყვეტილება ავტომატური სანქციების შესახებ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს არღვევენ. სანქციების ძალაში შესვლისთვის კი საჭიროა, რომ მათ ევროზონის სახელმწიფოთა სამი მეოთხედი ეთანხმებოდეს.

ვან რუმპემ აგრეთვე აღნიშნა, რომ სამიტმა ევროს გადასარჩენად სასწრაფო ზომები მიიღო. შეთანხმდნენ, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდი გამოყოფს 200 მლრდ ევროს ოდენობის დამატებით თანხებს, 2012 წლის ივლისიდან კი ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდი ამუშავდება. სამიტზე დისკუსიის მსვლელობისას ლიდერებმა მუდმივი ანტიკრიზისული ფინანსური მექანიზმის მოცულობა განსაზღვრეს, რომელიც მომავალი წლიდან ამუშავდება და რომელშიც 500 მლრდ ევრო იბრუნებს.

შეხვედრა პოზიტიურად შეაფასა გერმანიის კანცლერმაც. „ევროზონის პრობლემები არ შეიძლება უცებ მოგვარდეს, რაც უნდა მასშტაბური იყოს ანტიკრიზისული სვლები, კრიზისიდან გამოსვლას მაინც რამდენიმეწლიანი დაძაბული მუშაობა სჭირდება“ – განაცხადა ანგელა მერკელმა. რაც შეეხება სამიტის მეორე მნიშვნელოვანი ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის გამოსვლას, მან ხაზი გაუსვა, რომ ჩაფიქრებული სცენარის წარმატებულად განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ევროპულ თანამეგობრობაში შემავალი ყველა ქვეყნის თანხმობა, თუმცა ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ მოხერხდა, რაშიც სარკოზიმ ბრიტანეთი დაადანაშაულა.

ბრიტანეთის პოზიციის მიუხედავად, საკითხზე მუშაობა კვლავ აქტიურად გრძელდება. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა: „შემდეგი 15 დღის განმავლობაში ჩვენ შევიმუშავებთ ჩვენი შეთანხმების იურიდიულ მხარეს. მიზანი კი გახლავთ – შეთანხმება გაფორმდეს 2012 წლის მარტამდე“. საბიუჯეტო პაქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის აღნიშნული საკითხი განსახილველად პარლამენტს გადაეცემა და სწორედ პარლამენტმა უნდა განახორციელოს მისი რატიფიცირება.

ფოტო: ლევან ხარბედელი

„ქართული ოცნების“ ყრილობა ბერა ივანიშვილის გამოსვლით დაიწყო, თბილისი, 11 დეკემბერი 2011

რეპორტაჟი

ივანიშვილის "ქართული ოცნება"

ივანიშვილმა თბილისელებს ოფიციალურად წარუდგინა საზოგადოებრივი მოძრაობა, თუმცა რა იქნება შემდგომ, არ უთქვამს.

მაია წიკლაური

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობის – „ქართული ოცნების“ ყრილობაზე დასწრება ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. დღის 3 საათისთვის მსურველების რიგი მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩების მხრიდან მჭიდროდ ჩამწკრივდა და თავის რიგს ელოდა.

შენობაში მხოლოდ მათ უშვებდნენ, ვისაც მოსაწვევები ჰქონდა. „მოსაწვევი ვისაც გაქვთ, შემოდით“, – დაიძახა დაცვის წევრმა. ორიოდე წუთში კი იმავე ხმამ დაიყვირა: „გატყდა კარი, ფრთხილად შემოდით“.

მოწვეულებმა ხელები ზემოთ ასწიეს. „ქართული ოცნების“ ლოგოთი დამშვენებული მოსაწვევების ურიცხვი ნაკადი მინის კარისკენ დაიძრა, რომელსაც მეორე მხრიდან დაცვის წევრები აკავებდნენ. ასეთი მეთოდით დარბაზში 2 ათასამდე ადამიანი შევიდა. ვისაც მოსაწვევი არ ჰქონდა, ყრილობას ფილარმონიის ფოიეში დამონტაჟებული დიდი ეკრანიდან ადევნებდა თვალს.

„ბატონი ბიძინა არის ჩემი და ქვეყ-

ნის ბოლო იმედი. აქაც იმიტომ მოვედი, რომ მხარში დავუდგე. გადარჩენის სხვა გზას ვერ ვხედავ“, – ხსნის ფილარმონიაში მოსვლის მიზეზს თბილისელი შორენა გედევანიძე.

ის უკვე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ წევრი და ამავე მოძრაობის ოფიციალურად დარეგისტრირებული მხარდამჭერია. ქალბატონ შორენას და ყველა სტუმარს დაურიგდა ბარათი, რომლის შევსების შემდეგაც ისინი „ქართული ოცნების“ წევრები გახდნენ. საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, ბარათში მხარდამჭერები იმ თემატურ ჯგუფსაც შემოხაზავდნენ, რომელშიც ისურვებდნენ მუშაობას. მაგალითად: სამართლის სისტემის და ადამიანის უფლებების, მედია გარემოს, ჯანდაცვის, კონფლიქტების მოგვარების, ან განათლების ჯგუფი. შევსებულ ბარათებს მოძრაობის მხარდამჭერები ფოიეში მდგარ გამჭვირვალე ყუთში ათავსებდნენ, რის შემდეგაც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ეკრანზე განვითარებულ მოვლენებს.

დარბაზში ტევა არ იყო. მოწვეულ სტუმრებს შორის ბევრი ცნობილი სახე აღმოჩნდა. მათ შორის ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორები „თავისუფალი დემოკრატებიდან“ და „რესპუბლიკელებიდან“, ასევე, პარტია „საქართველოს გზის“ წევრები. დარბაზში იყვნენ აქტიური პოლიტიკიდან წასული სახეები – გია მაისაშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, დავით თევზაძე, ვალერი კვარაცხელია. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი, გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნინო ქადაგიძე-ჟვანია და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა სახეები.

ყველაზე მეტ ყურადღებას პარტერის მეათე რიგი იქცევდა. აქ ღონისძიების მასპინძელი – ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე ისხდნენ. ერთი რიგით წინ ყრილობის საპატიო სტუმრების – ფეხბურთელი კახი კალაძის და მისი უკრაინელი მეგობრის, ანდრეი შევჩენკოს ადგილები იყო.

დარბაზში „ქართული ოცნების“ თეთრ და შავ მაისურებში გამოწყობილი ახალგაზრდები სტუმრებს ადგილის მოძებნაში ეხმარებოდნენ და მოძრაობის საინფორმაციო ბუკლეტს სთავაზობდნენ. „ჩვენ ერთად შევქმნით ჩვენი ოცნების საქართველოს. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და მაქსიმალურად ჩააბას იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განსაზღვრასა და განხილვაში“, – კითხულობდნენ სტუმრები პრეზენტაციის დაწყებამდე.

დაახლოებით 3 საათსა და 15 წუთზე შუქი ჩაქრა და უკეთ გამოჩნდა იასამნისფერ და თეთრ ფერებში სადად გაწყობილი სცენა. საქართველოს დროშებთან ერთად სცენაზე ევროპის საბჭოს დროშებიც იყო გამოფენილი. მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია ამავე სახელწოდების სიმღერით ბიძინა ივანიშვილის ვაჟიშვილმა ბერა ივანიშვილმა და „ქართული ოცნების“ მაისურებში ჩაცმულმა ახალგაზრდებმა გახსნეს.

„ერთად დადგომა რომ შევძლოთ, ბოლო იმედი არ არის წასული;

მთელი ცხოვრებაა ვოცნებობთ, ეს ოცნებაა ქართული!“, – ბერას სიმღერის დასასრულს მომღერალი და მოცეკვავეები შეკრული მუშტებით შეჯგუფდნენ.

სცენაზე ბერა პოეტმა და ივანიშვილის საბჭოს წევრმა რატი ამაღლობელმა შეცვალა: „ჩემი იდეა – ეს არის განსხვავებულთა ერთობა დავინახო, როგორც განსხვავებულთა შეთანხმება. დღეს ნაცვლად განსხვავებული აზრისა, ჩვენ გვაქვს ერთფეროვანი, უსახო აზროვნება. ჩვენ, ქართულმა საზოგადოებამ, არსებულ რეალობას უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი ღიაობა, მრავალფეროვნება, გახსნილობა, განსხვავებულობა. ეს არის უმნიშვნელოვანესი, რაც ქართულ საზოგადოებას გააჩნია და მიაღწევს გარკვეულ წარმატებას. მე ამის მჯერა, გაჩნდა იმედი, რომ ახდება ქართული ოცნება“. რატი ამაღლობელის თქმით, აქცენტი სამართლიანობაზე უნდა გაკეთდეს.

საკმაოდ ვრცელი სიტყვა ჰქონდა მეორე გამომსვლელს, მწერალ ნაირა გელაშვილს. მას გამოსვლა რამდენჯერმე ტაშითა და უკმაყოფილო შეძახილებით შეაწყვეტინეს. გელაშვილმა

ფოტო: ზაზა ქერჩუხიძე

კახა კალაძე, ბიძინა ივანიშვილი და ანდრეი შევჩენკო, თბილისი, 11 დეკემბერი 2011

ისაუბრა რუსეთთან ურთიერთობაზე, ეკოლოგიასა და სოფლის მეურნეობაზე. მან საქართველოს უახლესი 20-წლიანი ისტორია ლაბირინთს შეადარა, საიდანაც ქვეყანა ვერ გამოდის.

„ჩვენ წინ არსებული პრობლემების გადაჭრას პოპულისტური და ორდინალური კი არა, ძლიერი პიროვნული პოზიცია სჭირდებოდა. ჩვენ დავკარგეთ ადამიანი, კონკრეტული ადამიანის ტკივილი, მისი განცდები. მაგრამ ამ საზოგადოებრივ დუღილსა და ორომტრიალში მაინც ჩაისახა ის, რაზეც უნდა დაშენდეს მომავალი", – განაცხადა გელაშვილმა.

სამართლებრივ პრობლემებზე და ადამიანის უფლებათა დარღვევებზე გააკეთა აქცენტი ადვოკატმა მანანა კობახიძემ. მისი თქმით, ძალიან რთულია საქართველოში არარსებული მართლმსაჯულების სისტემაში სამართალს მიაღწიო. „2005 წლიდან დღემდე მხოლოდ 3,7 პროცენტი გამამამართლებელი განაჩენია გამოტანილი ქართულ სასამართლოებში... მე არ ვარ მეოცნებე, მაგრამ მინდა, თქვენთან ერთად შევცვალო მომავალი. მე დღეს აქ მოვედი სწორედ იმისთვის, რომ მჯერა, ეს ვითარება შეიცვლება. სამოქალაქო საზოგადოებას ზოგჯერ უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ პარტიასა და ლიდერს. მე აქ მოვედი იმიტომ, რომ მსურს, ქართული ოცნება მალე რეალობად ვიხილო," — აღნიშნა მან.

ყველაზე ხმაურიანი განცხადება პრეზენტაციისას კახი კალაძემ გააკეთა – მან ეროვნული ნაკრები დატოვა.

„ეს ჩემთვის უმძიმესი გადაწყვეტილებაა, რადგან 15 წელი საქართველოს ნაკრების ღირსებას ვიცავდი. ამ ხნის მანძილზე 83 მატჩი ჩავატარე ეროვნულ ნაკრებში. აქედან ყველაზე დასანანი იყო ერთი მატჩი, რომელმაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი ქართველ გულშემატკივარს," – განაცხადა კალაძემ და საკუთარ კარში გატანილი გოლები გაიხსენა.

მან მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს და ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებზე, უმუშევრობაზე.

„ადამიანების გარკვეული ჯგუფი დაუსჯელობის სინდრომით სარგებლობს. მათ მოახდინეს კანონის უზურპაცია და ქვეყნის კონსტიტუცია სათავისოდ მოირგეს. წლების მანძილზე ბოლშევიკურად იდევნებოდა ძეგლები და ეკლესიები. ადამიანთა ცემა, შანტაჟი, კანონის სახელით რეკეტი, მოსმენები – ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს. ქვეყნის მოსახლეობა ცხოვრობს მუდმივი დაძაბულობისა და სტრესის ფონზე. მოსახლეობაში დაისადგურა უიმედობამ და ნიჰილიზმმა. ვფიქრობ, საკმარისზე მეტი მიზეზია იმისათვის, რომ დადგეს საერთო სახალხო გამოღვიძების დრო", – აღნიშნა კალაძემ. მან ახალგაზრდებს მიმართა და კონსტიტუციით დაშვებული ყველა ფორმით ქართული ოცნების ასრულებისკენ მოუწოდა.

კალაძეს დარბაზი ერთი წუთის განმავლობაში უკრავდნენ ტაშს. იყო კმაყოფილების შეძახილებიც.

თუმცა ყველაზე დიდი აპლოდისმენტებით აუდიტორია ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. სანამ ბიზნესმენი თავის სიტყვას დაიწყებდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშს უკრავდა. „ნამდვილად უნდა ავდგეთ ფეხზე, ასეთი კაცი დგას სცენაზე და ფეხზე წამოდგომა არ ეკუთვნის?!" – ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

ივანიშვილმა კვლავინდებურად ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე და პრობლემებზე ისაუბრა. მისი თქმით, სამოქალაქო საზოგადოება ჩამოშორებულია სახელმწიფოს მართვას. მოშლილია ადგილობრივი თვითმმართველობა. არჩევითი ორგანოები მმართველ ელიტას ემსახურებიან, ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა და გამეფებულია ელიტური კორუფცია. ასევე აღნიშნა, რომ მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. საზოგადოება კი ობიექტურ ინფორმაციასაა მოკლებული. მან განაცხადა, რომ ხელისუფლებას ორი წარმატებული პროექტი ჰქონდა – ეროვნული გამოცდები უნივერსიტეტებში მისაღებად და სამართალდამცავთა რეფორმა.

„საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს, კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი", – აღნიშნა ივანიშვილმა.

მან საზოგადოებრივი მოძრაობის მთავარ ამოცანად რეგიონული სტრუქტურების შექმნა და სხვადასხვა თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება დაასახელა. მისი თქმით, რეგიონულმა სტრუქტურებმა სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისათვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია უნდა შეძლონ, „რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს“.

პრეზენტაციის დასასრულს ისევ ბერამ იმღერა. ამჯერად მან საქართველოს ჰიმნი შეასრულა „ქართულ ხმებთან“ ერთად. ღონისძიება ბერას ახალი კლიპით დასრულდა. რასაც მისი გულშემატკივრების აღტაცებული შეძახილები მოჰყვა. ახალგაზრდების ჯგუფი ფილარმონიის დერეფანში დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში სკანდირებდა „ბერა“-ს.

შეკრებილი საზოგადოება მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციით კმაყოფილი დარჩა. ნინო ქადაგიძემ „ლიბერალს“ განუცხადა, რომ მას იმედი გაუჩნდა.

„გამიჩნდა განცდა, რომ ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მოქალაქეების და მოქალაქეები ანგარიშვალდებულნი არიან ქვეყნის წინაშე. „ქართული ოცნების“ წევრი, უპირველეს ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო გავხდი. მე მას ვენდობი, როგორც ადამიანს და ვფიქრობ, რომ ის პრინციპები, რომლებზეც საუბრობს, იმ ყველაფრის გაგრძელება იქნება, რასაც ზურა აკეთებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია მუდმივად ერთი პოლიტიკური ძალა იყოს ქვეყანაში და აუცილებელია, ალტერნატიული პოლიტიკური ძალის განვითარება“, – განაცხადა ქადაგიძემ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი მოძრაობა შეაფასეს, როგორც პოსტსაბჭოთა აზროვნებისა და მენტალიტეტის აგონია.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ხელმძღვანელმა გიორგი თარგამაძემ კი „ქართული ოცნების“ შეფასება ნაადრევად მიიჩნია. მისი თქმით, უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროგრამა და მიზნები, ასევე, ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც ივანიშვილი შექმნის.

თუმცა იმის გამო, რომ ივანიშვილს ჯერ საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს, ის პოლიტიკურ პარტიას ვერ შექმნის და ქვეყანაში სიტუაციის შეცვლას საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებით“ შეეცდება. ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს სასამართლო 20 დეკემბერს განიხილავს.

ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა ყრილობაზე, თბილისი, 11 დეკემბერი 2011

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის ნაკლებობითა და ბაზრის მძლავრი კონცენტრაციით ხასიათდება, რადგან მის დიდ ნაწილს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის ახლო მეგობრებისა და ნათესავების ქსელი აკონტროლებს. ნაციონალური სატელევიზიო არხების სარეკლამო დროზე დე-ფაქტო მონოპოლიას სატელევიზიო რეკლამების გაყიდვების სახლი „ჯენერალ მედია“ ფლობს, თბილისის გარე რეკლამების სეგმენტში კი დომინანტური პოზიცია „აუთდორ.ჯი“-ს უკავია“.

გიორგი მგელაძე

ეს არის ამონარიდი ანგარიშიდან, რომელიც ქართული სარეკლამო ბაზრის შესახებ ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოამზადა.

სამოცგვერდიანი ანგარიშის პრეზენტაცია ორგანიზაციამ 13 დეკემბერს გამართა. ორგანიზაციის თანამშრომლები კვლევის მომზადებაზე რამდენიმე თვე მუშაობდნენ, კვლევაში ყველა ტიპის მედია საშუალების (ტელეარხების, რადიოსადგურების, ბეჭდური და ინტერნეტ მედია) სარეკლამო პრობლემებია განხილული.

კვლევის ავტორებმა აღნიშნეს, რომ ქართული სარეკლამო ბაზრის უდიდეს ნაწილს ხელისუფლებასთან დაკავშირებული პიროვნებები და კომპანიები აკონტროლებენ, ხოლო სარეკლამო ბაზარი საქართველოში არ არის თავისუფალი.

„ლიბერალის“ მკითხველს ანგარიშის მთავარი საკითხების მიმოხილვას ვთავაზობთ.

ერთიანი სარეკლამო გაზარი

კვლევის მიხედვით, 2010 წელს ქართული სარეკლამო ბაზრის წმინდა მოცულობა 43-დან 46,5 მილიონ აშშ დოლარს შორის მერყეობდა. მათი ინფორმაციით, ამ ფულის 78% ტელევიზიებში მიდის. 7% – რადიოებში, 6% გარე რეკლამის წილია, ხოლო ჟურნალ-გაზეთებში – თანხის მხოლოდ 4% ხვდება. ინტერნეტმედიაში რეკლამაზე დახარჯული მთლიანი თანხის მხოლოდ 1% შედის, რაც 1 მილიონ აშშ დოლარსაც კი ვერ აღწევს.

სატელევიზიო რეკლამა

თბილისის მოსახლეობის 80% და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის 90% ახალ ამბებს ტელევიზიით იგებს, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ სარეკლამო ბაზრის დიდი წილი სწორედ ტელევიზიებზე მოდის. კვლევის მიხედვით, საქართველოში სამაუწყებლო ლიცენზიას 47 ტელეარხი ფლობს, 4 ტელეარხი კი საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელია. „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მაუწყებლობს ორი არხით, („პირველი არხი“ და „მეორე არხი“) და სატელიტური არხით – „პირველი კავკასიური“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას საკუთარი არხი, „აჭარის ტელევიზია“ აქვს.

ტელევიზორთან გატარებული ყოველი 100 წუთიდან ტელემაყურებელი 60 წუთს (60%-ს) ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ეთერს უთმობს. ამ ორ ტელევიზიაზე მოდის მთლიანი სარეკლამო ბაზრის 2/3-ზე მეტი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კვლევის ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2010 წელს მაუწყებლებმა 70 მილიონამდე ლარის შემოსავალი მიიღეს. 2010-2011 წლებში სარეკლამო ბაზრის 60%-ზე მეტი „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ მოდიოდა.

სარეკლამო შემოსავლების მხრივ ძალზე არასახარბიელო მდგომარეობა აქვს 22 რეგიონულ მაუწყებელს. რეგიონული ტელევიზიები „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციაში“ (GARB) არიან გაწევრიანებული.

GARB-ის მონაცემებით, 2010 წელს 22 არხის მთლიანმა შემოსავლებმა დაახლოებით 1.1 მილიონი ლარი შეადგინა. ტელეკომპანიების შემოსავლების დაახლოებით 70 პროცენტი ნეკროლოგებიდან და მაყურებელთა პირადი SMS გზავნილებიდან იყო მიღებული“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

„ჯენერალ მედია“ – სატელევიზიო რეკლამის მონოპოლისტი

კვლევის ავტორებს სატელევიზიო რეკლამის ასე არათანაბრად გადანაწილების მთავარ მიზეზად ბაზრის მონოპოლიზაცია მიაჩნიათ.

2010 წლამდე საქართველოში სატელევიზიო რეკლამას ორი კომპანია „თაჩ მედია“ და „მედია ჰაუსი“ ანაწილებდა. „მაესტროს“ და „კავკასიის“ გარდა თბილისიდან მაუწყებელი ყველა ტელევიზიის ეთერში რეკლამის განთავსება სწორედ ამ ორი კომპანიის შუამავლობით ხორციელდებოდა.

„თაჩ მედიას“ ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, დღემდე საქართველოს ხელისუფლებასთან ასოცირებული გიორგი არველაძე ხელმძღვანელობდა, „მედია ჰაუსი“ კი, კომუნიკაციების კომისიის დღევანდელ ხელმძღვანელს ირაკლი ჩიქოვანს ეკუთვნოდა. იგი იმ პერიოდში „რუსთავი 2“-ის თანამფლობელიც იყო.

“იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებმა როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, ამ ორ არხს შორის არსებულმა კონკურენციამ რეკლამის ფასების იმგვარი დაცემა გამოიწვია, რომ არხების ფინანსურ მდგრადობას საფრთხე შეექმნა. სწორედ ამის გამო კომპანიებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთის წინააღმდეგ კონკურენცია შეეწყვიტათ და ერთსა და იმავე გაყიდვების სახლთან, „ჯენერალ მედიასთან“, ეთანამშრომლათ.

„ჯენერალ მედია“ 2010 წლის თებერვალში შეიქმნა, მისი დამფუძნებელი და 100%-ს მფლობელი საზოგადოებისთვის უცნობი პიროვნება ვინმე მერაბ წულუკიანია. „ამჟამად, „ჯენერალ მედია“ დეფაქტო მონოპოლისტია და ნებისმიერი კომპანია, რომელსაც ნაციონალურ არხებზე (გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა) რეკლამის განთავსება სურს, იძულებულია მასთან ითანამშრომლოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში ერთი ქვეთავი მედიაში განთავსებულ რეკლამაზე არსებულ პოლიტიკურ გავლენას ეხება: „ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, იმ დამოუკიდებელ მედია საშუალებებს, რომლებიც სენსიტიურ პოლიტიკურ მოვლენებს აშუქებენ, რეკლამების მოზიდვაში სირთულეები ექმნებოდათ. კერძო სექტორის დიდ ნაწილში, თვითცენზურის გარემო არსებობს, რადგან ბიზნესის ლიდერები დამოუკიდებელ მედია საშუალებებში რეკლამის განთავსებას მათი საწარმოს წარმატებისათვის პოტენციურ რისკად აღიქვამენ, რომელზე წასვლაც არ სურთ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გარემო მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

როგორც თბილისში მოქმედი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „კავკასიისა“ და ოპოზიციურ ტელეარხ „მაესტროს“ წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც რეკლამის დამკვეთები ამ არხებთან დადებულ კონტრაქტებს, პოლიტიკური ზეწო-

ლის გამო, რამდენიმე დღის შემდეგ აუქმებდნენ“, – აღნიშნულია ანგარიშში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ანგარიშში ცალკე თავი ეძღვნება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ მიმდინარე წლის აპრილში შეტანილი ცვლილებების შემდეგ მას კომერციული რეკლამის გაშვება თითქმის სრულად აეკრძალა.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“ რეკლამის განთავსება მხოლოდ საერთაშორისო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებისას შეუძლია. შეზღუდვა არ ვრცელდება თანამგზავრულ მაუწყებელზე „პირველი კავკასიური“, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფარგლებში შედის.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სარეკლამო შემოსავლებმა გასულ წელს 3,5 მლნ ლარი შეადგინა, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით 2012 წელს სარეკლამო შემოსავლის ნახევარმილიონიან კლებას ვარაუდობენ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს ლევან გახელაძეს არ მიაჩნია, რომ რეკლამებიდან მიღებული შემოსავლების კლება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მდგრადობაზე, ან ფინანსურ დამოუკიდებლობაზე ნეგატიურად აისახება.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ფულს მომხმარებლები უხდიან და მათ ბევრი რეკლამის ნახვა არ სურთ. ჩემი ფილოსოფია ასეთია და ამაში საბჭოს ბევრი წევრი მეთანხმება“, – განაცხადა გახელაძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ სარეკლამო დროის გაყიდვის ნაცვლად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მიიზიდავს სპონსორებს ისეთი დაბალბიუჯეტიანი გადაცემების დასაფინანსებლად, რომლებიც კონკრეტულ მიზნობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

რადიო რეკლამა

ანგარიშში შედარებით მცირე მოცულობა უჭირავს სხვა ტიპის მედია საშუალებების სარეკლამო შემოსავლების შეფასებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ტელევიზიებს გარდა სხვა მედია საშუალებებში განთავსებული რეკლამის მოცულობის შესახებ ინფორმაცია ან არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ ძალიან მწირია.

რადიოსიხშირეებზე მთელ საქართველოში 29 საერთო და 7 სათემო ლიცენზიაა გაცემული. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2010 წელს რადიო რეკლამაზე გაწეულმა წმინდა დანახარჯებმა 3 868 013 ლარი (2 205 095 აშშ დოლარი) შეადგინა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემადგენლობაში შესული რადიოს სარეკლამო შემოსავლებმა 2011 წელს 23 ათასი ლარი შეადგინა, კვლევაში მხოლოდ „საზოგადოებრივი რადიოს“ რეკლამის შემოსავალია ასახული.

ინტერნეტ რეკლამა

საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ინტერნეტ რეკლამის ზრდაზე პირდაპირპროპორციულად არ აისახება. კვლევის მიხედვით, ინტერნეტში სარეკლამო ბაზრის მთლიანი მოცულობის 1%-ზე ნაკლები თავსდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასებით, 2010 წელს ინტერნეტ რეკლამებზე გაწეული დანახარჯები 1 მილიონ აშშ დოლარს არ აჭარბებდა (საძიებო სისტემების ჩათვლით).

მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, ინტერნეტ რეკლამების რაოდენობა საქართველოშიც მკვეთრად მატულობს, რაც ქვეყანაში ინტერნეტის გავრცელების ზრდითაც არის განპირობებული. თუმცა, მკვეთრი ზრდის მიუხედავად, რეკლამების ეს რაოდენობა რამდენიმე ვებგვერდის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფადაც კი არ არის საკმარისი. „ვინაიდან Facebook-ზე საქართველოს მოსახლეობისთვის გამიზნული რეკლამის განთავსება ძალზე იაფია, ახალი ამბების სააგენტოების ვებგვერდებს რეკლამებიდან საკმარისი შემოსავლების მიღება და პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმისთვის კონკურენციის გაწევა უჭირთ“, – აღნიშნულია კვლევაში.

რეკლამა ბეჭდურ მედიაში

საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-მა 2011 წლის დასაწყისში საქართველოში გამომავალი 73 გაზეთისა და 87 ჟურნალის დაფიქსირება შეძლო. გამოცემების ტირაჟის და სარეკლამო შემოსავლების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს. მაუწყებლებისგან განსხვავებით, ბეჭდური მედია არც ლიცენზირებას საჭიროებს და არც ანგარიშვალდებულია საკუთარი შემოსავლები გაასაჯაროოს.

კვლევაში ბეჭდური მედიის სარეკლამო პრობლემები რამდენიმე ბეჭდური გამოცემის მაგალითზეა განხილული. ეს გამოცემებია ჟურნალები „ტაბულა“ და „ლიბერალი“, აგრეთვე, აჭარაში გამომავალი გაზეთი „ბათუმელები“.

„2009 წელს მისი დაარსების შემდეგ, ჟურნალ „ტაბულაში“, რომლის რედაქტორი, თამარ ჩერგოლეიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, გიგა ბოკერიას მეუღლეა, რეკლამის დამკვეთები შთამბეჭდავი რაოდენობის მთლიან გვერდზე განსათავსებელ რეკლამებს დებენ. ამავდროულად, „ტაბულას“ უშუალო კონკურენტი, დამოუკიდებელი ყოველკვირეული ჟურნალი „ლიბერალი“, რომელიც დიდწილად იმავე ტიპის აუდიტორიაზეა გათვლილი, რეკლამის დამკვეთების მიზიდვას გაჭირვებით ახერხებს. „ლიბერალს“ სამთავრობო უწყებებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებიდან რეკლამის შეკვეთები არ მიუღია, „ტაბულაში“ კი რეგულარულად ათავსებს რეკლამას დაცული ტერიტორიების სააგენტო. რეკლამის სხვა რეგულარულ დამკვეთებს შორის, რომელთაც „ტაბულასთან“ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ, არიან „ლიბერთი ბანკი“, რომელსაც მთავრობისგან პენსიებისა და სოციალური შემწეობების გაცემის ექსკლუზიური უფლება აქვს მინიჭებული და რომლის თანამფლობელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძეა, და „საქართველოს ლატარიის კომპანია“, ხელისუფლების მიერ დაშვებული მონოპოლისტი, რომელსაც დიმიტრი ჩიქოვანი (დავით კეზერაშვილის ცოლის-ძმა) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით მართავს. ა.წ. აგვისტოში, ჩიქოვანმა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მართვის უფლებების 70% ეკონომიკის სამინისტროს დაუბრუნა, რომელმაც ეს აქტივები სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ „საქართველოს ფოსტას“ გადასცა. ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში

მყოფი ლატარიის კომპანია რეკლამებს კვლავ „ტაბულაში“ ათავსებს“, – ნათქვამია ანგარიშში.

ბეჭდურ მედიაში განთავსებული რეკლამის სახელისუფლებო კონტროლზე რეგიონული პრესის წარმომადგენლებიც საუბრობენ. „მე რეკლამის პოტენციური დამკვეთები ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემს გაზეთში რეკლამის განთავსება მათ კომპანიაში ფინანსური პოლიციის გამოჩენას გამოიწვევს“, – განუცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ფოთში გამომავალი გაზეთის, „თავისუფალი სიტყვა“, რედაქტორმა ელისო ჯანაშიამ.

„ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი, ეთერ თურაძე, აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე, გაზეთი შემოსავლების 30 პროცენტს რეკლამებიდან იღებდა. „რამდენიმეჯერ, ბიზნესმენებმა ღიად განმიცხადეს, რომ თუ ჩემს გაზეთში რეკლამებს განათავსებდნენ, მათი ბიზნესი საფრთხის ქვეშ დადგებოდა. ისინი მეუბნებიან, რომ მათზე ზეწოლას ხელისუფლება ახდენს“, – აცხადებს თურაძე. „ბოლო დროს გვქონდა შემთხვევა, როდესაც ერთმა მეწარმემ ჩვენთან დადებული სარეკლამო კონტრაქტი გააუქმა და გვითხრა, რომ მას დაურეკეს და „ბათუმელების“ დაფინანსების გამო მკაცრი შენიშვნა მისცეს, რაშიც რეკლამის განთავსებას გულისხმობდნენ. ჩემი აზრით, თავისუფალ მედიაში რეკლამები მანამ არ იქნება, სანამ თავად ბიზნესები არ გახდებიან თავისუფალი, ამ ეტაპზე კი ყველა დიდი ბიზნესი ხელისუფლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“, – აღნიშნავს თურაძე.

გარე რეკლამა

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში გარე რეკლამას აკონტროლებენ ხელისუფლებასთან დაკავშირებული კომპანიები და რომ ეს გარემოება დოკუმენტურად დადასტურებულია. „2009 წელს ქალაქ თბილისის მერიამ აუქციონის წესით გასცა ორი ნებართვა, რომელიც გარე რეკლამების განთავსების 12 წლის ვადით მართვას ითვალისწინებს. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე აბრები კომპანია „აუთდორ.ჯი“-ს გადაეცა, რომელსაც მერიამ სხვა კომპანიებისთვის ქველიცენზიით გადაცემის უფლებაც მიანიჭა. მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე აბრების განთავსების უფლება „მაგი სტილი მედიამ“ მიიღო, რომელსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი ჩიქოვანი ფლობს. 2011 წლის დასაწყისში, „მაგი სტილი მედია“ შპს „სმოდ ედვერთაისინგმა“ ჩაანაცვლა, რომელიც მხოლოდ 2011 წლის იანვარში შეიქმნა. „სმოდს“ არც ვებგვერდი გააჩნია და არც სატელეფონო ცნობარ yell.ge-შია შეტანილი, ამ კომპანიას „სმოდ ექუითიზ კორპი“ ფლობს, რომელიც პანამაში დარეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანიაა.

საქართველოში „სმოდ ექუითიზ კორპის“ ოფიციალური წარმომადგენელია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და, 2008 წელს ქართული მედიის მიხედვით, „აუთდორ.ჯი“-ს მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ აქციების 70%-ს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი „საქართველოს ფოსტა“ მართავს, 30 პროცენტს კი – „ლექსორ კეფითალ კორპი“, რომელიც ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანიაა და რომელსაც საქართველოში დიმიტრი ჩიქოვანი წარმოადგენს. დიმიტრი ჩიქოვანი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლისძმაა და წელს სექტემბრამდე „აუთდორ.ჯი“-ს გენერალური დირექტორი იყო.

რეკომენდაციები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საკუთარ ანგარიშში მედიას, ხელისუფლებას და დონორებს გარკვეულ რეკომენდაციებსაც სთავაზობს. ორგანიზაცია მედია საშუალებებს ერთმანეთთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს და ერთიანი მონაცემთა ბაზების შექმნას და ინფორმაციის გაცვლას ურჩევს; დონორებს – რეგიონული მედიის მხარდაჭერას და მათთვის რეკლამის მიზიდვის მექანიზმების შემუშავებაში დახმარებას სთავაზობს; ხელისუფლებას კი – სარეკლამო ბაზარში ჩაურევლობისკენ და კონკურენციის ხელშეწყობისკენ მოუწოდებს.

"ჯენერალ მედია" საქართველოს სატელევიზიო ბაზრის მონოპოლისტია

„ჯენერალ მედია“ ექსკლუზიურად ყიდის სარეკლამო დროს როგორც „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე, ისე „საქართველოზე“, „მზეზე“, „რეალ ტივი“-ზე და „პირველ სტერეოზე“. „ჯენერალ მედია“ ამჟამად ქვეყნის მთელი სარეკლამო ნაკადების დაახლოებით ორ მესამედს აკონტროლებს“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

2010 წელს მთლიანი საჰეზლამო ბაზრის მხოლოდ 1% განთავსდა ინტერნეტმედიაში

საქართველოში ინტერნეტ რეკლამებისთვის გადახდილი ფული ადგილობრივი მედიის განვითარებას არ ხმარდება და მულტინაციონალურ კომპანიებში, უმთავრესად Google-სა და Facebook-ში, მიედინება.

ბაჰეჰეზლამის ბაზარზე ტეზერაშვილის ცოლის ძმა დიმიტრი ჩიქოვანი ფლობს

დიმიტრი ჩიქოვანი ფლობს გარე სარეკლამო კომპანიის „აუთდორ. ჯი“-ს, „საქართველოს ლატარიის კომპანიისა“ და „ედ პროჯექტის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ოფშორული კომპანია, რომელიც ფლობს ისეთი წამყვანი სარეკლამო სააგენტოების აქციებს, როგორებიცაა „ეფ ვინდფორსი“, „სტუდია მეტრო“ და „მედია პორტი“) წილებსა და აქციებს. იგი, ასევე, ჩართულია საგაზეთო ჯიხურების ქსელის ბიზნესში, რომლებშიც გაზეთები და „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ლატარიის ბილეთები იყიდება“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ჟურნალისტები სასამართლოში

სტუდია „მაესტროს“ ჟურნალისტები ეროსი კიწმარიშვილთან მუშაობაზე უარს ამბობენ.

მალხაზ ჭკადუა

„მაესტროს“ დამფუძნებლები ნუცუბიძის 93-დან მართვის კომპანიის ხელმძღვანელის, ეროსი კიწმარიშვილის გამოსვლას ელიან, კიწმარიშვილი კი გამოცხადებულ ვაკანსიებზე ჟურნალისტთა განცხადებებს იღებს.

სტუდია „მაესტროს“ ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ამბობს, რომ დამფუძნებლებმა კიწმარიშვილის შენობიდან გამოყვანის მოთხოვნით პოლიციაში განცხადება დეკემბრის დასაწყისშივე, ანუ მას შემდეგ მალევე შეიტანეს, რაც ეროსი კიწმარიშვილი 30 ნოემბერს ოფისის ტერიტორიაზე ღობიდან გადაძვრა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747-ე ბრძანების თანახმად, ეროსი კიწმარიშვილს ტერიტორია დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა. ყველა დამფუძნებელთან ერთად კიდევ ერთხელ მივედით პოლიციაში და მოვითხოვეთ მინისტრის ბრძანების შესრულება. რეაგირებისთვის კიდევ ორ დღეს დავიცდით. თუ კიწმარიშვილი სამართალდამცველებმა შენობიდან არ გამოაძევეს, „მაესტროს“ ყველა ჟურნალისტი პოლიციის შენობასთან დადგება. მეტის მოთმინება არ შეიძლება“, – უთხრა გაბუნიამ „ლიბერალს“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 747-ე ბრძანების თანახმად, „სავარაუდო ხელმყოფი ვალდებულია, გაფრთხილების ჩაბარების შემდეგ შეწყვიტოს სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა, ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაიტანოს მისი მოძრავი ნივთები.“

დამფუძნებლებმა პოლიციის გარდა, განცხადება პროკურატურაშიც შეიტანეს. დოკუმენტში სტუდია „მაესტროს“ წარმომადგენლები სახელმწიფოს ეროსი კიწმარიშვილის მხრიდან ჟურნალისტთა საქმიანობის ხელისშეშლის ფაქტების შესწავლას სთხოვენ. ამავე მოტივით თავად ჟურნალისტებმა განცხადება სახალხო დამცველის აპარატშიც შეიტანეს.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას, სტუდია „მაესტროს“ 100-იანი წილის დაყადაღების შესახებ, გაბუნია ამბობს, რომ განჩინება უკანონოა.

„იმდენად აბსურდული არგუმენტებია მოყვანილი, რომ განჩინებას უკანონოდ მივიჩნევ. თითქოს დამფუძნებლებმა კომპანიის აქციათა 51% გაყიდეს. სრული აბსურდია“, – ადვოკატის თქმით, ეს განჩინებაც გასაჩივრებულია.

„ლიბერალმა“ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიღებული განჩინების ასლის მოთხოვნით მიმართა, თუმცა სასამართლომ ამაზე უარი თქვა.

სასამართლო დავებში მონაწილეობის გარდა, მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილი გამოცხადებულ ვაკანსიებზე ჟურნალისტთა განცხადებების მიღებას აგრძელებს. „ლიბერალთან“ საუბარში კიწმარიშვილმა თქვა, რომ ახალშერჩეული კადრებით „ობიექტურ და მიუკერძოებელ, თანამედროვე მენეჯმენტის ტელევიზიას“ შექმნის.

„იმას, რაც იყო გათვალისწინებული აქამდეც, ახლა განვახორციელებ: დილის ეთერი, ტოკ-შოუები, სტუმრები და საინფორმაციო გამოშვებები - არ გამოვრიცხავ, რომ გაქცეული ჟურნალისტების ნაწილიც კი დაბრუნდეს. მე წავიკითხე მათი განცხადება, რომლითაც სახალხო დამცველს მიმართეს. მზად ვარ, რომ ყველა მათგანს დამფუძნებლების გარეშე შევხვდე და დაველაპარაკო“, – თქვა კიწმარიშვილმა.

ტოკ-შოუ „არგუმენტების“ წამყვანი თეა სიჭინავა გამორიცხავს, რომ სტუდია „მაესტროს“ რომელიმე ჟურნალისტმა კიწმარიშვილთან მუშაობა მოისურვოს.

„აქ არის სრული შემადგენლობა დაცვიან-დამლაგებლიანად, აქამდე არავის წასვლის სურვილი არ გამოუთქვამს“, – უთხრა „ლიბერალს“ ჟურნალისტმა.

შეძლებს თუ არა ეროსი კიწმარიშვილი მაუწყებლობას ჟურნალისტების ახალი გუნდით? კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში თქვეს, რომ მაუწყებლობის ლიცენზია არა მართვის კომპანიას, არამედ დამფუძნებლებს ეკუთვნით, შესაბამისად, მათ შეუძლიათ მოძრავი სადგურიდანაც კი გადასცენ სიგნალი სატელევიზიო ანძას.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დაპირისპირება „მაესტროში“ მას შემდეგ დაიწყო, რაც 30 ნოემბერს ეროსი კიწმარიშვილი საკუთარი დაცვის წევრებთან ერთად ტელეკომპანიის ტერიტორიის ღობეზე გადაძვრა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება იმ პროცესის შესაჩერებლად მიიღო, რომელიც ტელეკომპანიის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელზე, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილზე გასხვისებას გულისხმობს. კიწმარიშვილმა და „მაესტროს“ აქციათა მფლობელებმა ერთმანეთი სწორედ ივანიშვილთან ფარულ გარიგებაში დაადანაშაულეს. ტერიტორიაზე შეჭრის დღესვე დამფუძნებლებმა ეროსი კიწმარიშვილთან ხელმოწერილი კონტრაქტი გაწყვიტეს, რომელიც 2012 წლის 1 დეკემბრამდე, სტუდია „მაესტროს“ მართვის უფლებით გადაცემას ითვალისწინებს.

ილუსტრაცია სოფო ქორქაძე / ვორბანი

პირობით ვადამდე გათავისუფლება - რამდენად აღეკვატურად მუშაობენ საბჭოები?

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში მუშაობს სამი ადგილობრივი საბჭო, ე.წ. მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებს განიხილავს. უფლებადამცველების ერთი ნაწილი მას არაეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს.

ზურაბ ვარდიაშვილი

პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმი კანონმდებლობითაა დარეგულირებული. პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გამოსცა ბრძანება N151.

საკანონმდებლო რეგულაციები

ბრძანების თანახმად, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქუთაისის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატიმრების ვადამდელი გათავისუფლების საკითხებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო განიხილავს თბილისის, რუსთავის, გარდაბნისა და მცხეთის ტერიტორიებზე არსებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებული

ᲰᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ "ᲣᲓᲝ"

„საბჭოთა კავშირიდან გამოყოლილი ინერციის გამო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში არსებულ საბჭოებს დღემდე „უდო“-დ მოიხსენიებენ. ეს აბრევიატურა რუსულად იშიფრება, როგორც პირობით ვადამდელი გათავისუფლების კომისია, ანუ კომისია „უსლოვნო დოსროჩნოგო ოსვობოჟდენია“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲝᲛᲯᲘᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

საქართველოში პატიმართა ვადამდე ადრე გათავისუფლებას იხილავს სამი ადგილობრივი საბჭო. თითოეული 5 წევრისგან შედგება და მის შემადგენლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროს ცენტრალური აპარატის, არასაპატიმრო სასჯელაღსრულების სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის სამინისტროს და თვითმმართველობის ორგანოთა თითო-თითო წარმომადგენელი შედის.

ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

კომისია მსჯავრდადებულს, რომელსაც დროზე ადრე განთავისუფლება სურს, სპეციალური კრიტერიუმებით აფასებს. თითოეულ კრიტერიუმს თავისი კოეფიციენტი აქვს. კრიტერიუმებია: „დანაშაულის ხასიათი“ (კოეფიციენტი 1) „წარსულში ჩადენილი დანაშაულის ფაქტები – ნასამართლეობა“ (კოეფიციენტი 1,5) „ოჯახური პირობები“ (კოეფიციენტი 1) და „მსჯავრდადებულის პიროვნება“. (კოეფიციენტი 1)პატიმარი სამდონიანი სისტემით ფასდება – 0. 1. 2. ამ კრიტერიუმის შეფასების ქულა მრავლდება კოეფიციენტზე და ნამრავლი ჯამდება. მაგალითად, თუ მსჯავრდადებული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით თითო-თითო ქულას იმსახურებს, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიმარი 4,5 ქულას მიიღებს (1X1+1X1,5+1X1+1X1 = 4,5) და ზეპირ მოსმენაზე გავა.

პატიმრების ვადამდელი გათავისუფლების საკითხებს.

არასრულწლოვანთა ვადამდელი გათავისუფლების საკითხებს კი მესამე, ცალკე არსებული საბჭო განიხილავს.

ამავე ბრძანების თანახმად, ვადაზე ადრე გასათავისუფლებელთა სიაში რომ მოხვდეს, პატიმარი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, სასჯელის კანონით დადგენილი ვადა უნდა მოიხადოს. ეს ვადა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით იცვლება. არსებობს სამი კატეგორიის დანაშაული: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. დანაშაული ნაკლებად მძიმედ მიიჩნევა, თუ მასზე დაწესებული სასჯელის მაქსიმალური ვადა 5 წელს არ აღემატება, მძიმე დანაშაულისთვის – 10 წელს. თუ სასჯელი ათ წელზე მეტია, საქმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან გვაქვს.

ადგილობრივ საბჭოს ვადამდელი გათავისუფლების თხოვნით რომ მიმართოს, პატიმარს ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – დანიშნული სასჯელის ნახევარი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი სამი მეოთხედი უნდა ჰქონდეს მოხდილი.

პროცედურა ასეთია: კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პატიმრის ადვოკატი, ოჯახის წევრი, ან თავად მსჯავრდადებული ადგილობრივ საბჭოს განცხადებით მიმართავს და მისი საქმის განხილვას ითხოვს.

პირველ ეტაპზე კომისია საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს, ანუ მხოლოდ დოკუმენტებს, ამა თუ იმ პატიმრის ე.წ. საქმის მასალებს სწავლობს. თითოეულ პატიმარს კომისიის წევრები უწერენ ქულებს. 6,5 ქულაზე მეტის მოგროვება ავტომატურად გამორიცხავს პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლებას. 6,5 ქულის, ან ნაკლების დაგროვების შემთხვევაში, შესაძლოა ზეპირი მოსმენა დაინიშნოს. მოსმენაზე მსჯავრდადებულს, ან მის ადვოკატს იწვევენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტის, გაგი მოსიაშვილით თქმით, თუ ზეპირი მოსმენა დაინიშნა, დიდი ალბათობით, პატიმარს პირობით, ვადაზე ადრე გაათავისუფლებენ.

ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

45 წლის ლევან კვირიკაშვილი 2009 წლის 23 ივნისს დააკავეს, 11 ნოემბერს გაასამართლეს და 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კვირიკაშვილმა სასჯელის ნახევარი 2010 წლის 23 სექტემბერს მოიხადა და საბჭოს პირობით ვადამდე გათავისუფლების თხოვნით მიმართა.

პატიმარი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს აუდიტორად მუშაობდა, სასჯელს ეკონომიკური დანაშაულისთვის იხდის. ბრალდების თანახმად, მან ერთ-ერთ ინდმეწარმეს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და ჯარიმა არ დაარიცხა. დახასიათების მიხედვით, მსჯავრდადებულს სისტემატური ურთიერთობა აქვს თავის ექვსსულიან ოჯახთან. სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული, ან დასჯილი არ ყოფილა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე არ მოქცეულა, რომ ციხის ადმინისტრაციისგან შეღავათები მიეღო, თუმცა არც სასჯელი დაუმსახურებია.

ადგილობრივმა საბჭომ კვირიკაშვილის საქმე 28 ოქტომბრის შეკრებაზე განიხილა. სხდომას გიორგი გორაძე (თავმჯდომარე), ვალერიან გავაშელი, ირაკლი აბესაძე და ზვიად დევდარიანი ესწრებოდნენ. სწორედ მათ იმსჯელეს ლევან კვირიკაშვილის განცხადების შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილებით, კვირიკაშვილმა 7,5 ქულა მიიღო და შესაბამისად, მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

გაგი მოსიაშვილის აზრით, კომისიის წევრები სუბიექტურნი არიან – „ძნელია დაადგინო, რის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს, კვირიკაშვილის საქმე შეფასების კრიტერიუმებში არსებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ მაინც 7,5 ქულა დაუწერეს“, – ამბობს იურისტი.

გაგი მოსიაშვილი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნებს შაბლონურს უწოდებს და პარალელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან ავლებს: „როდესაც სასამართლო განიხილავს, დაუშვას თუ არა ესა თუ ის საქმე განსახილველად, მას მათი განმარტების ვალდებულება

აკისრია, თუმცა უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებები ყოველგვარი ახსნის გარეშე გამოაქვს. ადგილობრივი საბჭოს შემთხვევაც ანალოგიურია.“

მოსიაშვილი ადგილობრივ საბჭოს არც პატიმარ ნიკა ბაციკაძის შემთხვევაში ეთანხმება. საქმის მასალების მიხედვით, 31 წლის ბაციკაძე „2007 წლის 31 აგვისტოს აშკარად დაეუფლა მოქალაქე რ. ი.-ს მობილურ ტელეფონს და ფულად თანხას 35 ლარის ოდენობით“. ამ დანაშაულისთვის მას 6 წელი მიუსაჯეს, სასჯელის ორი მესამედი 2011 წლის აგვისტოში მოიხადა. წახალისებული არ ყოფილა. 2009 წლის 2 მარტს „საღამოს შემოწმებას ხელი შეუშალა“ და 3 დღით კარცერში მოათავსეს.

კომისიის გადაწყვეტილებით ბაციკაძემ 7,0 ქულა დაიმსახურა და, შესაბამისად, ვადამდელი გათავისუფლების თხოვნა არ დაუკმაყოფილდა.

„რამდენად სამართლიანად სწავლობენ ადგილობრივი საბჭოს კომისიის წევრები საქმეებს?“ – კითხულობს მოსიაშვილი და თავად პასუხობს – „დასკვნები ხშირად ერთმანეთის მსგავსია და მხოლოდ სახელები და გვარებია განსხვავებული. პატიმარი შესაძლოა დასჯილი იყოს, ან არ იყოს, მაგრამ მაინც 7,5 ქულა მიიღოს“

„საიას“ წევრის ინფორმაციით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც პატიმრის მოთხოვნა იმიტომ არ დაკმაყოფილდა, რომ მსჯავრდადებული დანაშაულს არ აღიარებდა. „ეს მოთხოვნა უკანონოა და პირის ვადაზე ადრე გათავისუფლებისთვის საჭირო კრიტერიუმებს საერთოდ არ შეესაბამება“, – აცხადებს მოსიაშვილი.

ადგილობრივი საბჭოების მოქმედებას უარყოფითად აფასებს სამოქალაქო მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერი, ადვოკატი ეკა ბესელიაც: „მიმდინარე წელს, ჩვენმა ორგანიზაციამ მუდმივმოქმედ კომისიას 5 პატიმრის საქმეზე მიმართა, დიმიტრი შველიძე, მიხეილ გერაძე, კონსტანტინე კაკობაძე, ვლადიმერ სირაკანიანი და დავით ლოლუა სრულად შეესაბამებოდნენ იმ მოთხოვნებს, რაც მათი ვადამდე გათავისუფლებისთვის იყო საკმარისი, ამის მიუხედავად, ადგილობრივმა საბჭოებმა განცხადებები არ დააკმაყოფილეს... ეს საბჭოები არის არა უფლებით სარგებლობის საშუალება, არამედ ბარიერი და უსამართლობის სიმბოლო“, – მიიჩნევს ადვოკატი.

ბესელია კიდევ ერთ პრობლემას გამოყოფს – გათავისუფლებაზე უარი ადმინისტრაციული წესით საჩივრდება და მასზე 100 ლარიანი სახელმწიფო ბაჟია დაწესებული. ადვოკატის თქმით, „ძალიან ბევრი პატიმრისთვის ბაჟის გადახდა ის ბარიერია, რის გამოც ადგილობრივი საბჭოების უარს სასამართლოში ვერ ასაჩივრებენ“.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს საიტზე ვკითხულობთ, რომ ვადამდელი გათავისუფლების „ახლად დანერგილი მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად და ობიექტურად იქნეს განხილული თითოეული მსჯავრდადებულის პირადი საქმე“, დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა სამინისტროს პრესსამსახურში არ ისურვეს.

მსჯავრდადებულთა ვინაობა შეცვლილია

საზამთროს ქურდებს განრიდების პროგრამა არ შეეხოთ

37 ლარის ზარალი და ნასამართლევი მოზარდები

2011 წლის აგვისტოში კახეთის ერთ-ერთ რაიონში სამმა არასრულწლოვანმა თანასოფლელის ბაღში გადასვლა, საზამთროს მოპარვა და მისი გაყიდვა განიზრახა.

სალომე ცეცხლაძე

15 წლის მათე, 16 წლის ლევანი და 17 წლის საბა ბაღის პატრონმა ჯერ კიდევ საზამთროს მოპარვამდე დაიჭირა.

გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში დაზარალებულმა მომხდარი ასე აღწერა: „დაახლოებით ერთი კვირის წინ მე და მირიანი მივედით ბაღში სანახავად. ბაღს საზამთროები აკლდა. შიგნით ბაღში იყო ცხენის ორთვალას აშკარა კვალი. ჩვენ პოლიციას არ გავაგებინეთ, რადგან გადავწყვიტეთ, ჩვენ თვითონ ჩავსაფრებულიყავით და დაგვეჭირა. იმ დღის მერე სულ ბაღში ვიყავით საყარაულოდ“.

ამავე ოქმში დაზარალებულები დაჭერის მომენტსაც იხსენებენ: „მათ მოკრეფილი ჰქონდათ დაახლოებით 30 ცალი საზამთრო, რაც დაახლოებით 250 კილოგრამი გამოვიდოდა, რომლის ღირებულებაც არის 37 ლარი... საზამთროები ბაღშივე ჩამოვაცლევინეთ“.

ბიჭებმა დანაშაული აღიარეს. ლევანმა და საბამ განმარტეს, რომ მათთან მათე მივიდა და მეზობლის ბაღში საზამთროს მოპარვა შესთავაზა. მათეს თქმით, საზამთრო თანასოფლელისთვის ადრეც მოუპარავს.

30 ცალი საზამთროს მოპარვის მცდელობა და 37 ლარის ზიანი – ამ საქციელის გამო არასრულწლოვნები დაისაჯნენ. 16 წლის ლევანსა და 17 საბას წინასწარ შეთანხმებული ჯგუფური ქურდობის მცდელობისთვის ერთწლიანი პატიმრობა მიესაჯათ, რომელიც შემდეგ 1500-ლარიანი საპროცესო შეთანხმებით შეუცვალეს და 2-წლიანი პირობითი სასჯელიც შეუფარდეს.

რაც შეეხება 15 წლის მათეს, გარდა ამ ქურდობის მცდელობისა, ადრე ჩადენილი საზამთროს ქურდობაც მიუმატეს. შვილის ქურდობის ამბავი მამამაც გაიხსენა. მან თქვა, რომ მაშინ ეგონა, შვილს საზამთრო მეგობარმა აჩუქა.

სასამართლო განაჩენში წერია: „დაკრიფა 2 ტონა საზამთრო, 1 კგ ღირებული 0.15 თეთრი, დააწყო ცხენის ორთვალაზე და მართლსაწინააღ-

მდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა, რითაც 300 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს“. აქვე აღნიშნულია, რომ საზამთრო მოზარდმა ბაზარში 50 ლარად გაყიდა.

მათეს ადვოკატი გიული ბიბილაშვილი ამბობს, რომ პირველი ქურდობის ამბავი სათანადოდ არავის გამოუძიებია. მისი თქმით, მიყენებული ზარალიც მხოლოდ დაზარალებულის ნათქვამის მიხედვით დათვალეს. „არავის დაუთვლია, სინამდვილეში რამდენი ლარის ზიანი მიაყენა საზამთროს ქურდობით მათემ დაზარალებულს. დაზარალებული ამბობდა 300 ლარისაა და მოსამართლეც მის ჩვენებებს დაეყრდნო“, – ამბობს მათეს ადვოკატი.

მათეს ორი წლით პირობითი სასჯელი შეუფარდეს. ადვოკატის თქმით, მის ოჯახს სასამართლომ საპროცესოთი გადასახდელი თანხა იმის გამო აღარ გადაახდევინა, რომ ისინი სოციალურად დაუცველთა სტატუსით სარგებლობენ.

ამ ამბის გაშუქებისას საბასა და ლევანის ადვოკატს დავუკავშირდით, მან კომენტარისგან თავი შეიკავა. არც მათეს მშობლებმა ისურვეს თემასთან დაკავშირებით საუბარი. თუმცა, ამბავი მაინც გავაშუქეთ, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი საგულისხმო შეკითხვა ჩნდება: არის თუ არა სასჯელი ადეკვატური მაშინ, როცა სახელმწიფოს არასრულწლოვნების მიმართ ლიბერალური მართლმსაჯულების პოლიტიკა აქვს გამოცხადებული?

გირაო

სამართლის სპეციალისტების თქმით, ამ შემთხვევაში მართლმსაჯულება არასრულწლოვანი დამნაშავეებისადმი საკმაოდ მკაცრი იყო. მოსამართლემ დაკავებულ ბავშვებს აღკვეთის ღონისძიების სახით 5 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდა დააკისრა. გირაოს შეტანის ვადად ორ მათგანს 30, ხოლო მესამეს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახიდან იყო, – 20 დღე განუსაზღვრეს. ამ ოჯახმა, რომელსაც გირაოსთვის საჭირო ფულის შოვნის პერსპექტივაც არ ჰქონდა, თანხის სანაცვლოდ სახლი დააყადაღა.

ექსპერტების თქმით, გირაო აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი სახეა. კანონმდებლობით აღკვეთის ღონისძიება იმ მიზნით გამოიყენება, რომ არასრულწლოვანმა ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას და არ გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. ამის უზრუნველსაყოფად გირაოს გარდა, სხვა ნაკლებად მკაცრი გზებიც არსებობდა. მაგალითად, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა.

ადვოკატმა საბასა და ლევანის მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემის შესახებ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა კიდეც. თუმცა, სასამართლომ მას უარი უთხრა, რაც ასე დაასაბუთა: „არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენება იქნება არაეფექტური და ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების გამოყენებას“.

გიული ბიბილაშვილი მათეს ადვოკატად საქმეში ამის შემდეგ ჩაერთო: „მეც ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ 5 ათას ლარიანი გირაო ჰქონდათ არასრულწლოვნებს შეფარდებული, თან ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი იყო. კანონში პირდაპირ წერია, რომ სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს ბრალდებულის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“, – ამბობს გიული ბიბილაშვილი.

დამოუკიდებელი ექსპერტის, ნინო გვენეტაძის თქმით, კანონმდებლობა არ კრძალავს ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემას მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი.

„მოსამართლეს ამ არასრულწლოვანებისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას უნდა დაესაბუთებინა, რომ არსებობდა მათი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ამავდროულად, მოსამართლეს უნდა გაეთვალისწინებინა არასრულწლოვანი ბრალდებულების ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება და ა.შ“, – ამბობს ნინო გვენეტაძე.

საბოლოოდ გირაოს თანხის გადახდა საჭირო არ გახდა, რადგან ვადის ამოწურვამდე დაკავებული არასრულწლოვანები გასამართლდნენ და მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

„ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ორი, დადებითი და უარყოფითი შედეგი ჰქონდა. დადებითი ის არის, რომ ხალხი ახლა თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობს, მაგრამ ცუდია, რომ ციხეები პატიმრებით გაივსო და ეს არავის უხარია. ჩვენ გადავწყვიტეთ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შერბილება და ეს არასრულწლოვნებით დავიწყეთ“.

ნასამართლეობა

დაკავებულ არასრულწლოვანთაგან ნასამართლევი არცერთი არ იყო, ისინი საჯარო სკოლაში სწავლობდნენ,

დღეს კი ნასამართლევები არიან, რამაც შეიძლება მათ მომავალში მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნას.

გიული ბიბილაშვილი ეცადა, მათე განრიდების პროგრამაში ჩაერთო და ამ მიზნით პროკურატურას მიმართა. როგორც თვითონ ამბობს, პროკურატურაში სიტყვიერად უთხრეს, რომ პროგრამა კახეთში ამოქმედებული არ იყო, ადვოკატის თქმით, მას შეეძლო გაეგრძელებინა ბრძოლა, რათა დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანისათვის ნასამართლეობა აერიდებინა. „თუმცა, ბოლოს მშობლები ისე შეშინებულები იყვნენ, განრიდებას ვინ ჩიოდა, ოღონდ დაეხსნათ ბავშვები ციხეში ჩასმისგან და ყველაფრისთვის მზად იყვნენ“, – გვიყვება ადვოკატი გიული ბიბილაშვილი.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში უკვე ერთი წელია მოქმედებს. პროგრამის ფარგლებში პროკურორი უფლებამოსილია სამართალდამრღვევის მიმართ არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა. შესაბამისად, საქმე ნასამართლეობისა და სასჯელის გარეშე სრულდება. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია არასრულწლოვანს, რომელიც პირველად ჩადის მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დანაშაულს, აღიარებს შეცდომას, ბოდიშს უხდის დაზარალებულს და მზადაა, აანაზღაუროს ზიანი.

„ლიბერალს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, რომ პროგრამა ჯერ საპილოტე რეჟიმშია და მხოლოდ ექვს ქალაქში მოქმედებს (მათ შორის კახეთის რეგიონი არ არის). პროგრამას საჭირო პროფესიონალების მომზადებასთან ერთად 2012 წელს საქართველოს სხვა ქალაქებიც შეუერთდება.

იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო გიგაურმა, რომელიც პროგრამის ერთ-ერთი ავტორია, „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაზე“ საუბრისას განაცხადა, რომ პროგრამას სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ნაწილად მიიჩნევს. მისი თქმით, „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ორი – დადებითი და უარყოფითი – შედეგი ჰქონდა. დადებითი ისაა, რომ ხალხი ახლა თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობს, მაგრამ ცუდია, რომ ციხეები პატიმრებით გაივსო და ეს არავის უხარია. ჩვენ გადავწყვიტეთ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შერბილება და ეს არასრულწლოვნებით დავიწყეთ“.

„ჩვენ შეგვეძლო, ყველგან აგვემოქმედებინა განრიდების პროგრამა, მაგრამ ეს არ იქნებოდა ხარისხიანი. პროგრამის წარმატებისთვის საჭიროა კადრები, რომლებიც გამოიკვლევენ არასრულწლოვანი დამნაშავის როგორც ბიოლოგიურ, ისე ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს. ასევე, მნიშვნელოვანია მივაწოდოთ სერვისები, რომლებიც მათ რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს და განმეორებითი დანაშაულის ჩადენას შეამცირებს. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე და მალე მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება განრიდების პროგრამა“, – ამბობს გიგაური.

ნინო გვენეტაძის თქმით, გაუმართლებელია არასრულწლოვნების მიმართ გამოიყენო საპროცესო შეთანხმება იმ მოტივით, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე მედიაცია, ან განრიდება არ ამოქმედებულა.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის განაცხადია და მისი რეალურად განხორციელება საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულოა. აღნიშნული სტანდარტის პატივსაცემად, სასამართლო ვალდებული იყო გულდასმით შეემოწმებინა ბრალდების მხარის მიერ საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად მოთხოვნილი სასჯელების კანონიერება არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე“, – ამბობს ნინო გვენეტაძე.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის განაცხადია და მისი რეალურად განხორციელება საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულოა. აღნიშნული სტანდარტის პატივსაცემად, სასამართლო ვალდებული იყო ბრალდებულ არასრულწლოვანთა ინტერესების გათვალისწინებით გულდასმით შეემოწმებინა ბრალდების მხარის მიერ საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად მოთხოვნილი სასჯელების კანონიერება არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე“.

განაჩენი, რომელიც სასამართლომ არასრულწლოვნებს გამოუტანა, ორი ნაწილისგან შედგება – პირობითი მსჯავრი და 1500-ლარიანი ჯარიმა. ნინო გვენეტაძის თქმით, სასჯელის ეს ფორმა საკმაოდ მკაცრია. მოსამართლეს შეეძლო მხოლოდ პირობითი მსჯავრი გამოეტანა. ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც არის ქურდობის მცდელობა, საკმარისი არ იყო პირობითი მსჯავრის გამოტანა? რატომ გახდა საჭირო საპროცესო შეთანხმების სახით 1500 ლარის დაკისრება ოჯახებისათვის?“ – კითხულობს ნინო გვენეტაძე.

არასრულწლოვანთა სახელები შეცვლილია

"ბორჯომ-ლიკანის" სანატორიუმი ხვლავ სახელმწიფოსია?

ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ კუთვნილი „ბორჯომი-ლიკანის სანატორიუმის“ 50%-იანი წილი სახელმწიფომ ოქტომბერში ისევ დაიბრუნა. ეს პროცესი ბუნდოვანებითაა მოცული და ბევრ, ჯერჯერობით პასუხგაუცემელ შეკითხვას აჩენს.

ნანა ბიგანიშვილი; არდაკ ბუკეევა ყაზახეთიდან

პრეისტორია

საქართველოში ყაზახური ინვესტიციების შემოსვლა ჯერ კიდევ 2005 წლის გაზაფხულზე მიხეილ სააკაშვილის ყაზახეთში სტუმრობისას გადაწყდა. ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაზმა“, რომელიც ბათუმის პორტის და „თბილგაზის“ ყიდვით იყო დაინტერესებული, ასტანიდან მიიღო დირექტივა, რომ საქართველოში სოციალური ობიექტებითაც დაინტერესებულიყო. სწორედ ასე შეარჩიეს ყაზახებმა „ბორჯომ-ლიკანის“ მოქმედი სანატორიუმი და შავი ზღვის სანაპირო ბათუმის მახლობლად, ქობულეთში (ყაზახურმა მხარემ 7 ჰექტარ ზღვისპირა მიწაში 1 მილიონი დოლარი გადაიხადა).

2006 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, „ლიკანი ბორჯომის“ სანატორიუმი „შპს ყაზმუნაიგაზ-სერვისს“ პირდაპირი მიყიდვის გზით 10 მილიონ დოლარად გადაეცა. 2006 წლის აგვისტოში, ბოლო ტრანშის გადახდის შემდეგ „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ საკუთრება გახდა 38 ჰექტარი ბორჯომის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, საუკუნოვანი კურორტით და უნიკალური მინერალური წყლის საბადოთი. თუმცა, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა ამავე ტერიტორიაზე მდებარე კულტურული და ისტორიული ძეგლი – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ყოფილი სასახლე, რომელიც დღეს პრეზიდენტ სააკაშვილის საზაფხულო რეზიდენციაა.

„საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები მივიღეთ აგვისტოში, თუმცა სანატორიუმში ივნისში შევედით“, – ასე გაიხსენა ხელშეკრულების დადების მომენტი „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ დირექტორმა ამანჯოლ კუსაინოვმა ყაზახეთში გამომავალი რუსულენოვანი გამოცემის ერთ-ერთ სტატიაში.

კომპლექსის ახალმა მფლობელებმა ვალდებულება აიღეს, რომ სანატორიუმს პროფილს შეუნარჩუნებდნენ და სათანადო ინვესტირების შემდეგ ცნობილი კურორტი საერთაშორისო დონის დასასვენებელი ადგილი გახდებოდა, თუმცა ეს პირობა დღემდე არ შესრულებულა.

ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის შემდეგ, 2011 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდსა“ და „ყაზმუნაიგაზს“ შორის ლიკანში 140-ნომრიანი თანამედროვე ტიპის სასტუმროს მშენებლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულება გაფორმდა. სახელმწიფომ ობიექტის 50%-იანი წილი დაიბრუნა, თუმცა გაურკვეველია, ეს გამოსყიდვა იყო, თუ უსასყიდლოდ დაბრუნება. სავარაუდოდ, ეს ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის კიდევ ერთი მცდელობაა, რომ ყაზახურ მხარეს შეასრულებინოს ნაკისრი ვალდებულება, ანუ სანატორიუმის რეკონსტრუქცია და ამუშავება.

ყაზახურმა მხარემ სამშენებლო სამუშაოების დაწყება რამდენიმეჯერ გადადო. ბორჯომის გამგეობის წარმომადგენლები ყაზახურ ნაციონალურ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებას არ იცნობენ. მათ არ იციან, ეკისრება, თუ არა სანქცია „ყაზმუნაიგაზ-სერვისს“ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ამ თემაზე არც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში საუბრობენ.

უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობა

სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანის“ ირგვლივ უჩვეულო სიწყნარეა. ცენტრალური შესასვლელის წინ, გზის მოპირდაპირე მხარეს, ასეთი მცირე დაბებისთვის არასახასიათო 16-სართულიანი გაფერმკრთალებული კორპუსი დგას. ეს კორპუსი თავის დროზე ბორჯომ-ლიკანის ერთ დროს პრესტიჟული სანატორიუმის თანამშრომლებისთვის აშენდა.

დღეს აქ მცხოვრებთა უმეტესობა სამუშაოს გარეშეა დარჩენილი. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაცემებით, „ბორჯომი-ლიკანის“ დახურვის შემდეგ 300 ადამიანი უმუშევარი დარჩა, მათგან 90 % -მა დღემდე ვერ იშოვა სამსახური. ოფიციალური მონაცემებით, ბორჯომში უმუშევრობის დონე 15 %-ს შეადგენს .

თინა ხიჯაკაძე ლიკანის სანატორიუმში 40 წელი ექთნად მუშაობდა. მისი თქმით, ლიკანში ყაზახი ინვესტორების მოსვლამ თავიდან ყველას იმედი მისცა, რომ მათი სამუშაო პირობები გაუმჯობესდებოდა. „დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ხელმძღვანელობამ დიდი შეკრება მოაწყო და გვითხრა, რომ ერთი წლით დაიხურებოდა სანატორიუმი და რეაბილიტაცია დაიწყებოდა, ხოლო თუ ვინმე სამუშაო ადგილს დაკარგავდა, კომპენსაციას მიიღებდა,“ – იხსენებს ქალბატონი თინა, – „თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი დაიკარგა, აღარც გაარემონტეს და საერთოდ დახურეს, ამასთან, არანაირ კომპენსაციაზე საუბარი აღარ ყოფილა“.

„მთელი ცხოვრება აქ გავატარე, ჯერ ჩემს მშობლებთან, რომლებიც აქ მუშაობდნენ, შემდეგ მე თვითონაც აქ დავიწყე მუშაობა. სანატორიუმს საკუთარი მეურნეობა ჰქონდა და აქაურები სულ იქ მუშაობდნენ, დღეს ყველა ასე ვართ, ძაღლივით გამომაგდეს, ნერვიულობისაგან ორი ინსულტი გადავიტანე“, – იხსენებს ლიკანში მცხოვრები 47 წლის გიორგი ნ., რომელმაც ანონიმურად დარჩენა ამჯობინა.

„ავტოფარეხში 25 მანქანა გვყავდა, ფერმა, 50 ძროხა, სათიბი, ბაღები და სათბური. ეს ყველაფერი ჩვენ ომის დროს შევინარჩუნეთ, ახლა განადგურებულია. მე იქ 20 წელი ვიმუშავე, ახლა კი, იქ წყალზეც არ მიშვებენ“, – წუხს მალხაზ კ.

მინერალური წყლის შემკრები, რომლითაც ლიკანელები სარგებლობდნენ სანატორიუმის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. დამსვენებელი, რომელიც აქ ჩამოდიოდა და კერძო სახლებში ჩერდებოდა, სწორედ ამ წყლით სარგებლობდა. დღესდღეობით ადგილობრივებს წყლის ასაღებადაც კი არ უშვებენ, ამიტომ დამსვენებელიც და

ერთადერთი შემოსავალიც აქაურებისთვის მხოლოდ მოგონებად დარჩა. ყოფილი სანატორიუმის მაღალი ღობიდან კომპლექსის მთავარი შენობა არ ჩანს. ადგილობრივების მონაყოლის გადამოწმება შეუძლებელია, რადგან ჩვენ სანატორიუმის ტერიტორიაზე არ გვიშვებენ.

ადგილობრივი დაცვა ღობის გარედან ფოტო გადაღების უფლებას არ გვაძლევს და პატრულის გამოძახებით გვემუქრება. მცდელობის მიუხედავად, ასევე ვერ მოვახერხეთ სანატორიუმის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ინა საჯაიასთან შეხვედრა.

გაყიდვის შემდეგ სანატორიუმმა მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა. 2007 წლისთვის ახალმა მეპატრონეებმა მთავარი კორპუსის მთლიანად დანგრევის და ახლის აშენების გადაწყვეტილება მიიღეს.

„ძველი კორპუსის ნგრევა 2 წელს გრძელდებოდა. ჩვენი სანატორიუმი ცეკას მე-4 სამმართველოს ეკუთვნოდა. წარმოიდგინეთ, ერთი მეტრის სისქის კედლები იყო, ვერ ანგრევდნენ," – იხსენებს „ბორჯომი-ლიკანის" ყოფილი თანამშრომელი გიორგი (ადგილობრივების თხოვნით, მათ გვარებს არ ვასახელებთ).

მისი სიტყვებით, გაყიდვამდე ერთი წლით ადრე, სანატორიუმში კაპიტალური რემონტი გაკეთდა. ობიექტი ახალი ავეჯით და ტექნიკით აღიჭურვა. დღეს აქ ორი კორპუსის და კლუბის ნანგრევებიღაა დარჩენილი", – იხსენებს გიორგი.

თუკი დანგრევას აპირებდნენ, რაღატომ ჩადეს ფული რემონტში? – კითხულობს იგი.

ინვესტორის პოზიცია

ყაზახური მხარის მტკიცებით, დასასვენებელი კომპლექსის რეაბილიტაციის გეგმამ არ იმუშავა, რადგან ერთ ღამეს ცენტრალური კორპუსის საყრდენი კედელი ჩამოინგრა. თვითნებური ნგრევის ფაქტის დასაფიქსირებლად „ყაზმუნაიგაზ-სერვისის" დირექტორმა ამანჯოლ კუსაინოვმა ბორჯომის გამგეობის წარმომადგენლებიც მოიწვია და აქტი შეადგინეს. მისი სიტყვებით, სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა ძველის დანგრევა და ახალი სანატორიუმის აშენება.

ყაზახი ინვესტორების შემოსვლას ლიკანის მოსახლეობისთვის, მართალია, სილარიბე და უმუშევრობა მოჰყვა, მაგრამ ამ პროექტმა ყაზახეთსაც მხოლოდ ეკონომიკური და საიმიჯო დანაკარგები მოუტანა. 10 მილიონ დოლარს, რომელიც სანატორიუმის საწყისი ფასი იყო, დროთა განმავლობაში ხარჯი კიდევ ემატება: ყოველწლიური გადასახდი საკურორტო მიწით სარგებლობისთვის და 45 მილიონი დოლარი ახალი სანატორიუმის მშენებლობისათვის. არადა, ინვესტორი მხოლოდ რეაბილიტაციას აპირებდა, რაც ბევრად ნაკლები უნდა დამჯდარიყო.

ჯერ კიდევ 2010 წელს ქართული მხრიდან კრიტიკის საპასუხოდ, „ყაზმუნაიგაზის" წარმომადგენელმა დანიარ ბერლიბაევმა განაცხადა, რომ ნაციონალური კომპანია თავის ვალდებულებებს შეასრულებს. მეტიც, მან აღნიშნა, რომ უკვე დაწყებული იყო საპროექტო სამუშაოები. თუმცა, ეს დანაპირებიც არ შესრულებულა.

ყაზახურმა მხარემ სამშენებლო სამუშაოების დაწყება რამდენიმეჯერ გადადო. ბორჯომის გამგეობის წარმომადგენლები ყაზახურ ნაციონალურ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებას არ იცნობენ. მათ არ იციან, ეკისრება, თუ არა სანქცია „ყაზმუნაიგაზ-სერვისს" ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ამ თემაზე არც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში საუბრობენ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ყაზახურ მხარესა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ინვესტორს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდა. მართალია, ხელშეკრულებაში წერია „შეიძინა რეაბილიტაციის მიზნით", მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ოდენობის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს რეაბილიტაციის სამუშაოებში, ან რამდენი

ლიკანის ისტორიიდან

თბილისიდან 2 საათის სავალი გზა, ბორჯომის ხეობის გამჭვირვალე ჰაერი და უნიკალური მინერალური წყალი, – ეს ის ფაქტორებია, რამაც ლიკანი ელიტურ კურორტად ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აქცია, როდესაც ის სამეფო ოჯახის საკუთრება იყო. ლიკანში რომანოვების საზაფხულო რეზიდენცია 1892-1895 წლებში აშენდა. ასევე, რომანოვებმა ააშენეს ლიკანის ცნობილი სანატორიუმი, რომელიც დღეისთვის დანგრეულია.

საჯარო საზოგადოება "საპარტნიორო ფონდი"

სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი'' 2011 წლის 28 ივნისს საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაარსდა. მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაურია. „საპარტნიორო ფონდის" მთავარი მიზანი შეფერხებული პროექტების დასრულება, ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სოფლის მეურნეობის და ზოგადად, ეკონომიკის განვითარებაა.

ომის შემდგომ

აღსანიშნავია, ომიდან მოყოლებული დღემდე ყაზახური კომპანიების ქართული ბიზნესი, ძირითადად, პოლიტიკაზეა დამოკიდებული. აგვისტოს ომამდე ყაზახები საქართველოში ინვესტიციების მოცულობით პირველ სამეულში შედიოდნენ, ომიდან სამი წლის შემდეგ კი, ყაზახური ინვესტიციები მხოლოდ მერვე ადგილს იკავებს.

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“



მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ხუთშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი
08:00-14:00 სთ.

ხნის განმავლობაში უნდა დასრულდეს რეაბილიტაცია.

ხელშეკრულების ასეთი ფორმა, სადაც საინვესტიციო ვალდებულებების დეტალები არ იყო დაფიქსირებული, თვით ყაზახური მხარისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. „ინვესტორებთან ასეთი სახის ხელშეკრულებებს ყაზახეთში 1990-იანი წლების შემდეგ აღარ დებენ. საქართველოს მთავრობა, როგორც ჩანს, ენდო მდიდარი და მეგობარი ქვეყნის სოლიდურ ნავთობკომპანიას“, – აცხადებს ამანჯოლ კუსაინოვი.

მისი თქმით, სანატორიუმის უძრავ-მოძრავი ქონება ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაში იყო, რამაც მყიდველის ფინანსური ვალდებულებები კიდევ უფრო დაამძიმა. გარდა სანატორიუმის გაჩანაგებული მეურნეობისა, ამანჯოლ კუსაინოვი კიდევ ერთ ფაქტს აღნიშნავს: „2006 წლის 1 იანვრის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, სანატორიუმის ბალანსი იყო ნული, როდესაც ჩვენ შევედით უკვე 360 ათასი დოლარის ვალი დაგვხვდა. სანამ მოლაპარაკება მიდიოდა, სანატორიუმის წარმომადგენლებმა საბანკო კრედიტი აიღეს. საქმეში გარკვევა ვიცე-პრემიერთან ვცადე, რომელიც ამ საქმეს კურირებდა. ქართულმა მხარემ მხოლოდ ამის შემდეგ დამნიშნა „ბორჯომი-ლიკანის“ დირექტორად“, – იხსენებს კუსაინოვი.

დაპირებული სანატორიუმის მშენებლობის შეჩერების მთავარ მიზეზად ამანჯოლ კუსაინოვი ეკონომიკურ კრიზისთან ერთად 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომს ასახელებს. მისი სიტყვებით, „ამის შემდეგ პროექტის დაფინანსება შეწყდა, ჩემს სატელეფონო ზარებს ასტანიდან პასუხობდნენ: „ჯერ ეს საკითხი არ წამოჭრა“, ყაზახეთში სხვადასხვა დონეზე უკვე კითხულობდნენ, რად გვინდა ეს ბორჯომი! ჩვენ, „ყაზმუნაიგაზ-სერვისს“ ამის შეცვლა არ შეგვეძლო.“

კვლავ გუნდოვანებით მოცულ ხელშეკრულებაზე

2011 წლის ივნისში „ყაზმუნაიგაზ-სერვისმა“ მშენებლობის დასრულების ახალი ვადები დაასახელა, 45 მილიონად შეფასებული პროექტი 2 წლის ვადაში უნდა დასრულებულიყო. ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ, ყაზახებმა დანაპირები ვერ შეასრულეს და უნიკალური კურორტის განვითარებაზე საქართველოს მთავრობამ თავად უნდა იზრუნოს.

მართალია, ხელშეკრულებაში წერია „შეიძინა რეაბილიტაციის მიზნით“, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ოდენობის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს რეაბილიტაციის სამუშაოებში, ან რამდენი ხნის განმავლობაში უნდა დასრულდეს რეაბილიტაცია.

პრეზიდენტის ამ განცხადებიდან მცირე დროში „ბორჯომი-ლიკანის სანატორიუმის“ 50% საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული „საპარტნიორო ფონდის“ საკუთრება გახდა.

სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფუძნებული კომპანიის „ბორჯომი-ლიკანი ინტერნეიშენალის“ დირექტორი გიორგი კალანდაძე ჩვენთან საუბრისას იმედს გამოთქვამს, რომ ლიკანის სანატორიუმი ახლო მომავალში დაიბრუნებს სახელს და ტურისტული მიზიდულობის ცენტრი გახდება. თუმცა, ქართული მხარე არ აკონკრეტებს, რა თანხა გადაუხადა სს „საპარტნიორო ფონდმა“ ყაზახ ინვესტორებს ისტორიული კურორტის დასაბრუნებლად, ან საერთოდ გადაუხადა, თუ არა რაიმე თანხა.

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org | www.laender-analysen.de | www.res.ethz.ch | www.boell.ge

ადამიანებისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა (უნდობლობა) სომხეთში

ევგენია პატურიანი, ერევანი

ანოტაცია

საზოგადოდ, სომხეთში სოციალური ნდობის დონე დაბალია. სხვა ადამიანებს საზოგადოების მხოლოდ დაახლოებით ერთი მეოთხედი ენდობა და ეს მაჩვენებელი ბოლო ათი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ამჟამად სომხეთში ხალხი ყველაზე მეტად სამ ინსტიტუტს – ჯარს, ეკლესიასა და ბანკებს ენდობა. ყველაზე ნაკლები ნდობით სარგებლობენ პარლამენტი, სასამართლოები და პოლიცია. მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც ინსტიტუტებსა და სხვა ადამიანებს ენდობა, უფრო მეტად არის მიდრეკილი არჩევნებში მონაწილეობისკენ და ნაკლებად – ემიგრაციისკენ.

განზოგადებული სოციალური ნდობა: სტაგნაციის 13 წელი სომხეთში

განზოგადებული სოციალური ნდობა (ადამიანების ნდობისაკენ მიდრეკილება თუნდაც უცნობის მიმართ) სოციალური კაპიტალის გამოვლინებაა (Putnam 2000). ეს არის რესურსი, რომელიც საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას (Fukuyama 1996), დემოკრატიულ კონსოლიდაციას (Diamond 1999) და ზოგ სფეროში მმართველობის გაუმჯობესებას, მაგალითად, კორუფციის დონის შემცირებას (Uslaner 2009) უწყობს ხელს. ცნობილია, რომ პოსტკომუნისტური საზოგადოებები სოციალური ნდობის დაბალი დონით ხასიათდება (Howard 2003). სომხეთისათვის ეს დებულება დღემდე ჭეშმარიტებაა.

განზოგადებული სოციალური ნდობა, ჩვეულებრივ, გამოკითხვების მეშვეობით იზომება, როცა რესპონდენტებს ეკითხებიან, შეიძლება თუ არა ადამიანების ნდობა. ასეთი შეკითხვა 1997 წელს სომხეთში ჩატარებული World Values Survey-ის (WVS) და 2010 წლის Caucasus Barometer-ის (CB) კვლევების დროსაც დაისვა. ორივე კვლევამ სრულად მოიცვა სამხრეთი კავკასიის ქვეყნები. WVS-ის ე. წ. „მესამე ტალღისა“ და უფრო ახალი CB-ის მონაცემების შედარება სომხეთში სოციალური ნდობის ცვლის მიმართულებების ანალიზისა და ქვეყნის მონაცემების რეგიონულ კონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა.

სომხეთის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედს მიაჩნია, რომ, ზოგადად, ადამიანებს შეიძლება ენდო (გრაფიკი 1). ეს პროცენტული მაჩვენებელი გასული 13 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. განსხვავებული მდგომარეობაა აზერბაიჯანსა და საქართველოში, სადაც ნდობის დონე ნაკლები იყო, ვიდრე სომხეთში 1996-1997 წლებში, მაგრამ შემდგომში გაიზარდა. ამ მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, განზოგადებული სოციალური ნდობა სამხრეთ კავკასიაში საკმაოდ დაბალია, თუმცა ის იზრდება აზერბაიჯანსა და საქართველოში (ამ უკანასკნელში განსაკუთრებით შესამჩნევი ზრდა აღინიშნება), სომხეთში კი გასული 10 წლის განმავლობაში უცვლელი რჩება.

ნდობა ინსტიტუტებისადმი

სომხები უცხო ადამიანებს დიდად არ ენდობიან, მაგრამ საზოგადოება მხოლოდ ადამიანებისაგან არ შედგება. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე სხვადასხვა ინსტიტუტიც ახდენს გავლენას. ამდენად, სოციოლოგებს საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხიც აინტერესებთ. ზოგიერთი გამოკვლევა

გრაფიკი 1: განზოგადებული სოციალური ნდობა სამხრეთ კავკასიაში: „ადამიანების უმეტესობის ნდობა შეიძლება“



გრაფიკი 2: ნდობა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი



**რომელსაც რესპონდენტი საკუთარ თავს მიაკუთვნებს*

გვიჩვენებს, რომ ის ეკონომიკურ განვითარებასა და სამოქალაქო აქტიურობასთანაა დაკავშირებული (Raiser და სხვ. 2001).

რა სურათს მივიღებთ, თუ განზოგადებული სოციალური ნდობის ფართო არეალიდან უფრო ვიწრო სფეროებში გადავინაცვლებთ და თანამედროვე სომხეთის ინსტიტუტებს განვიხილავთ? რამდენად ენდობა მათ საზოგადოება? როგორია პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი (საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი) ნდობა სხვა ინსტიტუტებთან შედარებით?

CB 2010-ის კვლევა გვთავაზობს მონაცემებს 16 პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და საერთაშორისო ინსტიტუტისადმი ნდობის შესახებ. რესპონდენტებს ყოველი ინსტიტუტი ხუთბალიანი სისტემით უნდა შეეფასებინათ (სადაც 5 სრულ ნდობას აღნიშნავს). გაშუალებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ (გრაფიკი 2), სომხეთში ყველაზე დიდი ნდობით სამი ინსტიტუტი – ჯარი, ეკლესია და ბანკები სარგებლობს, ყველაზე ნაკლებად კი ხალხი პარლამენტს, სასამართლოებსა და პოლიციას ენდობა. საზოგადოების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოებიდან ყველაზე მეტ ნდობას ადგილობრივი მთავრობა იმსახურებს (მე-2 გრაფიკზე ჩალისფრადაა მონიშნული), შემდეგ მოდის აღმასრულებელი ხელისუფლება (კერძოდ კი, პრეზიდენტი), სასამართლო სისტემა და პარლამენტი. თუ საშუალოდ 2.5-ს შკალის შუა წერტილად მივიჩნევთ, დავინახავთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას 2.5-ზე მაღალი შეფასება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი ამ ინსტიტუტებს უფრო ენდობა, ვიდრე პირიქით. სამაგიეროდ, პარლამენტი და სასამართლო სისტემა შუა წერტილზე დაბლაა. მოსახლეობის უმეტესობა მათ არ ენდობა.

სომხეთის საზოგადოება არ ენდობა არჩეულ წარმომადგენლებს (გამონაკლისი მხოლოდ პრეზიდენტია) და მოსამართლეებს. ისინი, ვინც ქვეყნის კანონმდებლობას ქმნიან, და ისინი, ვისაც ამ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და დაცვა ევალებათ, სომხეთის საშუალო სტატისტიკური მოქალაქის თვალში ნდობით არ სარგებლობენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგი სადავო იყო (იხ., მაგალითად, OSCE 2008), ხოლო კორუფცია სომხეთის სასამართლო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად ითვლება (GRECO 2010), მათდამი საზოგადოების უნდობლობა გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

CB 2010-ში სომხეთის შესახებ მოპოვებული მასალების ანალიზს თუ გავაგრძელებთ, დავინახავთ, რომ სოციალურ ნდობასა და ინსტიტუტებისადმი ნდობას შორის კორელაცია შეინიშნება: ის, ვინც ადამიანებს ენდობა, ასევე ნდობითაა განწყობილი მე-2 გრაფიკში ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი. მიუხედავად ამისა, ნდობის, როგორც უალტერნატივო სიტუაციის, განხილვა საკითხის მეტისმეტი გამარტივება იქნება. სომხეთის საზოგადოებაში არის გარკვეული ინსტიტუტებისადმი ნდობისა და სხვა ინსტიტუტებისადმი უნდობლობის ერთგვარი მოდელი. 16 ინსტიტუტისადმი ნდობის ფაქტორული ანალიზი მიგვანიშნებს, რომ გვყავს ადამიანების სამი ჯგუფი, რომელთაგან ერთი „ისტებლიშმენტის“ (ხელისუფლების სამი შტოს, ადგილობრივი მთავრობისა და პოლიციის) ნდობისკენაა მიდრეკილი, მეორე – „ნეიტრალურ“ ინსტიტუტებს (ჯანდაცვის სისტემას, ბანკებსა და განათლების სისტემას) ენდობა, მესამე კი – „დასავლურ“ ინსტიტუტებს (ომბუდსმენს, ევროკავშირს და გაერო-ს).

ნდობა, არჩევნებში მონაწილეობა და ემიგრაცია

სომხეთის მოსახლეობა ნაკლებად ენდობა სხვა ადამიანებს და პოლიტიკურ ინსტიტუტებს. რა გავლენას ახდენს დაბალი ნდობა უმთავრეს პოლიტიკურ და სოციალურ გადაწყვეტილებებზე? სტატიის ამ ნაწილში, CB 2010-ის მონაცემების საფუძველზე, განხილულია კავშირი ნდობას, არჩევნებში მონაწილეობის სურვილსა და ემიგრაციისაკენ მიდრეკილებას შორის (რომელთაგან ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯია, მეორე კი – მნიშვნელოვანი სოციალური ნაბიჯი).

რესპონდენტები, რომლებიც ნდობისკენ არიან მიდრეკილი, საკარაუდოდ, არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი მთავრობისა და პრეზიდენტის ნდობაა, ხოლო ყველაზე უმნიშვნელო – ევროკავშირისადმი ნდობა. კორელაციის მაჩვენებელი ცხრილები იხილეთ A დანართში.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნდობა ან უნდობლობა ადამიანის არჩევნებში მონაწილეობის სურვილზეც ზემოქმედებს. ნაკლებად ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთავრობისადმი ნდობა უახლოეს მომავალში არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილზეა დამოკიდებული. ეს ლოგიკური ხაზი მიზეზშედეგობრივ კავშირს ვერ წარმოაჩენს, კვლევის შედეგების ლოგიკური განხილვა კი გვიჩვენებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილზე გავლენას სწორედ ნდობა ახდენს. განსაკუთრებით ადვილია იმ ადამიანების მობილიზება, ვინც მთავრობას ენდობა. არჩევნებში მონაწილეობას ის ხალხიც მიიღებს, ვინც საერთაშორისო ინსტიტუტებს ენდობა, თუმცა კავშირი ამ შემთხვევაში უფრო სუსტია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვინც სხვა ადამიანებსა ან ინსტიტუტებს არ ენდობა, ალბათ არც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ნდობის დაბალ დონეს პოლიტიკურ აპათიამდე მივყავართ.

რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა, შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, დატოვებდნენ ქვეყანას სამუდამოდ და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდოდნენ თუ არა. ამ შეკითხვაზე პასუხს სოციალურ ან ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი ნდობასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ სომხეთის ყველა სხვა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტისადმი ნდობის განხილვისას ეს კავშირი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებაზეა ლაპარაკი. ემიგრაცია ნაკლებადაა მოსალოდნელი მათგან, ვინც მთავრობას ენდობა. ნდობასა და ემიგრაციაში წასვლის სურვილს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა უფრო რთულია. დამაჯერებელი იქნება იმის თქმა, რომ იმედგაცრუებას უნდობლობასთან და ქვეყნის დატოვების სურვილთან მივყავართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო სომხეთში ცხოვრება აღარ სურთ, თავიანთ გადაწყვეტილებას ქვეყნის ინსტიტუტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით ამართლებენ.

დასკვნა

უნდობლობის თვალსაზრისით სომხეთში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა არ არის და ქვეყანა არც პარლამენტისადმი გამოხატული უნდობლობით არის უნიკალური, თუმცა ნდობის მაღალი დონით ქვეყანა მაინც ვერ დაიკვეხნის. გამოკითხვების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური ნდობა სომხეთში დაბალია და მდგომარეობა ამ მხრივ გასული 13 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. პოლიტიკურ ინსტიტუტებს აქ სოციალურ, ეკონომიკურ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან შედარებით ნაკლებად ენდობიან.

ნდობის დაბალი დონე მცირე სოციალური კაპიტალის იზოლირებული პრობლემა არ არის და სხვა ასპექტებშიც იჩენს თავს, კერძოდ იმაში, რომ ხალხს ძირითად პოლიტიკურ ღონისძიებებში, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი არა აქვს. ის აგრეთვე დაკავშირებულია ემიგრაციაში წასვლის სურვილთან. სომხეთის საშუალო სტატისტიკური მოქალაქე საკუთარი ნაცნობების წრის გარეთ არავის და არაფერს ენდობა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა არ აინტერესებს და არც იმის სურვილი აქვს, საკუთარი ქვეყნისადმი ერთგულება იმით მაინც გამოხატოს, რომ ემიგრაციაში არ წავიდეს, ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ.

ავტორის შესახებ

დოქტორი ევგენია პატურიანი Eurasia Partnership Foundation - Armenia-ს მკვლევარი და სომხეთის უნივერსიტეტ „არმენიას“ ლექტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

• Caucasus Research Resource Centers. 2010. `Caucasus Barometer [dataset].~ http://www.crrccenters.org /caucasusba rometer/ (Accessed September 23, 2011).

• Diamond, Larry. 1999. Developing Democracy: Toward Consolidation. Baltimore and London: The Johns Hopkins University Press.

• The European Values Study Foundation, and World Values Survey Association. `European and World Values Surveys Four-Wave Integrated Data File, 1981-2004, v.20060423.~ http://www.worldvaluessurvey.org/ (Accessed October 17, 2009).

• Fukuyama, F. 1996. Trust: The social virtues and the creation of prosperity. New York: Free Press Paperback.

• GRECO Group of States Against Corruption. 2010. Evaluation Report on Armenia on `Incriminations (ETS 173 and 191, GPC 2)~ Theme I. Strasbourg. Third Evaluation Round. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/ round3/GrecoEval3(2010)4_Armenia_One_EN.pdf (Accessed September 1, 2011).

• Howard, Marc Morjé. 2003. The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe. Cambridge UK: Cambridge University Press.

• OSCE. 2008. Republic of Armenia Presidential Election 19 February 2008. Warsaw. OSCE/ODIHR Election Observation Mission Report. http://www.osce.org/odihr/elections/armenia/32115 (Accessed August 19, 2011).

• Putnam, Robert D. 2000. Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community. New York: Simon & Schuster.

• Raiser, Martin et al. 2002. `Social Capital in Transition: A First Look at the Evidence.~ Czech Sociological Review 38(6): 693–720.

• Uslaner, Eric. M. 2002. `Trust and Corruption -Prepared for Presentation at the 2002 Annual Meetings of the American Political Science Association, Boston, August 29-September, 2002.~ http://www.colbud.hu/honesty-trust/ uslaner/pub02.pdf. (Accessed August 11, 2009).

დანართი A: კორელაციის ცხრილი

		ემიგრა-ციაში წავი-დოდა	არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას	ნდობა: ჯან-დაცვის სისტემა	ნდობა: ბანკები	ნდობა: გა-ნათლების სისტემა	ნდობა: ჯარი	ნდობა: სასამართ ლო სისტემა	ნდობა: არასამთ. ორგანი-ზაციები	ნდობა: პარლა-მენტი
ადამ. უმრავლ. შეიძლება, ენდო	პირსონი r	-.042	.118(**)	.172(**)	.074(**)	.116(**)	.058(*)	.152(**)	.154(**)	.201(**)
	N	1832	1830	1856	1657	1804	1837	1656	1427	1750
ნდობა: ჯანდაცვის სისტემა	პირსონი r	-.071(**)	.133(**)	1						
	N	1877	1874	1911						
ნდობა: ბანკები	პირსონი r	-.024	.127(**)	.351(**)	1					
	N	1672	1669	1699	1703					
ნდობა: განათლების სისტემა	პირსონი r	-.075(**)	.116(**)	.441(**)	.327(**)	1				
	N	1823	1820	1849	1657	1854				
ნდობა: ჯარი	პირსონი r	-.108(**)	.108(**)	.320(**)	.259(**)	.390(**)	1			
	N	1860	1854	1884	1679	1832	1891			
ნდობა: სასამართლო სისტემა	პირსონი r	-.109(**)	.187(**)	.454(**)	.370(**)	.452(**)	.279(**)	1		
	N	1668	1667	1695	1547	1659	1678	1697		
ნდობა: არასამთ. ორგან.	პირსონი r	-.094(**)	.182(**)	.317(**)	.344(**)	.307(**)	.198(**)	.528(**)	1	
	N	1431	1434	1454	1339	1435	1442	1365	1459	
ნდობა: პარლამენტი	პირსონი r	-.134(**)	.179(**)	.371(**)	.299(**)	.368(**)	.303(**)	.555(**)	.530(**)	1
	N	1763	1763	1790	1609	1748	1777	1626	1398	1796
ნდობა: აღმ. ხელისუ-ფლება	პირსონი r	-.148(**)	.221(**)	.381(**)	.316(**)	.360(**)	.327(**)	.564(**)	.510(**)	.804(**)
	N	1788	1785	1815	1624	1768	1800	1642	1415	1778
ნდობა: პრეზიდენტი	პირსონი r	-.135(**)	.217(**)	.328(**)	.271(**)	.315(**)	.350(**)	.507(**)	.452(**)	.717(**)
	N	1802	1799	1828	1632	1780	1814	1645	1418	1771
ნდობა: პოლიცია	პირსონი r	-.119(**)	.167(**)	.391(**)	.315(**)	.371(**)	.325(**)	.617(**)	.459(**)	.616(**)
	N	1799	1797	1826	1641	1779	1812	1658	1411	1746
ნდობა: მედია	პირსონი r	-.100(**)	.100(**)	.305(**)	.250(**)	.308(**)	.307(**)	.461(**)	.354(**)	.438(**)
	N	1844	1842	1871	1676	1819	1856	1674	1446	1770
ნდობა: ადგილობრივი მთავრობა	პირსონი r	-.145(**)	.184(**)	.371(**)	.305(**)	.377(**)	.330(**)	.527(**)	.485(**)	.579(**)
	N	1810	1806	1835	1647	1788	1821	1645	1422	1756
ნდობა: რესპონდენ-ტის რელიგი-ური ინსტიტუტი	პირსონი r	-.087(**)	.145(**)	.201(**)	.204(**)	.227(**)	.213(**)	.274(**)	.248(**)	.252(**)
	N	1760	1758	1788	1600	1734	1767	1600	1390	1681
ნდობა: ომბუდსმენი	პირსონი r	-.111(**)	.169(**)	.301(**)	.346(**)	.362(**)	.324(**)	.451(**)	.385(**)	.480(**)
	N	1530	1531	1552	1417	1524	1539	1429	1265	1497
ნდობა: ევროპის კავშირი	პირსონი r	-.046	.096(**)	.292(**)	.375(**)	.306(**)	.303(**)	.365(**)	.358(**)	.427(**)
	N	1503	1504	1524	1397	1495	1512	1417	1245	1474
ნდობა: გაერო	პირსონი r	-.046	.100(**)	.282(**)	.356(**)	.294(**)	.315(**)	.370(**)	.389(**)	.419(**)
	N	1507	1510	1529	1404	1503	1517	1415	1245	1481

დანართი A: კორელაციის ცხრილის გაგრძელება

		ნდობა: აღმას. ხელი.	ნდობა: პრეზი-დენტი	ნდობა: პოლიცია	ნდობა: მედია	ნდობა: ადგილ. მთავრ.	ნდობა: რელიგ. ინსტ.	ნდობა: ომბუდს-მენი	ნდობა: ევროპის კავშირი	ნდობა: გაერო
ადამ. უმრავლ. შეიძლება, ენდო	პირსონი r	.200(**)	.200(**)	.188(**)	.117(**)	.122(**)	.126(**)	.161(**)	.140(**)	.126(**)
	N	1771	1784	1781	1828	1790	1741	1523	1497	1501
ნდობა: პრეზიდენტი	პირსონი r	.817(**)	1							
	N	1805	1835							
ნდობა: პოლიცია	პირსონი r	.643(**)	.637(**)	1						
	N	1766	1781	1831						
ნდობა: მედია	პირსონი r	.446(**)	.433(**)	.471(**)	1					
	N	1794	1806	1803	1878					
ნდობა: ადგილობრივი მთავრობა	პირსონი r	.618(**)	.606(**)	.563(**)	.451(**)	1				
	N	1779	1788	1783	1816	1841				
ნდობა: რელიგიური ინსტიტუტი	პირსონი r	.285(**)	.297(**)	.279(**)	.289(**)	.329(**)	1			
	N	1704	1718	1721	1761	1724	1793			
ნდობა: ომბუდსმენი	პირსონი r	.477(**)	.462(**)	.470(**)	.477(**)	.460(**)	.367(**)	1		
	N	1507	1516	1511	1536	1515	1467	1555		
ნდობა: ევროპის კავშირი	პირსონი r	.432(**)	.394(**)	.391(**)	.394(**)	.393(**)	.270(**)	.648(**)	1	
	N	1484	1492	1489	1512	1494	1451	1419	1527	
ნდობა: გაერო	პირსონი r	.424(**)	.392(**)	.396(**)	.391(**)	.399(**)	.277(**)	.608(**)	.872(**)	1
	N	1493	1497	1492	1518	1497	1450	1422	1481	1532

დანართი B: ნდობის მოდელების ანალიზისას სამი ფაქტორის ფაქტორული დატვირთვა

	ფაქტორი 1 „დაწესებულება“	ფაქტორი 2 „ნეიტრალური“	ფაქტორი 3 „დასავლური“
ნდობა: ჯანდაცვის სისტემა		0.72	
ნდობა: ბანკები		0.52	
ნდობა: განათლების სისტემა		0.77	
ნდობა: ჯარი		0.59	
ნდობა: სასამართლო სისტემა	0.64		
ნდობა: არასამთავრობო ორგანიზაციები	0.58		
ნდობა: პარლამენტი	0.84		
ნდობა: აღმასრულებელი ხელისუფლება	0.85		
ნდობა: პრეზიდენტი	0.83		
ნდობა: პოლიცია	0.76		
ნდობა: მედია	0.51		
ნდობა: ადგილობრივი მთავრობა	0.71		
ნდობა: რესპონდენტის რელიგიური ინსტიტუტი		0.47	
ნდობა: ომბუდსმენი			0.64
ნდობა: ევროპის კავშირი			0.91
ნდობა: გაერო			0.89

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ფოტორეპორტაჟი

სდოს მსვლელები

მზია საგანელიძე

თბილისიდან სულ რაღაც 200 კილომეტრში მდებარეობს პატარა და ძალიან ლამაზი სოფელი ცდო, რომელიც მაღალ კლდეებზეა დაშენებული და გზიდან არც კი ჩანს. როდესაც დახლართული და რთული გზით სოფლამდე ააღწევთ, თვალწინ ულამაზესი ხედი გადაგეშლებათ, თუმცა ეს სოფელი აქ ლამაზი ხედის გამო არ გაუშენებიათ. ცდო სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მდებარეობს. ის რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან მეორე სოფელია და ძველ დროში სოფლის მთავარი ფუნქცია თავდაცვა იყო. აქედან დარიალის ხეობაში შემოსულ მტერს ადვილად შეამჩნევდნენ, სხვა სოფლებს გააფრთხილებდნენ და თავადაც ერთ-ერთი პირველები შეებრძოლებოდნენ მათ.

დღეს სოფელი რამდენიმე მოხუცის ამარაა დარჩენილი, თვითონაც უკვირთ, თავი როგორ გააქვთ. სოფელში არც მაღაზია აქვთ, არც აფთიაქი და ექიმი ან

ექთანიც არ ჰყავთ. ისევ მოხუცები უვლიან და პატრონობენ ერთმანეთს. თუმცა მხოლოდ თავიანთი პენსიით უჭირთ საკვების და წამლის მომარაგება. ახალგაზრდობამ უკეთესი ცხოვრების იმედით, კარგა ხანია, მიატოვა სოფელი და ბედის საძებნელად ზოგი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ზოგმა კი დედაქალაქს მიაშურა. მოხუცები კი მაინც მხნედ არიან, დღესასწაულებზე იქვე სოფლის თავზე მდებარე კვირაძალის სალოცავში ადიან, ერთად დააწყობენ ქადიანებს, დაანთებენ სანთელს და შემდეგ რიგ-რიგობით უსურვებენ ერთმანეთს გაძლებას, ოჯახის სიძლიერეს, შთამომავლობის კარგად ყოფნას და გამრავლებას. შემდეგ დანანებით იგონებენ ხალხმრავალ სოფელს და მისი ოდესმე აღორძინების იმედით, უბრუნდებიან სახლებს, რათა კერა არ გააცივონ და ფუძე არ მოშალონ.

დეიმპტინის დიალექტიკა

ბექა დავითულიანის ბლოგი

რატომღაც, არასდროს მიზიდავდა უცხოელი ტურისტების ღიმილი. აი, ქუჩაში რომ გაჩერებენ ინტერესიანი სახით და ყოვლად უმეცარ კითხვას გისვამენ. ნერვებს არცოდნა კი არ მიშლის (საიდან უნდა იცოდნენ?), უბრალოდ, ბოლოში მადლიერების ნიშნად გაღიმება მბრიდავს, ყველაზე ყალბი ღიმილი დედამიწაზე. ასეთი რამ აზიელებს არ ახასიათებთ, ეს, ძირითადად, დასავლური კულტურის მონაპოვარია. მე მას სიმბოლურად ამერიკული ღიმილი ვუწოდე. რა თქმა უნდა, ამერიკული ღიმილი რუსულ, ვალდებულებითი ტონით დასმულ, კითხვას სჯობია, მაგრამ მაინც ვერ ვიტან. ვხვდები, დასწავლილი ზრდილობის შედეგია და არა განცდის. შეიძლება ასე მძაფრად იმიტომ აღვიქვამ, რომ ვგრძნობ, იგივე მემუქრება.

ქვეყნის სტრატეგიულ-პროვინციულ მიმართულებას მეტ-ნაკლებად ყველანი ვართ აყოლილი და ე.წ. ენჯეოშნიკური ენით ვცდილობთ საკუთარი თავის დასავლურ სამყაროსთან გაიგივებას. თავიდან, არაბუნებრივი, მარკეტინგული ქცევები იეჰოვას მოწმეებში შევნიშნე. ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო მამა ბასილის რისხვის მიზეზი, თორემ ქრისტიანობის მგონი, მასაც არაფერი გაეგებოდა.

ჯერ კიდევ 90-იანი წლები იდგა, როცა კარზე „გაკრახმალებულ-პერანგიანმა“ ბიჭებმა პირველად

დამიკაკუნეს. მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში სამოთხის სარეკლამო ბუკლეტები ეწყოთ და გაზეპირებული ტექსტით მარწმუნებდნენ, რომ ვერცერთი სხვა რელიგია ვერ გამამგზავრებდა მოუსვლელში მათზე სწრაფად და ხარისხიანად. დავხედე შემოთავაზებული ედემის მოვლილ გაზონებს, სარეველაგაურეველ მინდორს და მივხვდი, ყვლაფერს ვიზამდი, იქ რომ არ მოვხვედრილიყავი.

რამდენიმე წელიწადში იგივე იმიჯის მქონე ყმაწვილკაცებმა, ჩემთვის ბევრად მტკივნეულ თემაზე შემაწუხეს და იეჰოველური სამოთხესავით ცარიელი თვალებით, ბანკში ჩადებული მანქანის გასაღები მომთხოვეს. მათ რაც ვუპასუხე, აქ ვერ დავწერ, უხერხულია, მაგრამ ფაქტია, ასეთი (დატრენინგებული) ხალხი ნელ-ნელა ყველა სფეროს მოედო. დაიწყეს წამლების გაყიდვის პირამიდით და ბოლოს სკოლის დირექტორებადაც მოგვევლინენ.

2011 წლის 15 სექტემბერს თბილისის სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ეს დღე საქართველოს მოსახლეობას უცნაური გემოვნების მინისტრმა ასევე უცნაური სიტყვებით ამცნო. ჩემი შვილი წელს ახალ სკოლაში გადავიდა. გადავწყვიტე, პირველ დღეს მარტო არ გამეშვა, ამიტომ მეც გავყევი. საერთო არეულობაში გაირკვა, რომ დირექტორს ბავშვებთან და მათ მშობლებთან სურდა შეხვედრა. ყველა ერთად შეგვრეკეს სააქტო დარბაზში. დაბნეული ბავშვები თავისუფალ მერხებთან დასხდნენ და დიდი თვალებით დაიწყეს შინაგანი მღელვარების მალვა. ტრიბუნასთან ზემოთ მოყვანილი ტიპის ახალგაზრდა ბიჭი გამოცხადდა, ხმამაღლა მოგვესალმა და პოლიტიკური მოღვაწის მსგავსი პიარკამპანია წამოიწყო:

ვინ არის თქვენ შორის ვარსკვლავი? ყალბი აღტაცებით ჰკითხა მოსწავლეებს.

ათამდე ბავშვმა, საკუთარი თავის მნათობად გამოცხადება მოახერხა და შეშინებული სახეებით ასწიეს ხელი, რასაც პედკოლექტივის და მშობლების მქუხარე ტაში მოჰყვა.

თქვენ დღეიდან აღარ ხართ ვარსკვლავები, თქვენ თანავარსკვლავედში მოხვდით. ნიშნის მოგებით ახარა დირექტორმა უკვე ჩამქრალ ვარსკვლავებს (მქუხარე ტაში).

თქვენ მოხვდით სკოლაში, სადაც მხოლოდ რჩეულები სწავლობენ. ყოველი თქვენგანი ვალდებულია, გახდეს რჩეულთა შორის რჩეული (მქუხარე ტაში).

ჩვენ არ ვზრდით ჩინოვნიკებს, ჩვენ ვქმნით პრეზიდენტებს (განსაკუთრებით მქუხარე ტაში)! ეს სკოლა თქვენი ცხოვრების სასწორია (პაუზა).

გაუძლებთ ჩვენს წნეხს? გაუძლებთ ცხოვრებას

(კვლავ ტაში)!

აქ fifty-fifty-ების ადგილი არ არის, აქ მხოლოდ „ასები“ სწავლობენ.

მშობლებო, მზად ხართ, ოჯახში გყავდეთ თქვენზე მოწესრიგებული, ბეჯითი და ძლიერი პიროვნება? მაშინ აყევით ჩვენს რიტმს და დაგვეწიეთ, რადგან ჩვენი მოსწავლე პატივს არ სცემს აუტსაიდერებს და ვერც მის ოჯახში აიტანს looser-ს (მქუხარე ტაში, დირექტორი წყალს სვამს)

შეეგუეთ, რომ იცხოვრებთ ლიდერებთან ერთად, თქვენი შვილები არასოდეს მოიქცევიანი ისე, როგორც თქვენ გსურთ (დაბნეულობა დარბაზში),

ისინი მოიქცევიან ისე, როგორც საქმე მოითხოვს (შვებით-მქუხარე ტაში).

მე თქვენ გაგიზრდით შვილებს, რომლებიც აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებს გააოცებენ!

მე თქვენ გაჩუქებთ სიამაყის გრძნობას

(უმქუხარესი ტაში)!

სულ ეს იყო, რის თქმაც აქ შეკრებილი საზოგადოებისათვის მსურდა. ჩვენს სკოლაში არ არსებობს სიტყვა „ნახვამდის“. აქ ერთმანეთს ვემშვიდობებით სიტყვით „წარმატებები“, ამიტომ წარმატებას გისურვებთ, ახალგაზრდა ლიდერებო!

(დამანგრევლად-მქუხარე ტაში! ცრემლიანი პედაგოგები, აღტაცებული მშობლები და შეშინებული ბავშვები).

დერმატინის დირექტორმა გამოსვლა დაასრულა, დაწვრილებული თვალებით გადმოგვხედა (ეგონა, გვიღიმოდა) და გაკრეჭილგაზონიან ეზოში გავიდა.

მე პირი ღია დამრჩა, ასეთი დოზით „სინთეტიკა“ ჯერ არსად მიმეღო.

– სად მომაყვანინე, გოგო, ბავშვი? – ვუსაყვედურე მეუღლეს.

– რატომ, არ არის მაგარი? – მიპასუხა დაბნეული სახით.

– ძალიან არაბუნებრივია, ჩავიბურდღუნე სულელურად და ბავშვს მივუბრუნდი, – მოგწონს, მა, აქაურობა?

– მმმმმმ... რა ვიცი.. მგონი, ეს კაცი ცოტა ტუტუცია, – სიცილით მომიგო ბავშვმა, ახლად გაცნობილ თანაკლასელს ზურგზე შეახტა და ჩაეხუტა.

ამის დანახვაზე ოდნავ მოვეშვი, ერთი რამე მაინც ვნახე იმ სკოლაში გულწრფელი.

გარეთ გამოსვლისას ჩემმა ცოლმა დამნაშავის სახით სცადა თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებში გავერკვიე:

– რას იზამ, ბექ, ნელ-ნელა ყველა სკოლა ასეთი გახდება, სხვანაირად ქვეყანას ვერ ააშენებ. თუ არ მოგწონს, წამოდი და ვიცხოვროთ ჩემს სოფელში ტყიურებივით. როგორ წარმოგიდგენია თავი ხის სახლში, ტყეში, გაყინულ მდინარესთან, ცხოველებში და უბედურებაში? ბავშვიც იმ სკოლაში შევიყვანოთ, ეზოში ძროხებს რომ აძოვებენ. ეგ გინდა, თუ მიზანდასახული, წარმატებული, მდიდარი ადამიანი რომ გამოვიდეს?

ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი და უიმედოდ ამოვღერღე: რა ვიცი... შორენა... უბრალოდ მინდა, ადამიანი გამოვიდეს.

ალბათ, გაუგებრობა!

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ვერაფერი გამიგია! მართლაც რომ, ვერაფერი გამიგია! აი, თვითონ განსაჯეთ – ჩვენ წარმატებული ხავერდოვანი რევოლუცია გავიჩალიჩეთ, ისეთი წარმატებული, რომ თითით საჩვენებელი ქვეყანა გავხდით. ახალი ცხოვრების გზას დავადექით, ბევრი ვისწავლეთ და ბევრსაც ვასწავლეთ. კავკასიაში რომ ყველაზე მაგარი ქვეყანა ვიყავით, ისედაც ყველა გრძნობდა, მაგრამ ახლა ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. უფრო მეტიც, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რომ ყველაზე მაგრები ვიყავით, ესეც ერთხელ და სამუდამოდ გაირკვა. ადრე ყველას ფეხზე ეკიდა ჩვენი სიტყვაცა და საქმეც, მაგრამ დღეს ყველაფერი შეიცვალა – ჩვენ გვისმენენ სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელოვან სამიტებზე თუ კონფერენციებზე, ჩვენ გამო დავობენ, ჩვენ გამო ჩხუბობენ, რაღაც-რაღაცებში ანგარიშსაც კი გვიწევენ. ჩვენ ისიც მოვახერხეთ, რომ დაუძინებელ მტერს ყველაფერი პირში ვუთხარით, რასაც მასზე ვფიქრობდით; ცოტამ თუ მოახერხა ეს! ჩვენ დანარჩენი სამყაროს ჩვენით დაინტერესებაც კი შევძელით. საქართველოვ, სად იყავი მაშინ და სად ხარ ახლა?! მიმოიხედეთ გარშემო, უმადურებო, რამდენი რამ შეიცვალა, როგორი ლამაზი გახდა საქართველოს სოფლები თუ ქალაქები; განსაკუთრებით ქალაქები. ტურისტები? რამდენიც გინდა; მთავარია, დანახვა მოინდომოს კაცმა. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის სურვილით შეპყრობილი უცხოელები? უუჰ, ერთი აქაური ინგლისელი, ამერიკელი ან გერმანელი დამისახელეთ, ქართულად ქართველებზე კარგად რომ არ ლაპარაკობდეს. სამაგიეროდ, ჩვენ მათზე უკეთ ვლაპარაკობთ ინგლისურად და გერმანულად. გლობალიზაცია ჰქვია ამას! კარგი, მითხარით, სად, რომელ სფეროში არ განხორციელდა ცვლილებები! საიდან დავიწყო? პოლიცია? – ნუთუ მეც უნდა ვთქვა რამე ამ რეფორმაზე?! არმია? – ყველამ ყველაფერი იცის! კორუფცია ქვეყანაში? – ჩვენთან აღარ არიან კორუმპირებული ჩინოვნიკები! ახალი გზები? – რა, არ გივლიათ ჩვენს ახალ გზებზე თუ რა? ის კი არა, დღეს უკვე ნაფიცი მსაჯულებიც გვყავს! ისე კი, უცნაურია, რაც ჩემი ახალი, პოსტ-რევოლუციური თავი მახსოვს, ყველა ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ, მხოლოდ ერთ რამეს გაყვიროდა – ეს ქვეყანა ქვეყანად მაშინ იქცევა, როდესაც ნაფიცი მსაჯულები გაჩნდება სასამართლოშიო. გაჩნდა, მაგრამ რატომღაც ახლა ყველა ყვირის, მაგათ ვერ ვენდობითო! კარგი, შევეშვათ ამაზე ტლიკინს და ისევ ჩვენსას დავუბრუნდეთ. დიდი გზა გამოვიარეთ და სრული უფლება გვაქვს, ამაყები ვიყოთ გაკეთებული საქმით. ჩვენთან ერთად კი ჩამოსული სტუმრებიც ამაყობენ ჩვენი მიღწევებით. ყველა, ვინც აქაურობას იცნობდა ან არ იცნობდა, ერთხმად აღიარებს, რომ საქართველო ის ქვეყანა არაა, რაც ადრე იყო! შერონ სთოუნმაც კი აღნიშნა ეს და ძნელია შერონს არ დაეთანხმო! ყველას საქართველო აკერია პირზე! საქართველომ ეს გააკეთა, საქართველომ ის გააკეთა! საქართველომ ამას მიაღწია, საქართველომ იმას მიაღწია! ჰეი, ახალ ქალაქსაც კი ვაშენებთ! წარმოგიდგენიათ? სულ ახალი, თაზა ქალაქი გვექნება („ზაფხულში რას აპირებ?" „ალბათ ლაზიკაში წავალ დასასვენებლად")! მოკლედ, ტყუილუბრალოდ არ გვიცხოვრია ეს უკანასკნელი წლები! გრძელი, ძალიან გრძელი გზა გავიარეთ და ყველა დავარწმუნეთ იმაში, თუ რა და როგორი ღირებულებების მატარებელი ერი ვართ! გზა ერთია – დასავლეთისკენ – და მეეჭვება ვინმემ მოახერხოს ჩვენი უკან შემობრუნება. მოდი, ახლა თბილისზეც ვთქვათ; რამდენიმე წელი სადმე სხვაგან რომ ყოფილიყავი წასული და ახლა რომ დაუბრუნდე მშობლიურ ქალაქს, დამიჯერე, დედაქალაქს ვერ იცნობ (ჰო, ბათუმზე არაფერს ვამბობ!). სხვა მიდგომაა, სხვა ხედვა და ამის შედეგიც თბილისის ქუჩები და პროსპექტებია. დახეტიალობ ქალაქში და გიკვირს, როგორ შეიცვალა თბილისმა სახე! ყველაფერი შეიცვალა გარშემო, ყველაფერი იცვლება!

ჰოდა, აი, რა ვერ გამიგია – ამდენი შენების, ამდენი წინსვლის, ამდენი ცვლილების, ამდენი გამოვლილი გზის შემდეგ როგორ მოხდა ისე, რომ ქართულ ტაქსებში დღემდე არ ისმის კეთილაფეთქებული მრიცხველების წიკწიკის ხმა?

ნამდვილად რაღაც გაუგებრობაა!

FM 101.9
ქალაქი
WWW.RADIOKALAKI.GE
რადიოქალაქი წარმოგიდგენთ
ყოველ სამუშაო დღეს
17:30
გადაცემას
დღის ბიზნეს სტუმარი
მაია ჯავახიშვილთან ერთად
გადაცემას წარმოგიდგენთ
ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS



WWW.LIBERALI.GE